

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ნ. ნასრაშვილი

## ქართული საანბანო ნიშნის შრიფტის უორგის საკითხისათვის

გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი 1965

6 Π 9 5 C 41 655

24 (47922) 5 613

ნაშრომში მოცემულია შეიდწლიანი ბავშვის ოპტიკური აღქმის ძირითადი თავისებურებების ანალიზი.

ექსპერიმენტული მონაცემებით დადგენილია ქართულ სასტამბო სისტემაში არსებული ძირითადი გარნიტურის შრიფტებისა და, კერძოდ, „დედა ენის გარნიტურის“ შრიფტის ღირსება-ნაკლოვანებანი წერა-კითხვის დამწყებთათვის.

ავტორი გვაწვდის ქართული საანბანო წიგნისათვის შრიფტის ახალი ფორმის პროექტს, რომელიც ემყარება შეიდწლიანი ბავშვის ოპტიკური აღქმის თავისებურებებს.

## წინასიტყვაობა

საანბანო შრიფტის ფორმის შერჩევისა და შემუშავების საკითხი ყოველთვის იდგა ქართველი მოღვაწეების წინაშე. ეს საკითხი განსაკუთრებით აწუხებდა ი. გოგებაშვილს, მაგრამ იმ დროისათვის, სასტამბო შრიფტების სხვადასხვა ფორმისა და მოხაზულობის მცირე რაოდენობის არსებობის გამო, მას საშუალება არ ჰქონდა საანბანო წიგნისათვის მოენახა და შეერჩია (საანბანო შრიფტის) დამაკმაყოფილებელი ფორმა.

ი. გოგებაშვილის შემდეგ სხვებმაც სცადეს საანბანო შრიფტის შეცვლა, მაგრამ ამ ცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგი არ გამოიღო.

ქართული საანბანო შრიფტების სხვადასხვაგვარი მოხაზულობის განვითარებამ და ახალი ფორმების შექმნამ ხელახლა წამოქრა არსებულის შემოწმების, შესწავლისა და საანბანო წიგნისათვის შრიფტის შერჩევის საკითხი.

მიზნად დავისახეთ წერა-კითხვის ახლად დამწყებთათვის არსებული საანბანო შრიფტის ფორმის ავკარგიანობის საგანგებოდ შესწავლა და შემოწმება. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად სისტემატური დაკვირვებები ვაწარმოეთ სკოლებში წერა-კითხვის სწავლების პროცესზე, ფსიქოლოგიურად გაეაანალიზეთ და შევამოწმეთ არსებული შრიფტების ვარგისიანობა და, ბოლოს, სათანადო ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ ახალი საანბანო შრიფტის პროექტი, რომელიც, სხვა შრიფტებთან შედარებით, საკითხავადაც და საწერადაც უფრო ადვილი ჩანს.

წინამდებარე შრომა ექვსი წლის ექსპერიმენტული კვლევის შედეგია.

მუშაობის პროცესში ნაყოფიერ რჩევა-დარიგებას გვაძლევდა ა. მოსიავა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ზ. ხოჯავა. შრომა

მთლიანად დამუშავდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში.

საანბანო შრიფტზე მუშაობა ჩვენგან მოითხოვდა შრიფტების სპეციფიკურობისა და, განსაკუთრებით, ქართული შრიფტების თავისებურებათა დაწვრილებით გაცნობას, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, შრიფტების სპეციალისტმა ბ. გორდეზიანმა.

სასწავლო-საანბანო შრიფტის ახალი ფორმის ძიებისას სასურველი მოხაზულობის დადგენამდე მრავალი სხვადასხვაგვარი მოყვანილობის ასოს დახაზვაზე დიდი დრო და ენერგია დახარჯა მხატვარმა გ. ნადირაძემ.

შრიფტების კითხვადობის შემოწმებაში ხელი შეგვიწყვეს თბილისის 47-ე, 54-ე, 55-ე და მე-60 სკოლების ადმინისტრაციამ და პირველ-მეორე კლასის მასწავლებლებმა.

ესარგეილობ შემთხვევით და გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველა ზემოთ დასახელებულ პირს, რომელთაც ჯეროვანი დახმარება გამიწიეს შრომის საბოლოო გაფორმებაში.

## საკითხის დასმა

საანბანო წიგნის შრიფტის ფორმის შერჩევას უმთავრესი ამოცანაა საანბანო წიგნის ისეთი მოხაზულობის შრიფტით აწყობა და დაბეჭდვა, რომელიც რამდენადმე ხელს შეუწყობს და გაადვილებს გრაფემებისა და ფონემების დაუფლებას. როგორც ცნობილია, წერა-კითხვა ზეპირი და წერიითი მეტყველების განვითარებისა და ცოდნის შეძენის ელემენტარული საფუძველია; მაგრამ, ვიდრე წერა-კითხვის ახლად დამწყები მთლიანად დაუფლება გრაფემებსა და ფონემებს, ვიდრე წერა-კითხვა მისთვის ჩვევად, მექანიზმად იქცევა, მანამდე წერაცა და კითხვაც მთელი თავისი ელემენტარული ოპერაციებითურთ თვითონ წარმოადგენს ბავშვის აზროვნების ობიექტს, მისი საქმიანობის ძირითად შინაარსს, რომელიც უყრდნობა წიგნში მოცემული შრიფტის მოხაზულობას, ფორმას.

ამიტომ საანბანო წიგნს, რომლის მიხედვითაც ბავშვი კითხვის სწავლას იწყებს, განსაკუთრებული<sup>1</sup> სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოცულობის მხრივ შესატყვისი, შინაარსით მისაწვდომი და ლამაზად გაფორმებული უნდა იყოს. წიგნის გარეგნულ გაფორმებაში შედის: შრიფტი, ანაწყობი, ქალაღი და ბეჭედის ხარისხი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წერა და კითხვა საანბანო წიგნში მოცემული შრიფტის ასოებთან ურთიერთობით იწყება, რადგან „წერა ბგერებისა თუ სიტყვების დასანახი გრაფიკული ნიშნებით გამოსახვაა, ხოლო კითხვა ნაწერისა თუ ნაბეჭდი ნიშნების გააზრებული გაგება“, მაშინ გასაგები იქნება, რომ საანბანო წიგნის გაფორმებისას სხვა დანარჩენ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს შრიფტის ფორმა ანუ ასოების მოხაზულობა წარმოადგენს.

„კითხვა არის ნაწერის ან ნაბეჭდის გააზრებული გაგება“-<sup>2</sup>. ეს ყველაზე მარტივი განსაზღვრება ნათლად გვიჩვენებს, რომ კითხ-

<sup>1</sup> Ал. Трошнн, Психологические основы процесса чтения, 1900, 23-9.

ვის მასალას, ერთი მხრივ, ნაწერი ან ნაბეჭდი ასოები შეადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, ასოებისაგან შემდგარი სიტყვები და ფრაზები, რომელთა დახმარებით ამა თუ იმ ენაში არსებული ზეპირი სიტყვები და ბგერები გამოიხატება თვალისათვის დასაინახი ნიშნებით, რომლებიც მხედველობითი აღქმის უშუალო საგნებად არიან ქცეულნი.

კითხვის პროცესის განხორციელება შეიცავს სამ მთავარ მომენტს: 1) ოპტიკური ნიშნების ნათელ აღქმას, 2) მათი შესატყვისი ბგერების წარმოქმას და 3) იმ მნიშვნელობის წედომას, რომელიც მათი საშუალებით არის გამოხატული<sup>2</sup>. იგი ძირითადად პირველ მომენტს—ოპტიკური ნიშნების ნათელ აღქმას და მათ სწორ გამოცნობას ეყრდნობა.

ოპტიკური ნიშნების სწორ გამოცნობას უსათუოდ წინ უსწრებს ასოებისა და ასოთა ელემენტების ზუსტი ნათელი აღქმა და მათი მიკუთვნება იმ ბგერებისადმი, რომელთა აღსანიშნავადაც გამოიყენებიან ისინი. კითხვის პროცესის სიადვილე დამოკიდებულია, ერთი მხრივ, საკითხავი ნიშნების ავკარგიანობაზე და, მეორე მხრივ, ამ ნიშნების აღმქმელის ფსიქიკურ თავისებურებაზე. ეს პროცესი წერა-კითხვის ახლად დამწყებსა და ზრდადასრულებულ გაწაფულ მკითხველებთან სხვადასხვა გზით ხორციელდება: ზრდადასრულებული მკითხველი კითხვის დროს ერთი ფსიქიკური აქტით იტაცებს სიტყვის მთლიან ხატს და მის შინაარსს და არა ცალკეულ ასოებს; ამასთან ერთად ავტომატურადვე წარმოთქვამს შესაფერ სიტყვას.

წერა-კითხვის ახლად დამწყები თითოეულ ასოს აღიქვამს ცალ-ცალკე, როგორც ცალკეულ მხედველობით ხატს, და ეძებს შესატყვის იზოლირებულ ბგერას, რომლის შემდეგაც ასრულებს მისი წარმოთქმის ცალკეულ მოძრაობით აქტებს; იგი ცალ-ცალკე თელის ყოველ ასოს, რომლებსაც აერთიანებს სიტყვად, რის გამოც მოსწავლეს წერა-კითხვის დაუფლების დასაწყის პერიოდში სიტყვის წასაკითხად სჭირდება იმდენი ცალკეული ფსიქიკური აქტი, რამდენი ასოც არის სიტყვაში. ამ იზოლირებული ფსიქიკური აქტების თანდათანობით შერწყმის გზით იქმნება სიტყვის ნამდვილი კითხვა.

---

<sup>2</sup> Ал. Трошин, Психологические основы процесса чтения, 1900, стр. 11.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანს შეადგენს კითხვაში შემავალი ცალკეული პროცესების გაავტომატურება და მათი ერთ მთლიან პროცესად შერწყმა სწორი კითხვის ჩვევის შესაძენად.

კითხვის პროცესის განხორციელებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუდამ წინ უსწრებს ასოებისა და მათი ელემენტების ზუსტი აღქმა და იმ ბგერებისადმი მიკუთვნება, რომელთა აღსანიშნავადაც გამოიყენებიან ისინი. ამის გამო კითხვის დაუფლების სიადვილე მრავალმხრივ უნდა იყოს დამოკიდებული საკითხავი ნიშნების აკარგიანობასა და იმ ურთიერთობაზე, რომელიც მოცემული ენის ბგერებსა და ბგერების გამომხატველ ნიშნებს შორის არსებობს: ერთი მხრივ, როგორი ნიშნებით არის გამოსახული ბგერები და, მეორე მხრივ, რაოდენი სისრულით ასახავენ მათ, რამდენად ადვილად შესაძინებენი, გამოსაკვეთ-გამოსაცნობნი და წარმოსათქმელნი არიან ისინი, რამდენად მარტივი, ცხადი, ლაზათიანი მოყვანილობა და ზომიერი სიდიდე აქვთ. ერთი სიტყვით, როგორია საკითხავად—სახალისო თუ სამძიმო, მათგან შედგენილი გვერდები ქრელია თუ ერთფეროვანი.

როგორც ვხედავთ, საკითხავი ნიშნები ნათელი აღქმისათვის უნდა იყოს: მარტივი, მკვეთრად გამოკვეთილი საერთო ფონიდან, ლამაზი მოყვანილობისა და ზომიერი სიდიდის. გარდა ამისა, ასოთა მოხაზულობაში დაცული უნდა იყოს ასოთა ინდივიდუალობა, ყოველ ასოს თავისი სპეციფიკური, დამახასიათებელი, მეორე ასოსაგან განმასხვავებელი ელემენტები მკაფიოდ უნდა ჰქონდეს მოცემული, რათა კითხვის პროცესში, ასოთა მსგავსების გამო, ერთი ასო მეორე ასოს ელემენტებით არ ივსებოდეს, არ ემსგავსებოდეს ან თვითონ არ იმსგავსებდეს სხვა ასოს და ასოთა ურთიერთალრევის საბაზს არ იძლეოდეს.

ამრიგად, მხოლოდ ისეთი საკითხავი ნიშნები ჩაითვლება კარგ ნიმუშებად, რომლებიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ხელს შეუწყობს ასოთა სწორ გამოცნობას და მარტივად, ზუსტად და სრულად გამოხატავს ენაში არსებულ ყველა ბგერას.

სახელმძღვანელო წიგნების გაფორმების შესახებ არსებულ რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში სასწავლო-საანბანო წიგნის მკვლევრებს საანბანო შრიფტის შემოწმება-შესწავლა და მის ნიადაგზე მეცნიერულად დასაბუთებული მოხაზულობის დადგენა მრავალი გზით უცდიათ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ქართული საანბანო წიგნის „დედა ენის“ შრიფტის მიმართაც.

მას შემდეგ, რაც ი. გოგებაშვილმა „ღედა ენის“ დასაბეჭდად აკადემიური შრიფტი გამოიყენა, რომელიც თვითონვე არ მოსწონდა და რომელსაც „მეტად უშნოსა და ტლანქს“ უწოდებდა, ამ შრიფტის ავკარგიანობის საკითხი აღარ დასმულა. ეს გარემოებაც საკმარისად მიგვაჩნია იმისათვის, რომ „ღედა ენის“ შრიფტი საგანგებო კვლევის საგნად გავიხადოთ.

წინამდებარე შრომაში მიზნად ვისახავთ შევისწავლოთ: რა ნიშანდობლივი თავისებურებებით ხასიათდება ქართული შრიფტი და, კერძოდ, ქართული საანბანო წიგნის „ღედა ენის“ შრიფტის მოხაზულობა (ფორმა); რამდენად აკმაყოფილებს საანბანო შრიფტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს; შეესატყვისება თუ არა წერაკითხვის ახლად დამწყებ ბავშვთა (პირველკლასელთა) ფსიქიკურ შესაძლებლობებს; არის თუ არა ქართულ სასტამბო სისტემაში მოცემულ შრიფტებზე უფრო ადვილად საკითხავი და, ბოლოს, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ საანბანო შრიფტის ფორმის შერჩევას.

განვიხილოთ, რამდენად სრულყოფილია თანამედროვე ქართული საკითხავი ნიშნები და რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი.

## თ ა ვ ი I

### ქართული შრიფტი და საანბანო წიგნის შრიფტი

#### ქართული ანბანისა და შრიფტის ღირსება-ნაკლოვანებანი

ვიდრე დღევანდელი ქართული ასოების დახასიათებას შევუდგებოდეთ, ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ ქართული ანბანისა და შრიფტის წინამორბედი საწერ-საკითხავი ნიშნების თავისებურება.

ქართველ ერს მეტად მდიდარი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დამწერლობა აქვს. სანამ ქართული შრიფტი თანამედროვე სახეს მიიღებდა, მან თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე საუუძველესი ცვლილებები განიცადა. ქართული შრიფტების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის დაწვრილებითი განხილვა მეტად შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ მისი ძირითადი საფეხურების განხილვით შემოვიფარგლებით.

ქართული დამწერლობის განვითარებაში სამ მთავარ სახეს ასხევევებენ. მათ შორის ყველაზე უძველეს სახედ ითვლება ასომთავრული ხუცური დამწერლობა, რომლის ასოები თანაბარი სიმაღლის, მოუქნელი, უხეში და ერთბაში, ურთიერთგადაძვეთი ხაზებისაგან შედგებოდა; მას კუთხოვანი ფორმა და



მეტად დიდი ზომა ჰქონდა. კუნთოვანი ფორმა გამოწვეული იყო საწერი მასალით, ხოლო დიდი ზომა—შორიდან წაკითხვის აუცილებლობით. ეს ასოები იკვეთებოდა. ამის გამო მათი გამოსახვა დიდ დროსა და შრომასთან იყო დაკავშირებული, რაც მეტიმეტად ანელებდა და აბრკოლებდა წერის პროცესს.

სწრაფად წერის მოთხოვნილების ზრდასთან ერთად თანდათანობით იცვლებოდა საწერი იარაღებიცა და მასალაც, რაც თავისებურ დასს ასევედა ასოთა მოყვანილობას. ასომთავრულმა ხუცურმა ნელ-ნელა დაკარგა მკაცრი კუთხოვანი ფორმა: იგი ჯერ დამრგვალდა, შემდეგ ოთხხაზოვანობაშიც გადავიდა. წარმოიშვა დამწერლობის ახალი სახე—ნუსხახუცური (ნაწილობრივ კუთხოვანი და მრგვლოვანი). XII საუკუნეში ნუსხახუცურმა ასოებმა მთლიანად დაკარგა კუთხოვანობა და მრგვალი ფორმა შეიძინა. მას მრგვალი ხელი ანუ მხედრული ეწოდა. ნუსხახუცურისა და ასომთავრულის ასოებთან შედარებით მხედრული მოხაზულობის მხრივ ადვილად საწერ-საკითხავს წარმოადგენდა.

მხედრულის წინამორბედი ნიშნების გარჩევის სიძნელე უკიდურესი ერთფეროვნებით იყო გამოწვეული, რადგან მათი ასოები წააგავდა ერთიმეორის მსგავსი ჯოხების კრებულს, ეს კი მეტად გაურკვეველ და ზედმეტად აჭრელებულ ნაწერს ქმნიდა. ამის შესახებ ი. გოგებაშვილი ასეთ აზრს გამოთქვამდა: „ნახევარი საათით კითხვაც საკმარისია, რომ იგრძნო მხედველობის ძლიერი დაძაბვა, თვალების ტკივილი და ცრემლებიც კი. სამღვდელეობაში იშვიათად თუ მოიხდებოდა ისეთი მღვდელი ან დიაკვანი, რომელიც სრულიად თავისუფლად კითხულობდეს სამღვდლო წიგნებს. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ხუცური შრიფტი წარმოადგენს წერა-კითხვის პროცესის ნამდვილ შემკავებელს“<sup>3</sup>.

ვენახოთ, რას წარმოადგენს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ ხ ე დ რ უ ლ ი შ რ ი ფ ტ ი, რომლითაც იბეჭდება სასწავლო და საკითხავი წიგნები.

მხედრული ასოები, როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი (შრიფტი)<sup>4</sup>, მრავალფეროვანი ასოებისგან შედგება; იგი საკმაოდ რთულ ტოლმეტ ასოთა კრებულს წარმოადგენს. ის, ოთხიოდე

<sup>3</sup> Я. Гогобашвили, О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения, 1902.

<sup>4</sup> შრიფტი ეწოდება ლითონზე ამოკვეთილ მოძრავ ასოებს. ქალაღზე მათ ანაბეჭდ ასოებსაც შრიფტი ჰქვია.

ასოს (ა, თ, ი, ო) გარდა, არ ეტევა ორ ხაზში და გრძელ ზემო- და ქვემო ასოების კრებულს შეადგენს; ყოველ მათგანს თავისი საკუთარი დამახასიათებელი მოხაზულობა აქვს; თითოეულში, მსგავსი ნაწილების გვერდით, მოცემულია ისეთი დამახასიათებელი, სპეციფიკური ნაწილებიც, რომლებიც სხვა ასოსაგან ნიშანდობლივად ასხვავებს მას. ქართულ ანბანსა და შრიფტში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ასოს (დ, ლ, ლ,—ს, ხ, ძ—ი, ო, თ—ჰ, ჰ) მსგავსებას, ბევრია ისეთი ასო, რომელთაც ორიგინალური მოხაზულობა აქვთ და, სიტყვის რა ნაწილშიც და რა ასო-ბგერათა კომპლექსშიც არ უნდა იყვნენ, მკითხველებს თვალეში ეჩხირებიან და სიტყვის ამოკითხვას უადვილებენ. ამგვარი ასოების (უ, ტ, წ და სხვათა) არსებობა, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან სხვა ასოებისაგან და, ამავე დროს, ჰარმონიულ ურთიერთობაშიც იმყოფებიან, აუცილებელია. სწორედ ასეთი ასოებია კითხვის პროცესის ხელშემწყობი და გამაადვილებელი. კითხვის პროცესის შემსწავლებლებს ეს ასოები ჰქონდათ მხედველობაში, როცა ისინი მადეტერმინებული ასოების შესახებ ლაპარაკობდნენ (გოლდშაიდერი, მიულერი<sup>6</sup>, ტროშინი<sup>7</sup> და სხვ.). მთელი რიგი გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ სიტყვის გამოცნობა შესაძლებელია მოცემული ორი ან სამი ასოს საშუალებით. ამგვარი ასოების დახმარებით ხერხდება გაურკვეველი ხელნაწერების გარჩევა-ამოკითხვა. ქართულ ანბანში საკმაო რაოდენობით მოიპოვება ასეთი ინდივიდუალური ასოები—რაკითხვის პროცესის გამაადვილებელ და ხელშემწყობ პირობად ითვლება.

ქართული ასოების ამოკითხვის ხელშემწყობ პირობათაგან, ასოთა ინდივიდუალობის გარდა, მათი ხაზზევით და ხაზქვევით გადაცდენაც უნდა დავასახელოთ. ქართულ ასოთა წარზიდული ნაწილები მკითხველის თვალს ასოთა მიმართულებასა და მოხაზულობაზე აჩერებს. „ასოთა ურთიერთშორისი განსხვავება სიდიდით, განსაკუთრებით კი თავიანთი ზედა და ქვედა ტანის სიგრძე-სიმოკლითა და მოყვანილობით თვითეულ მათგანს უფრო მეტ ნიშანდობლიობასა და მკაფიობას ანიჭებს“<sup>7</sup>. იგი თითოეულ ასოს მკვეთ-

<sup>6</sup> Zur Physiologie und Pathologie des Sehens Goldscheider, und— R. F. Müller. Zeitsch. für klinische Medizin. N. Berlin, 1893.

<sup>7</sup> Ал. Трошин, Психологические основы процесса чтения (по новейшим экспериментально-психологическим исследованиям), СПб, Синодальная типогр., 1900.

<sup>7</sup> ი. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია ანუ დამწერლობათა-მცოდნეობა, 1926.

რად აცალკევებს, სხვა ასოებთან შედარების საშუალებას იძლევა და მკითხველს ცალკეულ ასოთა გარჩევა-გამოცნობას უადვილებს. სწორედ ამ ხაზხევითა და ხაზქვევით გადაცდენილი ნაწილების დახმარებით ხდება მცირე ზომის ასოების გარჩევაც.

ამრიგად, მრავალფეროვნება, ინდივიდუალობა და ასოთა ტოლმეტობა ქართული ასოებისა და შრიფტის სპეციფიკური ნიშანია, რაც შეიძლება ასოთა შემჩნევის, გამოყოფის, სხვა ასოსთან შედარებისა და განსხვავების ხელშემწყობ პირობად ჩაითვალოს. ქართულ ასოთა ეს თავისებურება ხელს უწყობს ნაწერი თუ ნაბეჭდი ნიშნების ნათელ აღქმასა და მათ დახსოვებას.

წერა-კითხვის სწავლების დასაწყის საფეხურზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ნაწერი თუ ნაბეჭდი ნიშნებით მითითებული ბგერების სწორი გამოცნობა და მათი ურთიერთმიკუთვნება. საკითხავი ნიშნებისა და ბგერების ურთიერთმიკუთვნებისათვის არსებითი მნიშვნელობა ეძლევა ენის ბგერების რაოდენობას, მათი აღმნიშვნელი ნიშნების რაოდენობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, აღსანიშნისა (ბგერა) და აღმნიშვნელის (ოპტიკური ნიშანი) ურთიერთობის—იმას, თუ ოპტიკური ნიშნები რაოდენი სისრულით გადმოსცემს მოცემული ენის ბგერებს.

საკითხავი ნიშნები, რომლებიც სრულად გადმოსცემენ ამა თუ იმ ენაში არსებულ ყველა მარტივ ხმას, ბგერას და მუდამ და ყოველ კონკრეტულ მომენტში ერთისა და იმავე ბგერების აღსანიშნავად გამოიყენებიან, ითვლებიან მარტივ და ქარგ ასოებად, რომლებიც აადვილებენ წერა-კითხვის დაუფლების პროცესს. ასობგერათა ასეთი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება უდიდესი ღირსებათაგანია საკითხავი ნიშნების—ანბანისა და შრიფტის, რომელიც დამწერლობათ-მცოდნეობაში მარტივ, უნაკლო და სრულყოფილ ანბანად ითვლება.

სწორედ ეს უდიდესი ღირსება, საკითხავი ნიშნების ერთმნიშვნელოვანება, ერთი ბგერა, ერთი გამომსახველი ნიშანი არის ქართული ანბანისა და შრიფტის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც არც ერთ ევროპულ ენაში არ გვხვდება. პოლიგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილად დამუშავებულ შრიფტად ითვლება ლათინური შრიფტი, რომლითაც სარგებლობს ევროპისა და ამერიკის ყველა მოწინავე ერი. შიუხედავად ამისა, მასში ასობგერათა ერთმნიშვნელოვანობის პრინციპი

დარღვეულია და წერა-კითხვის დამწყებნი, მათი დაუფლების პროცესში, დიდ სიძნელეს აწყდებიან.

ევროპული ენების აღფაბეტებში ხშირად ერთი ნიშნით რამდენიმე ბგერაა აღნიშნული და მათ გამოსაცნობად დამატებითი გრამატიკული კანონების ან ნიშნის ადგილმდებარეობისა და ბგერათა მეზობლობის წესების მოშველიებაა საჭირო. გვაქვს პირიქითაც—ერთი ბგერის გამოსახატავად რამდენიმე გრაფიკული ნიშანია გამოყენებული, რაც, თავის მხრით, მართლწერისა და კითხვის დაუფლებას აძნელებს.

მაგ., ინგლისურ ენაში ასო a (ეი), იმისდა მიხედვით, თუ სიტყვის რა ადგილზე დგას ან რა ასო-ბგერათა კომპლექსშია მოქცეული, სხვადასხვანაირად გამოითქმება: იგი ზოგჯერ o-ბგერას აღნიშნავს, ზოგჯერ—ე-ს და ა. შ. ანდა: ორი ასო ერთადერთი ბგერის აღსანიშნადაა გამოყენებული. მაგ., ch იკითხება როგორც ჩ (child) და სხვა მრავალი. ასევეა ფრანგულშიც, აგრეთვე, შედარებით ნაკლებ, გერმანულსა და ლათინურში. ამ მხრივ არც რუსული ენა წარმოადგენს გამონაკლისს. აქაც მრავალი ასო-ბგერა არ ეთანხმება ერთიმეორეს, მაშინ როცა ქართულ ენაში ასეთი შეუთანხმებლობის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს.

ქართულ ენაში იხმარება 33 სამეტყველო ბგერა, რომელთა გამოსახატავად გამოიყენება 33 ოპტიკური ნიშანი, ე. ი. წერა-კითხვის ახლად დამწყებს ერთ ბგერასთან დასაკავშირებლად არ სჭირდება რამდენიმე ნიშნის აღქმა და, პირიქით, ერთი ნიშნის გამოყენება რამდენიმე ბგერის აღსანიშნავად. ბავშვი ხედავს ერთ ოპტიკურ ნიშანს, ევალება ერთი ბგერის წარმოთქმა და დახსომება, რომ ეს ნიშანი მუდამ და ყველგან მხოლოდ ამ ბგერის გამოხატველი იქნება.

ასო-ბგერათა ასეთი მარტივი დამოკიდებულების გამო ი. ჭავჭავაძე წერს: „ჩვენს ანბანში არ არის იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით უმეტნაკლებობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არა ჰქონდეს. ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე გამარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულებაო“<sup>8</sup>.

კავკასიური ენების სპეციალისტს პ. უსლარს ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილ და უნაკლო ანბანად დაუხასიათებია.

<sup>8</sup> ი. ჭავჭავაძე, გაზეთი „ივერია“, 1889.

ქართული ანბანი „თითქმის ყველა არსებულ ანბანზე (ალფაბეტზე) უსრულყოფილესია. ყოველი ბგერა გამოიხატება განსაკუთრებული ნიშნით და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ბგერას გამოხატავს“<sup>9</sup>. „ანბანი უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგანო“<sup>10</sup> — წერდა დ. ყიფიანი ქართული ასოების შესახებ.

ქართულ ასო-ბგერათა მარტივი ერთმნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება არის ქართული ანბანისა და შრიფტის მეორესპეციფიკური ნიშანი და წერა-კითხვის სწრაფად და უფლების მეორეხელ შემწყობი პირობა.

ქართულ ასოთა კიდევ ერთი მეტად საყურადღებო თავისებურებაა ბექდურისა და ხელნაწერი ნიშნების ერთგვარობა.

ქართულ სასტამბო შრიფტებში რამდენადმე იმავე მოყვანილობის ასოებია ჩამოსხმული, როგორი მოხაზულობაც ხელნაწერ ასოებს აქვთ, ე. ი. წიგნში თითქმის იმავე მოყვანილობის ანაბეჭდ ასოებს ვკითხულობთ, რა სახის ასოებსაც (ორი-სამის გარდა) ვწერთ. ეს თავისებურება მკითხველს ასოების მოხაზულობის გამოცნობასა და წერას უადვილებს. ქართული ბექდური ასოებისა და ხელნაწერის ერთგვარობის შესახებ ი. გოგებაშვილი წერს: „ბექდური ხელის კითხვა ეწევა ნაწერის კითხვასა და ნაწერის კითხვა ბექდურისასა. თუ აქ ერთობა დაირღვა, კითხვა გაძნელებდა დაბეჭდილისაცა და ნაწერისაცა. აგრეთვე წაგებაში იქნება სწრაფი შესწავლა წერისა, რადგან იმგვარივე ასოების წერა, რომელსაც კაცი წიგნში ხედავს კითხვის დროსა, უფრო ადვილია, ვიდრე სხვა გვარისა. ერთი სიტყვით, ერთობა ბექდურისა და ნაწერი ხელისა კაი ღირსებაა და ამ ერთობის დარღვევას არც ერთი გონიერი ადამიანი არ მოინდომებს“<sup>11</sup>.

ქართული ასოების შემდეგი სპეციფიკური ნიშანია სიმრგვალე და ვერტიკალობა ანუ სისწორე. ქართული ასოები აგებულია სწორ ხაზთან შეთანხმებული: რკალეების, რგოლების, ოვალებისა და ალმაცერი ხაზებისაგან, რაც მათ სწორი და მრგვალი მოყვანილობის იერს აძლევს.

<sup>9</sup> П. У с л а р, Этнография Кавказа, Абхазский язык, 1887, гл. 48.

<sup>10</sup> დ. ყიფიანი, გაზეთი „დროება“, № 262, 1880.

<sup>11</sup> ი. გოგებაშვილი, ჩრეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 215.

ასოების სიმრგვალე ეხმარება წერის დაუფლებას. მრგვალი ასოების გამოყვანა უფრო ადვილია და მოსახერხებელი, იგი ხელის თავისუფალ, მსუბუქსა და ერთი მიმართულებით მოძრაობას მოითხოვს, ვიდრე კუთხოვანი ასოების წერა. ამას გარდა, სიმრგვალე ასოებს გარეგნულადაც ლამაზსა და სასიამოვნო შეხედულებას აძლევს.

ქართული ანბანისა და შრიფტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ასოების სისწორე ანუ ვერტიკალობა. სწორი ასოების კითხვაცა და წერაც, გამოცდილი პედაგოგებისა და ჰიგიენისტების აზრით, უფრო ადვილი, ნაკლებდამქანცველი და «თვალეზისათვისაც საამურიცა, ვიდრე გადახრილის. სწორი ასოების წასაკითხად და საწერად ბავშვს არ სჭირდება თვალების დაირიბება, „დაბრეცა“ ან ნაწერისა თუ ნაბეჭდის ირიბად დაქერა. ამის გარდა, ირიბი ანუ გადახრილი ასოს წერა განსახვდრულ გადახრას მოითხოვს, რათა ასო, ირიბის ნაცვლად, წაქცეული არ გამოვიდეს. ამასთან ერთად, სწორი ასოების წერისას ბავშვი სწორად არის ამართული და სხეულის სიმძიმეც ორივე ხელზე თანაბრად ნაწილდება. ირიბი ასოს გამოსაყვანად ბავშვი უნებურად გვერდულად უნდა დაჯდეს, რის გამოც სხეულის სიმძიმე მხოლოდ მარჯვენა ხელს აწევება, რაც მოსწავლისაგან სწორი ასოების წერასთან შედარებით მეტ ჯაფას მოითხოვს<sup>12</sup>.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება ქართული ანბანისა და შრიფტის იშვიათი ღირსებაა, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა ალფაბეტებში არ გვხვდება; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული ასოები წარმოადგენს საესებით უნაკლო საკითხავ ნიშნებს, რომლებიც წერა-კითხვის დაუფლებისათვის არავითარ სიძნელეს არ ქმნის. ქართული ასოების შეთვისების უდიდესი დაბრკოლება მათს სირთულესა და მრავალფეროვნებაშივე მდგომარეობს. თუ ასოების ადვილად შემჩნევა-გამოკვეთისათვის ასოთა მრავალფეროვანი მოყვანილობა ხელსაყრელი პირობაა, იგი ასოთა მოხაზულობის დახსომება-წერისათვის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

ქართულ ასოთა მოყვანილობის მრავალფეროვნება ასოების შემადგენელი ნაწილების სიმრავლესა და მრავალმხრივ მიმართულებაში გამოიხატება. ნაირ-ნაირი წვრილი ნაწილაკების სიუხვე ასოებს ლამაზსა და სახალისო გარეგნობას აძლევს, მაგრამ იგივე გარემოება წერა-კითხვის დაუფლებას ართულებს.

<sup>12</sup> ი. გ. ო. გ. ე. ბ. შ. ე. ლ. ი., ირიბი ხელის უვარგისობა, 1886.

ქართული ასოების შემადგენელ ნაწილებს (განსხვავებით რუსული ასოებისაგან, რომელნიც ვერტიკალური ხაზის რგოლისა და რკალისაგან აიგებიან) შეადგენს ხუთი ძირითადი ელემენტი: სწორი ხაზი, ალმაცერი ხაზი, ოვალი, რკალი და რგოლი. თუ „წვრილმანებსაც“<sup>13</sup> ჩავთვლით, ისინი ოცამდე აღწევენ, ხოლო ჩვენ მიერ „წვრილმანებად“ წოდებული ნაწილაკები ხშირად უფრო რთული და ძნელი შესამჩნევ-გასარჩევ-გამოსაყვანია, ვიდრე ძირითადი ნაწილები. მაგალითად, ნაკლებგამოკვეთილი და ძნელი საწერია ტ (ტ)-ს ბანტი ანუ კვანძი, რომელიც წმინდა ბეწვისებური ხაზითაა ჩამონაკეთული, ჟ (ა)-ს თვალი შემაერთებელი წმინდა ხაზით, უ (უ)-ს კბილები. გ (გ)-ს თავი და მუცელთან მისამაგრებელი წმინდა ბეწვისებური ხაზი და ა. შ. ასოს „წვრილმანებია“ სხვა ასოებისაგან განმასხვავებელი ნაწილები; ესენია ძნელი შესამჩნევ-დასახსომებელი; მათშია ქართული ასოების წერა-კითხვის დაუფლების სიძნელეც.

მაგრამ ქართული ასოების სირთულე და მრავალფეროვნება მარტო წვრილი ნაწილაკების სიუხვით არ ამოიწურება. იგი ასოთა სიგრძე-სიმაღლესა და ხაზზე სხვადასხვაგვარ განლაგებაშიც მდგომარეობს. ქართული ასოები, ევროპული და რუსული ენის ალფაბეტებისაგან განსხვავებით, ოთხხაზოვან სისტემაზეა დაფუძნებული, თავისი მოყვანილობით ტოლმეტ ასოებს წარმოადგენენ და დიდი მანძილით სცდებიან ხაზზევითა და ქვევით.

ქართული ასოები, ხაზზე განლაგების მიხედვით, შეიძლება გავანაწილოთ ოთხ ჯგუფად: პირველ ჯგუფშია ისეთი ასოები, რომელთაც წარზიდული ნაწილები არა აქვთ და ორ პარალელურ ხაზს შუა თავსდება, აქვს მხოლოდ შუატანი და ასევეც იწოდებიან—„შუატანის“<sup>14</sup> ასოები.

ქართულ ანბანში 33 ასოდან შუატანის ასოა ოთხი (ა, თ, ი, თ), წინააღმდეგ რუსულისა, სადაც 32 ასოდან 26-ია შუატანის, და ევროპულისა (23 ასოდან—თოთხმეტი ასო).

მეორე ჯგუფშია ისეთი ასოები, რომელთაც აქვთ შუატანი და წაგრძელება ზევით—ე. წ. „ზედატანიანი“ ასოები. ამ სახის ასო ქართულში 12-ია (ბ, ზ, მ, ნ, პ, რ, ს, შ, ჩ, ძ, ხ, ჰ), რუსულში—ერთი, ევროპულ ენებში—ხუთი.

<sup>13</sup> მ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე, ქართული ანბანის აგების ძირითადი პრინციპები, 1952.

<sup>14</sup> ასოს მთლიან მოყვანილობას ტანი ჰქვია, მის წარზიდულ ნაწილებსაც თავისი აღმნიშვნელი სახელები აქვს: შუატანი, ზედატანი, ქვედატანი და მთლიანი ტანი. ბ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955.

მესამე ჯგუფშია ისეთი ასოები, რომელთაც აქვთ შუატანიც: და წაგრძელება ქვევით ანუ „ქვედატანიანი“ ასოები. ქართულში ასეთი ასოა თოთხმეტი (ვ, გ, დ, ე, კ, ლ, მ, ტ, უ, ფ, ღ, ყ, ც, ჯ), რუსულში—ორი და ევროპულ ენებში—ხუთი.

მეოთხე ჯგუფშია ასოები, რომელთაც აქვთ შუატანიც, ზედატანიც და ქვედატანიც, რომელთაც ოთხ პარალელურ ხაზში მთლიანი ზომა უჭირავთ და „მთლიანი ტანის“ ასოები ეწოდებათ<sup>15</sup>. ასეთი ასო ქართულში სამია (ქ, წ, ჳ), რუსულში—ერთი და ევროპულ ენებში—არცერთი.

ცხრილი 1

ასოთა ხაზზე განლაგების მაჩვენებლები ქართულ, რუსულსა და ევროპულ ენებში

ალფაბეტის დასახელება	ასოთა რაოდენობა	შუატანის ასოები	ზედატანის ასოები	ქვედატანის ასოები	მთლიანი ტანის ასოები
ქართული	33	4	12	14	3
რუსული	32	28	1	2	1
ევროპული ენების	26	14	7	5	0

დასახელებულ ალფაბეტებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართულ ანბანს დიამეტრულად საწინააღმდეგო სახე აქვს.

თუ რუსულისა და ევროპული ენების ალფაბეტებისათვის, ძირითადად, „შუატანის“ ასოებია დამახასიათებელი, ქართულისათვის, პირიქით, „ზედა და ქვედატანიანი“ ასოებია სპეციფიკური. ამასთან ერთად, რუსულსა და ევროპული ენების ასოებში ხაზგადაცდენილი, ზედა და ქვედა ნაწილები მოკლეა და მარტივი; ქართულ ასოთა ნაწილები კი შუატანის ასოებზე ორჯერ და სამჯერაც უფრო გრძელია, რადგან ქართული ასოების ურთიერთისაგან განმასხვავებელი ნაწილები, უმთავრესად, ხაზზევით ან ხაზქვევით გამოიყვანება და ისინი ცენტრალურ ნაწილებზე უფრო მნიშვნელოვანია; ესენი არიან ასოს ძირითადი, განმასხვავებელი ნაწილები. ამის გარეშე, „ქართულ ასოებს რომ სიგრძე მოვაკვეცოთ, ასოს გამოჩვენება გაინელებდა“<sup>16</sup>. ქართული ასოს სიგრძის ზედმეტობა გამოწვეულია ასოთა მოხაზულობის სპეციფიკურობით, რაც ერთგვარად გვეხმარება ასოთა გამოცნობაში: მაგრამ ამავე დროს ხაზიდან დიდ მანძილზე ზევით და ქვევით ასულ-ჩამოსული ასოები აჭრელებენ ნაბეჭდს და აინელებენ სწრაფსა და სწორ კითხვას.

<sup>15</sup> ბ. გ. ო რ დ ე ხ ი ა ნ ი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955.

<sup>16</sup> ივ. მ ქ ე დ ლ ი შ ე ი ლ ი, ბეჭდვითი ხელოვნების ისტორიიდან, 1925.



წერა-კითხვის ახლად დამწყებს, რადგან თვალი მიუჩვეველი აქვს ასოებზე თვალების გაყოლებას, უკირს ასულ-ჩამოსული გრძელი და ქრელი ასოების ურთიერთგარჩევა და წერა. მოსწავლეს რაკი ჯერ არა აქვს ხელი გაწაფული ასოების წერაში, ასოს თითოეული ნაწილი ძლივძლივობით გამოჰყავს,—მას არ შეუძლია განსაზღვროს, რა მანძილზე ავიდეს ან ჩამოვიდეს ხაზზევითა და ქვევით, რის გამოც ხშირად ასოების თავსა და ბოლოს შეუფერებელ სიდიდეს აძლევს და დიდ ხანსაც ანდომებს. ი. გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სირთულე და ზედმეტი სიგრძე ქართული ასოებისა რჩება მაინც ერთგვარ პირობად, რომელიც ხელს უშლის ყველა სხვა ხელსაყრელ პირობათ და აბრკოლებს წერა-კითხვის სწრაფად შეთვისებას“<sup>17</sup>. როგორც ვხედავთ, ქართული ასოების ზედმეტი სიგრძე შეიძლება რამდენადმე უარყოფით თვისებადაც ჩავთვალოთ.

ქართული ასოები სიგანის მხრივაც არ არიან ერთგვაროვანი. XIX საუკუნის ჩათვლით ქართული შრიფტები სიგანით 18 ჯგუფისაგან შედგებოდა. როგორც ჩანს, ქართული სასტამბო შრიფტების შემდგენლები თითოეულ ასოს განცალკევებულ მოვლენად თვლიდნენ და სიგანის მხრივ ერთისა და იმავე ტიპის ასოებს თვითნებურ ზომას აძლევდნენ.

დ. შვეარდნაძეს ქართული შრიფტების სიგანის ასეთი სიმრავლე გაუმართლებლად ჩაუთვლია. მას ნიმუშად ლათინურ ასოთა სიგანის ზომების რაოდენობა აუღია და ქართული ასოების დაჯგუფება იმის მიხედვით უცდია. მან ქართული ასოები სამ სხვადასხვა სიგანის ჯგუფად დაანაწილა. პირველ ჯგუფში მოათავსა ისეთი ასოები, რომელნიც სიგანით ორ შვეულ ხაზზე ეტევა. ჩაგ ი, ა, ბ, გ, მ, ნ, ვ და სხვა (ლათინური n-ის სიგანის მსგავსად); მეორე ჯგუფში—ასოები, რომელნიც თავისი სიგანით სამ შვეულ ხაზს მოითხოვენ, მაგალითად: თ, ფ და სხვა (ლათინური m-ის მსგავსად); მესამე ჯგუფში—ასოები, რომლებიც თავისი სიგანით პირველი და მეორე ჯგუფის ზომის შუა ადგილს იკერენ, ე. ი. n-ის სიგანეზე მეტს და m-ზე ნაკლებს; მაგალითად, ო, უ, ლ, ტ და სხვა; და, ბოლოს, სრულიად გააცალკევა ასო ლ, რომელიც ოთხ შვეულ ხაზში თავსდება<sup>18</sup>.

<sup>17</sup> Я. Гогобашвили. О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения, 1902.

<sup>18</sup> დ. შვეარდნაძე, ქართული სასტამბო შრიფტების რეფორმა. ნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 10—12, 1933.

ქართული შრიფტების სპეციალისტმა ბ. გორდეზიანმა არ გააზიარა დ. შევარდნაძის აზრი ქართული ასოების სიგანის ლათინური ასოების სიგანის პარალელურად დაჯგუფების შესაძლებლობის შესახებ. მან, საერთოდ, უსაფუძვლოდ ჩათვალა ქართულსა და ლათინურ შრიფტებს შორის პარალელიზმი, მათ შორის თვისობრივი განსხვავების გამო, და სრულიად მიუღებლად ცნო ორი პარალელიდან წარმოშობილი ლათინური ასოების (ანბანის) პროპორციების ოთხ პარალელზე დაფუძნებულ ქართულ ასოთა პროპორციებთან გათანაბრება.

ქართული შრიფტის კომიტეტში ამ უკანასკნელ ხანებში ბ. გორდეზიანმა დააჩხადა და საბოლოოდ დაამუშავა არსებულ შრიფტებს შორის ყველაზე მარტივი მოყვანილობის შრიფტი „მკაფიო გარნიტურა“, რომელიც სიგანის მხრივ (ნაცვლად 18-სა და სამისა) 12 ზომაზეა დაყვანილი. ამავე დროს ბ. გორდეზიანი თვლის, რომ შრიფტის ზომა (სიგანით) უმტკივნეულოდ დაიყვანება შვიდამდეც; ისე რომ, არავითარი ცვლილება არ მოხდება ასოთა გრადენტში: ერთნაირი ზომის იქნება ასოები—ა, მ, ნ, ს, ძ, ჰ, ჩ, კ; თანაბარი ზომის—ე, ვ, კ, უ, ბ, ი, ყ, ჰ, ქ, ჰ; ცალკე ზომა ექნება გ-ს; თანაბარი სიდიდე ექნება შ და ც-ს; ერთნაირი—ზ, რ, ფ, ლ, ჯ, თ, მ, დ, უ და წ-ს; განსხვავებული ზომები ექნებათ: ტ-სა და ლ-ს<sup>19</sup>. ამრიგად, ასოთა სიგანის ნაირნაირობაც ერთგვარად ართულებს ასოთა მოყვანილობას.

ქართული შრიფტების დაწვრილებითი შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ასოების სიგანის შემცირება კიდევ უფრო მეტად უნდა იყოს შესაძლებელი.

შრიფტის ადვილად წაკითხვის ერთ-ერთ მთავარ პირობას ასოთა ნაკვეთების ფონიდან მკვეთრად გამოყოფა წარმოადგენს. ასოთა ნაკვეთების მკაფიოობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასოთა შემადგენელ ხაზებს, მათ სისქეს, ძირითადი და დამხმარე ხაზების ურთიერთშეთანხმებას, ხაზების ნაირობას, ასოს ტანის აგებულებას—ერთბაში ხაზებითაა თუ განსხვავებული.

ქართული შრიფტი, ყველა სხვა შრიფტის მსგავსად, ხელნაწერისაგან არის წარმოშობილი. დამწერლობის დასაწყის პერიოდში ასოები ერთბაში, თანაბარი სისქის ხაზებისაგან ინაკვეთებოდა, რაც გაპირობებული იყო საწერი იარაღისა და საწერი მასალისაგან. საწერი მასალისა და იარაღის ცვალებადობამ დალი

<sup>19</sup> ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955.

დაასვა ასოების არა მარტო მოყვანილობას, არამედ მისი ხაზების სისქესაც. იგი დანაზდა, დაწმინდადა და, ასოს მოყვანილობის გამოყვანისას, ხელის დანაჭერი ადგილებიც მკვეთრად გამოჩნდა. ასოს ხაზები ზოგან გასქელდა, ზოგან—დაწერილდა, ასოს დასაწყისები და ბოლოები სხვადასხვა ხაზებით გამოიკვეთა. ასოს პატარა ნაწილები თვალსაჩინოდ განსხვავებული ხაზებით შეუერთდა ძირითად ნაწილებს, რამაც ხელნაწერ ასოებში წარმოშვა ორგვარი ხაზი: წმინდა (ბეწვისებური) და მსხვილი (ერთბაში). მათი ურთიერთშეთანაბრება დამოკიდებული იყო ასოების ნიშნულების შემქმნელზე. ამრიგად, ქართულ შრიფტებში დამკვიდრდა ორი ძირითადი მოხაზულობა: ერთი—განსხვავებული ხაზებისაგან (წმინდა, ბეწვისებური და მსხვილი ხაზებისაგან) შემდგარი შრიფტების ჯგუფი, როგორცაა „დედა ენის გარნიტურა“, და მეორე—ისეთი შრიფტების ჯგუფი, რომელიც ერთბაში ხაზით გვევლინება—„მკათიო გარნიტურა“. ამ ორი მოხაზულობის გარდა, ქართულ სასტამბო შრიფტებში არსებობს შრიფტების მესამე სახე, რომლის ასოებიც თანაბარი სისქის ხაზის ასოთა შთაბეჭდილებას ქმნიან, მაგრამ მათი ძირითადი და დამხმარე ნაწილები ურთიერთისაგან ოდნავ განსხვავებული სისქის ხაზებისაგან შედგება. მათ რიცხვს ეკუთვნის „ჩვეულებრივი გარნიტურა“, „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტი. ასეთია ქართული შრიფტების ძირითადი თავისებურებები.

ენახოთ, რას წარმოადგენს ქართულ საანბანო წიგნში გამოყენებული შრიფტი, რა მოეთხოვება მას და აკმაყოფილებს თუ არა დღევანდელი საანბანო შრიფტი მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს, ვაწვდით თუ არა წერა-კითხვის ახლად დამწყებს დედა ენაში მოცემული შრიფტით მათთვის შესაფერ ასოებს.

### საბავშვო საანბანო შრიფტის წინაშე წაყენებული მოთხოვნები

მას შემდეგ, რაც (პირველად 1629 წელს) ლითონზე გაკეთდა და ჩამოისხა ქართული მოძრავი ასო, მოხდა ყველა სახის ხელნაწერი ასოს გარჩევა, ურთიერთშედარება და, სასტამბო ტექნიკასთან შეფარდებით, გადაკეთება. სტამბის შემოღებამ გააძლიერა ასოთა მკათიობის, სილამაზისა და ეკონომიურობისადმი სწრაფვა. ამის მისაღწევად ასოებმა მრავალგზის იცვალეს თავისი გარეგნული სახე, რამაც შრიფტების სხვადასხვა მოხაზულობის წარმოშობა და ასოთა ნაწილების პროპორციული ურთიერთობის ცვალებადობა გამოიწვია.

ტექნიკის განვითარებამ და გამოცემათა სხვადასხვა ხასიათმა შექმნა განსხვავებული მოყვანილობისა და თავისებურებების მქონე

შრიფტები, რომლებიც სასტამბო მეურნეობაში სხვადასხვა დანიშნულებისათვის დაიკვიდრდა, სახელდობრ: სატექსტო, სატიტულო, სააფიშო და საბავშვო. ყველა ესენი ურთიერთისაგან განსხვავდებიან თავიანთი გარეგნობით, ხაზების შეთანხმებითა და სისქით, სინათლითა და სიმუქით, ხაზების რაოდენობით (ერთხაზიანი ან ორხაზიანი), ასოთა თვალის სიგანითა და მდებარეობით (სწორი ან ირიბი) სიმაღლითა და სიგანით.

ზემოთ ჩამოთვლილი შრიფტები—სატექსტო, სატიტულო. სააფიშო, საბავშვო—გარკვეულ მიზანს ემსახურება, ამიტომ თითოეული მათგანი მიზნის შესაფერ მათხოვნას აკმაყოფილებს.

შრიფტი—რა სახისა და მოყვანილობისაც არ უნდა იყოს, რა მიზანსაც არ უნდა ემსახუროდეს—ერთ ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, სახელდობრ: ჰქონდეს მკაფიო გარკვეული ანაბეჭდი, ე. ი. იკითხებოდეს. მაგრამ, იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებისთვისაა გამოყენებული, ამ ძირითად მოთხოვნას (მკაფიობას) ემატება სხვა მოთხოვნები, რომლებიც ძირითადი მოთხოვნის გვერდით დგება და აუცილებელ პირობად იქცევა. მაგალითად, სატექსტო შრიფტად არ გამოდგება ყველა მკაფიო შრიფტი; იგი, მკაფიობასთან ერთად, მარტივი, ზედმეტი ნიშნებისაგან თავისუფალი გარეგნობისა და ეკონომიური უნდა იყოს. მასში სასურველი არ არის ასოს ძირითადი დამხმარე ხაზების სხვადასხვაობა, რადგან ტექსტების ასაწყობად (ქალაქის ფორმატის შესაფერისად), უმთავრესად, მცირე კეგელის შრიფტები გამოიყენება. ტექსტში, ძირითად შრიფტთან ერთად, ხშირად საჭირო ხდება ამავე შრიფტის პეტიტის ან ნონპარელის ხმარებაც; ორხაზიანი შრიფტის პეტიტსა და, მით უმეტეს, ნონპარელზე დაყვანისას წმინდა ბეწვისებური ხაზები გაქრება, ასოების მცირე რგოლებს გარკვეულობა და სიცხადე მოაკლდება, შეიქნება დაწყვეტილი შრიფტის სახე, რაც ასოთა გარჩევასა და ამოკითხვას გააძნელებს.

პრაქტიკულადაც შემოწმებულია, რომ მცირე ზომის ერთხაზიანი შრიფტი უფრო ნათელ და ცხად ანაბეჭდს ქმნის, ვიდრე ორხაზიანი და რომ ერთხაზიანი მცირე ზომის შრიფტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უფრო თავისუფლად იკითხება, ვიდრე ორხაზიანი; ამასთან ერთად, პოლიგრაფიული წარმოება სატექსტო შრიფტს, პირველ რიგში, ეკონომიურობის თვალსაზრისითაც არჩევს, მან უნდა დაზოგოს ქალაქი. სატექსტო შრიფტის მოთხოვნებს შორის არც სილამაზეა დავიწყებული—მარტივი, მკაფიო და ეკონომიური შრიფტი ლამაზი და სახალისო საკითხავიც უნდა

იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში სქელტანიანი წიგნების უზნო, ულა-ზათო ასოებით კითხვა უსიამოვნოა და დამქანცველი.

სატიტულო და საათიშო შრიფტებს არ მოეთხოვებათ არც სიმარტივე, არც ეკონომიურობა, არც სისწორე და პროპორციულობა. დაშვებულია თითქმის ყოველნაირი ფორმის, სირთულის, მდებარეობისა და პროპორციულობის ასოები (განსაკუთრებით, საათიშო შრიფტებში). სატიტულო და საათიშო შრიფტების მთავარი დანიშნულებაა მკითხველის თვალის შეჩერება, მიტაცება; ამიტომ მათი ასოები უნდა გამოირჩეოდნენ თავიანთი მეტისმეტი ორიგინალური მოხაზულობითა და ზომით. მიღებულია ასოთა სიკრულე და გალამაზებული ელემენტების სიუხვე. სატიტულო და საათიშო შრიფტები, წინააღმდეგ სატექსტოსი, რაც შეიძლება მსხვილ კეგელზე გადიდების საშუალებას უნდა იძლეოდეს ისე, რომ ასოების სახე არ იცვლებოდეს. საათიშო შრიფტები რაც შეიძლება დიდ, შორიდან შესაინჩნევ და „მყვირალა“ ასოებს უნდა ქმნიდეს. საბავშვო-საანბანო შრიფტს მკვლევრები და ჰიგიენის სპეციალისტები სულ სხვა მოთხოვნებს უყენებენ.

წერა-კითხვის ახლად დამწყები კითხვას იწყებს ცალკეული ასოებით. იგი ასოს მოყვანილობასა და მის შემადგენელ ნაწილებს თავდაპირველად საანბანო-სასწავლო წიგნით მიწოდებული ასოების ნიმუშების მიხედვით ეცნობა, ხოლო „ასოების უშეცდომოდ ცნობას მხოლოდ ასოს ყოველი ელემენტისა და მისი დამახასიათებელი თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე სწავლობს“<sup>20</sup>. ამიტომ ნაბეჭდი ასოს ყოველი ელემენტი—ძირითადი თუ დამხმარე ნაწილი—მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, რომ ბავშვს მისი ნათელი აღქმა არ გაუჭირდეს.

შრიფტების სპეციალისტის კ. ვახრაშვილის აზრით, „საბავშვო ლიტერატურის შრიფტის შერჩევის დროს გადამწყვეტი როლი აქვს მის სახეს. მას მარტივი, სადა ადვილსაკითხავი მოხაზულობა უნდა ჰქონდეს. უნდა ვერ იდოთ შრიფტის გამალამაზებელი ელემენტების „სამკაულების“ სიჭარბეს, ელემენტებისას, რომელნიც აბრკოლებენ კითხვის პროცესს“<sup>21</sup>. შ. შჩელკუნოვიც გადაჭრით უარყოფს საბავშვო შრიფტში სამკაულების არსებობას და აღნიშნავს, რომ „ზედმეტი მოკაზმვა-შელა-

<sup>20</sup> О. В. Флеров, Гигиенические требования к букварю. Известия АПН РСФСР, вып. 51, 1953.

<sup>21</sup> კ. ვახრაშვილი, საბავშვო ლიტერატურის შრიფტი, 1924.

მაზება შრიფტისა, დეკორატიულობა სრულებით მიუღებელია, როგორც კითხვის პროცესის შეშფერებელი“<sup>22</sup>.

ა. სიღორთვის აზრით, „შრიფტი თავისი მოხაზულობით უნდა იყოს მარტივი, ადვილად საკითხავი, რომელსაც არ ექნება ზედმეტი ორნამენტული ნიშნები, რასაც სიქრელე შეაქვს ნაბეჭდში და მეტხანს აჩერებს თვალს ასოს ამოკითხვისათვის რაც შემდგომად მიუღებელია კითხვის პროცესისა. შრიფტში აუცილებელია ასოთა ინდივიდუალიზაცია და დაუშვებელია მათ შორის მსგავსება“<sup>23</sup>.

„არადამაკმაყოფილებელია შრიფტი ზედმეტად დაწვრილებული ელემენტებით, რადგან იგი მკითხველის თვალს საკმაოდ ვერ შეაჩერებს ასოს ელემენტებზე. მხოლოდ შეთანხმება მსხვილი და წვრილი ხაზებისა ქმნის შრიფტის მკაფიობას“<sup>24</sup>.

საბავშვო შრიფტისადმი წაყენებულ მოთხოვნებში შრიფტის სილამაზე უკანა რიგებშია დაყენებული. „საბავშვო წიგნისათვის იმდენად შრიფტის სილამაზე არაა აუცილებელი, რამდენადაც მისი ადვილ-საკითხაობა, სისადავე, ტიპიურობა და გარკვეულობა ასოების მოხაზულობისა. აი რა უნდა იქნეს პირველ ადგილზე წამოწეული“<sup>25</sup>.

ფლეროვის აზრით, ანბანის შრიფტმა უნდა უზრუნველყოს:

„1. ტექსტის სრული გამოკვეთილობა წერა-კითხვის დამწყები მოსწავლის მხედველობის დაძაბვის გარეშე; 2. შრიფტის სახე (მოყვანილობა) ანბანიისათვის უნდა იყოს მკაფიო, ნათლად გამოკვეთილი ასოებითა და დამხმარე ხაზების დიდი განსხვავებით; 3. ანბანის სწავლების დასაწყის ეტაპზე, დედა ენის პირველ გვერდებზე, მისაღებია შრიფტის დიდი ზომა, კეგელი 48 და 36, შემდეგი ეტაპისათვის—კეგელი 28 და შესამე ეტაპისათვის—24 (20) კეგელი. 16 კეგელის გამოყენება დასაშვებია ანბანის მომდევნო განყოფილებაში (საკითხავ მასალაზე გადასვლისას); 4. ანბანის ძირითადი შრიფტი მთელ წიგნში უნდა იყოს ერთი და იგივე, ასოს ზომის თანდათანობითი დაკლებით; 5. ანბანში დაუშვებელია ძველი, ნახმარი, დამტკრეული შრიფტის გამოყენება“<sup>26</sup>.

<sup>22</sup> შ ჩ ე ლ კ უ ნ ო ვ ი, შრიფტის სილამაზის პრინციპები, 1924.

<sup>23</sup> ა. ს ი დ ო რ ო ვ ი, შრიფტის თეორია, 1924.

<sup>24</sup> ვ. ფ ა ლ ი ლ ე ე ვ ი, შრიფტის კომპოზიციური საფუძვლები, 1924.

<sup>25</sup> ა. ვ ა ხ რ ა მ ე ე ვ ი, საბავშვო ლიტერატურის შრიფტი, 1924.

<sup>26</sup> О. В. Ф л е р о в, Гигиенические требования к букварю, Известия

ჰიგიენის სპეციალისტი სოვეტოვი შექმნევ მოთხოვნებს აყენებს: „I. სასწავლო-საანბანო წიგნის შრიფტი უნდა უზრუნველყოფდეს ნორმალური თვალისათვის მხედველობითი აღქმის სრულ სიცხადეს; II. ასოებისა და სხვა ნიშნების სიდიდე უნდა უზრუნველყოფდეს ფორმა-გამოსახულებისა და მათი ელემენტების 30—35 სმ-დან გარჩევას, ე. ი. იმ მანძილიდან, რა მანძილზედაც, ჩვეულებრივად, იკითხება წიგნები; III. ასოები მკვეთრად უნდა იკვეთებოდნენ საერთო ფონიდან; არ უნდა მოითხოვდეს განათების გადიდებას ან თვალების წიგნთან მიახლოებას; IV. შრიფტის ფორმა უნდა იყოს მარტივი მოხაზულობის, ზედმეტი ხვეულებისა და სამკაულების გარეშე; V უნდა ავირჩიოთ ისეთი შრიფტი, რომელიც ერთიმეორისაგან მკვეთრად განასხვავებს მოხაზულობით მსგავს ასოებს; VI. დაუშვებელია გაკვეთილი, დაკბილული შრიფტის გამოყენება“<sup>27</sup>.

რაკი ქართულ ხელნაწერსა და ნაბეჭდ ასოებს შორის დიდი სხვაობა არ არის, მიზანშეწონილია საანბანო წიგნის საკითხავსა და საწერ ნიშნებს ერთნაირი ფორმა ჰქონდეთ, საწერი ნიშნები იმეორებდეს საკითხავი ნიშნების მოხაზულობას, ვინაიდან „ბეჭდური ხელის კითხვა ეწევა ნაწერის კითხვასა და ნაწერის კითხვა ბეჭდურისას, რადგანაც იმგვარივე ასოების წერა, რომელსაც კაცი წიგნში ხედავს კითხვის დროსა, უფრო ადვილია, ვიდრე სხვაგვარისა“<sup>28</sup>. ამასთან ერთად, არც მისი სილამაზა და ეფუყებუ-ლი—საკითხავ-საწერი ნიშნები ლამაზიც უნდა იყოს.

ამრიგად, საბავშვო საანბანო შრიფტი უნდა იყოს: მკაფიო, ფონიდან მკვეთრად გამოკვეთილი, ადვილსაკითხავი, მარტივი, სადა, ტიპური მოხაზულობის, სადაც ნაკლებად იქნება ნოცემული ასოთა ურთიერთმსგავსება, ზედმეტი ორნამენტული ნიშნების ანუ სამკაულებისა და ზედმეტად დაწვრილებული ელემენტებისაგან თავისუფალი, შესაფერი სიდიდის, სათანადო სილამაზის, საკითხავი ნიშნების ფორმის საწერი ნიშნების ფორმადაც გამოსაყენებლად ვარგისი და, ბოლოს, არ უნდა იყოს დამტვრეული.

ასეთია ის მოთხოვნები, რომლებიც სასწავლო-საანბანო შრიფტმა უნდა დააკმაყოფილოს.

<sup>27</sup> С. Е. Советов, Школьная гигиена, 1940.

<sup>28</sup> ი. გოგებაშვილი, რბული ნაწერები, ტ. II. „ირიბი ხელის უჯარგისობა“, 1940.

ენახოთ, როგორია ამჟამად მომქმედ ქართულ საანბანო წიგნში („დედა ენაში“) გამოყენებული შრიფტის ფორმა და რამდენად აკმაყოფილებს იგი ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

### ქართული „დედა ენის“ შრიფტის თავისებურებანი

ქართული საანბანო წიგნის „დედა ენის“ ძირითადი მასალა დაბეჭდილია ე. წ. „ი. გოგებაშვილის“<sup>29</sup> შრიფტით, კეგელი<sup>30</sup> 24-ით, საკითხავი მასალა—იმვე შრიფტის კეგელი 16-ით; დავალებები და სავარჯიშოები—„ხომლი“ ანუ ციცერო კეგელი 12-ით (ნათელითა და შუქით). გვხვდება ამავე შრიფტის მცირე ზომაც—კეგელი 10 და, ბოლოს, წერის ნიმუშები მოცემულია საწერი დედანის შრიფტით.

„ი. გოგებაშვილის“ შრიფტის დაბასიათებამდე ორიოდ სიტყვით განვიხილოთ ქართული შრიფტების მდგომარეობა იმ დროისთვის, როდესაც ქართულ „დედა ენას“ საფუძვლად დაედო ზემოხსენებული შრიფტი.

ქართული შრიფტი ანუ მოძრავი ასო (ამოკვეთილი ან ლითონზე ჩამოსხმული), ევროპულ ენებთან შედარებით, 175 წლით გვიან შეიქმნა. წიგნი ქართული შრიფტით პირველად დაიბეჭდა 1629 წელს, ისიც—საქართველოს გარეთ, რომში, უცხო ენასთან შერევით. ეს წიგნი იყო ქართულ იტალიური ლექსიკონი. ამ ლექსიკონში გამოყენებული შრიფტი თეიმურაზ პირველის მიერ ევროპაში (1626—1629 წლებში) გაგზავნილი საიდუმლო წერილიდან ამოკრეფილი ასოების მიხედვით არის ჩამოსხმული, ამიტომ იგი ხელნაწერის ასლს უფრო გავს, ვიდრე ბეჭდურს. მასში თათოეული ასო ზუსტად ისეა ჩამოსხმული, როგორც იგი წერილში ყოფილა მოცემული—ერთი და იგივე ასო ხან რომელიმე ასოსთანაა გადაბმული, ხან ცალკეა, ასევე არ არის შრიფტის ქვედა და ზედა ხაზების ზომები. შემდეგში, აღნიშნული შრიფტის ნაკლოვანებანი რომში ჩასული ქართველი მოღვაწეების დახმარებით გაუსწორებიათ

<sup>29</sup> შრიფტი „ი. გოგებაშვილი“ დღეს შეტანილია დედა ენის გარნიტურში და ასევე იწოდება: „დედა ენის გარნიტურის“ შრიფტი.

<sup>30</sup> კეგელი—სასტამბო ზომათა სისტემაში მიღებული შრიფტის საზომი ერთეულია, რომელიც ითვლება პუნქტებით: ერთი პუნქტი უდრის 0,376 მმ-ს მაგ., შრიფტი 10 კეგელზე ნიშნავს იმას, რომ ლიტერის ზედა და ქვედა გვერდებს შორის მანძილი უდრის 10 პუნქტს, სასტრიქონო თვალის ზომა კი, დაახლოებით, 5 პუნქტს (ბ. გორდუხიანი).



და ასოებიც გაუშუქობესებიათ. ამ გალამაზებული შრიფტიდან შეუქმნიათ ახალი ყალიბები და ჩამოუსხამთ ე. წ. რომაული ანუ რომული შრიფტი.

1703 წ. ბუქარესტში შექმნილა ახალი სახის ქართული შრიფტი ნუსხური ასოებით, რომელთა ყალიბები 1708 წ. მოუტანიათ თბილისში.

1710 წ. მოსკოვში ჩამოუსხამთ ქართული შრიფტი ხუცური ასოებით.

1783 წ. თეიმურაზ ბატონიშვილს საკუთარი ნახაზების მიხედვით პარიზში დაუმზადებინებია სრულიად ახალი სახის შრიფტი, რომლის საფუძველზეც 1846 წელს აკადემიკოს ბროსესა და პროფესორ ჩუბინოვს გაუკეთებიათ ახალი ასოები და გადაუციათ პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიისათვის, სადაც შეიქმნა ახალი ქართული შრიფტი, კეგელი 16, ეგრეთ წოდებული აკადემიური შრიფტი.

1865 წ. მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის ნახაზების მიხედვით შექმნილა ახალი ქართული შრიფტი, რომელიც ვენაში ჩამოუსხამთ და „ვენურის“ სახელს ატარებს.

ამავე წელს თბილისში გახსნილა ქართული სტამბა, სადაც, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შრიფტებისა, იხმარებოდა მელიქიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი შრიფტი, რომელიც მელიქიშვილის სახელსვე ატარებდა. ამ შრიფტის ასოები მეტად წვრილი და პატარა მოცულობის ყოფილა.

1876 წლისთვის ქართულ სტამბებში მხოლოდ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი შრიფტები მოიპოვებოდა და ისიც მცირე რაოდენობის კეგელებით. თითოეულ შრიფტს მხოლოდ ორ-ორი ზომით ჰქონია მსხვილი და მცირე კეგელი.

„დედა ენის“ შემდგენელს დედა ენისთვის საჭირო შრიფტი არსებული შრიფტების სახეებიდან უნდა ამოერჩია. ი. გოგებაშვილს დედა ენისთვის შეურჩევია აკადემიური შრიფტი, კეგელი 16. მას შრიფტის ზომა (16 კეგელი) საანბანო წიგნისთვის შეუფერებლად ჩაუთვლია, 24 კეგელამდე გაუდიდება და „დედა ენა“ ამ ზომის შრიფტით დაუბეჭდია. მანამდე არსებული ქართული საანბანო წიგნები იბეჭდებოდა მელიქიშვილის შრიფტით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პატარა და წვრილასოებიანი ყოფილა. შრიფტის ეს ნაკლი ქართველ მოღვაწეებს შეუძინვეელი არ დაჩინიათ და ჯურნალ „იმედში“ გადამიეღს ერთ-ერთ წერილში საგანგებოდ აღუნიშნავს „ყმაწვილთათვის პირველი საკითხავი წიგნის“ შრიფტის

უვარგისობა. ი. გოგებაშვილი ამ წერილის საპასუხო წერილში, რომელიც გახეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა, გადაღმიელს განუმარტავს, რომ „წუნი, რომელსაც გადაღნიელი სდებს ანბანსა, არის შრიფტის ასოების სიპატარავე. ეს ნამდვილი ნაკლოვანებაა... ანბანი, მართალია, უფრო მოგრძო ასოებით უნდა იყოს დაბეჭდილი, მაგრამ ხეირიანი შრიფტი სრულიად არ მოეპოვება ჩვენებურს სტამბებში. მელიქიშვილის შრიფტს აქვს მსხვილი ასომთავრული, მაგრამ ისეა ქართული შრიფტის თავისებურებებს მოკლებული და ისე ძლიერ განირჩევა ჩვეულებრივი შრიფტისგან, რომ მითი დაბეჭდვა მთელის ანბანისა ყოვლად შეუძლებელია.

აკადემიის ასოებში იპოვება მონსხო მეთექვსმეტე ნომრის შრიფტი, ესეც მეტად უწნო და ტლანქია და გარდა ამისა არ უდგება სრულიად ჩვეულებრივს შრიფტსა, რომლითაც იბეჭდებიან თავდაპირველითგანვე ჩვენი სახელმძღვანელოები და რომელნიც უფრო კარგს, შრგვალს და გარკვეულ შრიფტად მიგვაჩნია“<sup>21</sup>.

როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილს, სასტამბო შრიფტების სიღარიბის გამო, დედა ენისთვის აკადემიურ შრიფტზე უფრო შესაფერი შრიფტის ამორჩევის საშუალება არ ჰქონია, ამიტომ იგი იძულებული გახდა თავისივე დაწუნებული — „ესეც მეტად უწნო და ტლანქია“ -- შრიფტი სასწავლო-საანბანო შრიფტად გამოეყენებია.

დედა ენის შრიფტის შერჩევაზე, მისი სათანადო ზომით გადიდებასა და იმით დედა ენის დაბეჭდვაზე უზრუნია ი. გოგებაშვილს, რომლის მიერ შერჩეული შრიფტი მას შემდეგ ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს.

„აკადემიური შრიფტი“ ანუ შრიფტი „ი. გოგებაშვილი“ ორი ზომით განისაზღვრებოდა: კეგელი 16 და 24. ახლა ამ შრიფტის ზომები გამრავლდა და გვაქვს კეგელი 10. 12. 16. 20. 24<sup>22</sup>.

შრიფტის ზომების გარდა შრიფტის სახეობებმაც იმატა, რამაც აუცილებელი გახდა მათი დაჯგუფება და „გარნიტურებად“ გაერთიანება (ბ. გორდენიანი). ი. გოგებაშვილის შერჩეული შრიფტი დღეს „დედა ენის გარნიტურში“ მოექცა და იწოდება: „დედა ენის გარნიტურა“.

<sup>21</sup> ი. გოგებაშვილი, უმეცრების ამყობა, „ივერია“, 1881, № 6, გვ. 163—4.

<sup>22</sup> შრიფტის დამატებითი კეგელები დამუშავებულია ქართული შრიფტის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ამგვარად, „დედა ენა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბეჭდილია შრიფტით „ი. გოგებაშვილი“ კეგელი 24, 16-ით, რომელიც დედა ენისთვის სპეციალურად შედგენილ სასწავლო-საანბანო შრიფტად ვერ ჩაითვლება; იგი მხოლოდ შერჩეულია და არა საგანგებოდ შესწავლილი და მის ნიადაგზე შედგენილი.

მართო ეს გარემოებაც საკმარისია დედა ენის შრიფტის ფორმის ვარგისიანობის კვლევისათვის — რამდენად მიზანშეწონილია მისი მიწოდება წერა-კითხვის ახლად დამწყებთათვის და რამდენად აკმაყოფილებს საბავშვო-საანბანო შრიფტის მოთხოვნებს.

ენახოთ, რას წარმოადგენს ქართული „დედა ენის“ შრიფტი. არსებობს შრიფტების ორი სახე: ე. წ. ანთიკვა და გროტესკი. ანთიკვა ეწოდება განსხვავებული ხაზებისაგან (მსხვილი და წმინდა, ბეწვისებური) შემდგარ შრიფტს — ხოლო გროტესკი — ერთიანი სიმსხოს ხაზებით გამოყვანილ შრიფტს.

დედა ენის შრიფტი — „ი. გოგებაშვილი“ ეკუთვნის ანთიკვას ჯგუფს. მასში ძირითად ხაზებად გამოყენებულია მსხვილი ხაზები, ასოთა შემადგენელი ელემენტის გადასაბმელად კი წმინდა, ბეწვისებური ხაზები. გარდა ამისა, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ასოთა უმეტესი ნაწილი ჩამონაკეთულია ასოთა შემალამაზებელი დანამატებით — ორნამენტებით, ე. წ. ასოთა „სამკაულები“. მასში 33 ასოდან მხოლოდ 12-ია სადა, უორნამენტო ასო. ესენია: გ, ე, ვ, თ, ი, მ, ნ, უ, ქ, შ და ჩ. დანარჩენ 21 ასოს პაწაწინა „სამკაულები“ ანშეგნებენ.

ქართული ასოებისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია პატარა ნაწილების სიუხვე, რომლებიც ასოთა შორის ძირითად განმასხვავებელ ნაწილაკებს წარმოადგენს. მათი რაოდენობა 20-მდე აღწევს. „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის 21 ასოს, ქართული ასოებისათვის აუცილებელი წვრილი ნაწილების გარდა, 26-მდე სამკაული აქვს. ასეთებია: ა-ს (ა) თავზე მოთავსებული პატარა, ასწვრივი, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ხაზი; ბ-ს (ბ) საწყისის დანამატი წმინდა ბეწვისებური ხაზი; დ-ს (დ) ფეხთან მოცემული წერტილი; ზ-ს (ზ) მარჯვნივ რგოლზე წმინდა ბეწვისებური ხაზით დამაგრებული წერტილი; კ-ს (კ) ძლიერ მოკაუქებული თავი; ლ-ს (ლ) კბილების გადასაბმელი პაწია „სამკუთხედები“ და ფეხის დასაწყისთან შექმნილი წერტილი; ო-ს (ო) შუა ნაწილში შექმნილი პატარა სამკუთხედი და მარჯვნივ სხვა ასოსთან გადა-

საბმელი დამატებითი ხაზი; მ-ს (მ) პატარა სამკუთხედი და თავზე ასწვრივი ალმაცერი პატარა ხაზი; რ-ს (რ) კბილის სამკუთხედი და ასწვრივი ხაზის დანამატი; ს-ს (ს) ძირითადი ხაზის დასაწყისთან დამატებული, წმინდა ბეწვისებური, სხვა ასოსთან გადასაბმელი ხაზი და კაუპის თავზე ასწვრივი მომსხო ალმაცერი ხაზი; ტ-ს (ტ) მარცხენა მხარეს ასოსთან გადასაბმელი წმინდა ხაზი; ღ-ს (ღ) კბილის სამკუთხედი და ფეხთან შექმნილი წერტილი; ყ-ს (ყ) მეორე თვალი; ც-ს (ც) კბილის სამკუთხედი და ასწვრივი-ალმაცერი პატარა ხაზი; ძ-ს (ძ) ძლიერ მოხრილი თავი; წ-ს (წ) კბილის სამკუთხედი; ხ-ს (ხ) დასაწყისთან წმინდა გადასაბმელი ხაზი და შეკრულ წრეზე წერტილიანი წმინდა ხაზი; ჯ-ს (ჯ) თავზე ასწვრივი პატარა რკალი; ჯ-ს (ჯ) თავის არაჩვეულებრივად გრძელი გადამკვეთი ხაზი მოხრილი რკალებითურთ და ჰ-ს (ჰ) კბილების სამკუთხედები.

ყველაფერი ეს ერთად ქართულისათვის დამახასიათებელ რთულ ასოებს გამოკვეთილობასა და სიცხადეს უქარგავს და ნაბეჭდსაც აქრელებს. ასოთა სამკაულები ასოების ურთიერთგანმასხვავებელ პატარა ნაწილებს ნიღბავს, შეუმჩნეველს ხდის და მთელ რიგ ასოებს ურთიერთს ამსგავსებს, რაც მათ სწორსა და სწრაფ გარჩევას შეაფერხებს.

ასოთა სიჭრელესა და ურთიერთმსგავსებას სამკაულების გარდა ხელს უწყობს ხაზთა მკვეთრი სხვადასხვაობაც. მსხვილი ძირითადი ხაზების გვერდით მეტად წვრილი, მოკლე, ბეწვისებური გადასაბმელი ხაზები უფერულად გამოიყურება და წერა-კითხვის ახლად დამწყებს შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. ამის გარდა, საკითხავი ნიშნების ასეთი დეკორატიულობა და ხაზთა ნაირნაირობა ძალიან აშორებს ხელნაწერ ასოთა მოხაზულობას, რის გამოც საჭირო ხდება საწერ ნიმუშებად სხვა ფორმისა და მოხაზულობის ასოების მიწოდება.

ყოველივე ის, რაც შრიფტი „ი. გოგებაშვილის“ შესახებ ითქვა, გვაფიქრებინებს, რომ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ფორმის თავისებურება წერა-კითხვის ახლად დამწყებთათვის შეცდომით კითხვის საბაბს უნდა იძლეოდეს. ამის შესამოწმებლად და, აგრეთვე, იმის დასადგენად, თუ რა გავლენა ექნება შრიფტის ფორმას წერა-კითხვის ახლად დამწყებთა კითხვის პროცესზე, საგანგებოდ შედგენილი მასალით შევამოწმეთ და ურთიერთს შევადა-

რეთ ქართულ სასტამბო სისტემაში არსებული სამი ძირითადი გარნიტურის, სხვადასხვა ფორმისა და მოხაზულობის შრიფტების კითხვადობა.

## თ ა ვ ი II

### შრიფტის ფორმის ბავლენა კითხვაში (I—II კლასის მოსწავლეებსა და ბაჭყალულ მკითხველებთან)

თბილისის 54-ე და 55-ე სკოლის I—II კლასის მოსწავლეებთან შევამოწმეთ სხვადასხვა ფორმის შრიფტების კითხვადობა. პირველკლასელებთან ცდები ჩავატარეთ მაშინ, როცა ბავშვები ასოებს იცნობდნენ მხოლოდ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ნიმუშებით და საკითხავ მასალაზეც არ იყვნენ გადასულნი, ე. ი. როცა ასოების ცოდნა ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდათ განმტკიცებული და მთლიანი სიტყვებით კითხვაშიც არ იყვნენ გაწაფულნი; მეორეკლასელებთან—სასწავლო წლის დასაწყისში, როცა ბავშვები ნაეარჯიშევი იყვნენ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში და იცნობდნენ „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტის კეგელ 12-ს (ამ შრიფტს ისინი ეცნობიან პირველი სასწავლო წლის მეორე ნახევარში).

ამგვარ პირობებში ჩატარებული ცდებით უნდა გავგვრკვია, იქნებოდა თუ არა განსხვავება პირველკლასელების მიერ კითხვის პროცესში გამოვლენილ შეცდომებსა და მეორეკლასელების შეცდომებს შორის; განსხვავების დადასტურების შემთხვევაში—რა ხასიათი ექნებოდა და რით იქნებოდა გაპირობებული იგი.

კითხვის კრიტერიუმად მიღებული გვაქვს კითხვის სისწრაფე, კითხვაში დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობა და შეცდომათა სახეები.

### ცდის მასალა და მეთოდი

ცდის მასალა. ცდის მასალად გამოყენებული გვაქვს უაზრო კომპლექსებით შედგენილი ტექსტები. აზრიანი მასალის მიწოდება შრიფტების ფორმის შეამოწმებლად შეუფერებლად მივიჩნიეთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აზრიანი მასალის კითხვის დროს სიტყვების ამოკითხვა, უმთავრესად, ამოცნობას ეყრდნობა. ნაცნობი სიტყვების კითხვა სიტყვის მთლიან ხატს, სიტყვაში მოცემულ ზოგიერთ გამოკვეთილ ასოსა და აზრს მიჰყვება.

ცნობილი და ექსპერიმენტულადაც დადასტურებული ფაქტია, რომ „ნაცნობი სიტყვები ერთბაშად, ასოებად დანაწილების გარეშე იკითხება“ (Джуревая и Кателая 1885—1886 гг.)<sup>33</sup> და რომ „სიტყვის კონტურები საკმარისია იმის რეპროდუქციის მოსახდენად, რაც მას მიეკუთვნება“ (Lüwenfeld)<sup>34</sup>. ანდა: „თუ სიტყვის ერთი ნაწილი პკითხველმა სწორად აღიქვა, ამ ასოებზე დაყრდნობით ხდება სიტყვის მეორე ნახევრის აღდგენაც“.

კითხვის პროცესში ხშირად შეიმჩნევა, რომ სიტყვის დამახასიათებელი ფორმა გაპირობებულია ზოგიერთი დამახასიათებელი ასოთი, რომლებსაც ეწოდება მადეტერმინირებელი ასოები (Буагт, Kainz). „კითხვა ხდება ნახტომებით ერთი მადეტერმინირებული ასოდან მეორე ასეთსავე ასოზე, ხოლო დანარჩენები მიხვედრის საფუძველზე ემატება“ (Трошин)<sup>35</sup>.

მეორე, ყველასთვის თანაბარი სიძნელის აზრიანი მასალის მოძებნა შეუძლებელია სხვადასხვა გამოცდილების, ცოდნის, გავების მიხვედრილობის სისწრაფისა თუ სხვა მრავალი მიზეზის გამო.

ის უბრალო ფაქტი, რომ ადვილი მასალა უფრო სწრაფად იკითხება, ვიდრე ძნელი, მიუთითებს იმაზე, რომ კითხვის სისწრაფის ფაქტორები საიბენელია არა ბადურის სტიმულაციისა და თვალის მოძრაობის პერიფერიულ პროცესებში, არამედ მასალის აზრობლივ აღქმაში“ (Hьль)<sup>36</sup>, ამიტომ აზრიანმა მასალამ შეიძლება კვლევის მიზანს აგვაცდინოს და მკითხველი, ასოების ამოცნობის ნაცვლად, აზრის წვდომისკენ მიმართოს. ჩვენ კი სხვადასხვა ფორმის შრიფტებით ნაბეჭდი თანაბარი სიძნელის მქონე მასალის კითხვის შედეგები გვაინტერესებდა, ამისთვის უაზრო მასალა უფრო შესაფერად მიგვაჩნია იქ, სადაც მიზნად მხოლოდ ასოების ამოკითხვა იქნება დასახული.

ცდის მასალას შეადგენს ორგვარი ტექსტი. ერთს, პირობითად, „ჩვეულებრივი ტექსტი“ ვუწოდეთ, რადგან იგი საანბანო წიგნის

<sup>33</sup> Р. Вудвортс, Экспериментальная психология, 1950.

<sup>34</sup> ჩატარებულია ცდები, რომელთა დროსაც ცპ-ს სიტყვები ვძლევა ისეთი მანძილიდან, საიდანაც სიტყვების გარჩევა შეუძლებელია, მიუხედავად ამისა ცპ-ბი სიტყვის ამოკითხვას ახერხებენ სიტყვის მთლიანი მოხაზულობის მიხედვით.

<sup>35</sup> Ая. Трошин, Психологические основы процесса чтения, 1900.

<sup>36</sup> Р. Вудвортс, Экспериментальная психология, 1950.

„დედა ენის“ საკითხავი მასალის ნებისმიერად აღებული (საშუალო სიდიდის) ტექსტის ტოლია და მასში გამოყენებული გვაქვს ყველა ასო — თანაბარი რაოდენობით ყველა თანხმოვანი და ხმოვანი.

შეგვეძლო დაგვამაყოფილებულიყავით მხოლოდ ერთი ტექსტით, სახელდობრ, „ჩვეულებრივი ტექსტით“, რომელშიც მოცემულია ქართული ანბანის ყველა ასო; ამ მასალის კითხვასაც შეეძლო კითხვის პროცესში შესაძლო შეცდომების გამოვლენა, რაც მოგვეცემდა შედარებისა და მიწოდებული შრიფტებიდან გარკვეული შრიფტის უპირატესობის დადგენის საშუალებას მისი ადვილსაკითხაობის თვალსაზრისით. მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ბავშვს გრაფიკულად მსგავს ასოთა დაჯგუფებულ კომპლექსებში ასოების ურთიერთისაგან გასარჩევად უფრო მეტი დაკვირვება და ყურადღება სჭირდება. ასო-ბგერათა სწორად გამოცნობასა და გამოყოფაში გრაფიკულად მსგავსი ასოების დაჯგუფება ბავშვს უფრო მეტ სიძნელეს შეუქმნის, ვინაიდან ისინი, უმეტესად, ურთიერთისაგან მხოლოდ ერთი პატარა დეტალით — წვრილი ბეწვისებური ხაზით, პატარა კაუჭით, რგოლის პირშეკრულობით, ღიაობით, ერთი ნაწილის ზედმეტობით, ზედმეტი კბილითა და სხვა ნაწილაკით განსხვავდებიან. ამიტომ იგი იძულებულია მთელი გულისყური გადაიტანოს და გაამახვილოს ასოების მოყვანილობაზე, შენიშნოს და აღიქვას ერთი ასოს მეორე ასოსაგან განმასხვავებელი პაწაწინა ნაწილაკი. ყოველივე ამის გამო, საჭიროდ მივიჩნით დამატებითი ტექსტის შედგენა, რომელიც გრაფიკული გამოსახულებით მსგავსი ასოებისაგან იქნებოდა შედგენილი და რომელიც უფრო მეტ დასაყრდენსა და საფუძველს მოგვეცემდა მიღებულ შედეგებში შრიფტების უპირატესობის დასადგენად. ასეთ ტექსტს მსგავს ასოთა ტექსტი ვუწოდეთ. იგი, ხმოვანი ასოებით შეერთებული, გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა კომპლექსებს შეიცავს.

აქაც ერთნაირი რაოდენობით მეორდება გრაფიკული გამოსახულებით მსგავსი ასოები და თანაბარი რაოდენობით ხმოვნები.

„ჩვეულებრივი ტექსტში“ გამოყვანილია სიტყვის სურათის ყველა შესაძლო სახე. სახელდობრ: ცალკე შუა ხაზის ასოებით შედგენილი კომპლექსები, ხაზქვემოთა და ხაზზემოთა ასოების კომპლექსები და დანარჩენი შერეული. აღნიშნული ტექსტები დავაბეჭდინეთ სამგვარი შრიფტით: „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“, „მკაფიო გარნიტურისა“ და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტების კეგელი 12-ით.

შემდეგ ისინი ფოტოთი გავადიდეთ ქართულ საანბანო წიგნში გამოყენებული კეგელ 24-დ<sup>37</sup>.

(ტექსტების ნიმუშები იხ. გვ. 33—34).

მეთოდო. ცდები წარმოებდა სასკოლო პირობებში (ინდივიდუალური წესით), თითოეულ ბავშვზე სამ-სამი დღის განმავლობაში. ერთ დღეს ვაძლევდით ერთი შრიფტით დაბეჭდილ მასალას სამ-სამი სტრიქონის რაოდენობით—ჯერ „ჩვეულებრივ ტექსტს“ და შემდეგ—„მსგავს ასოთა ტექსტს“. ინსტრუქცია ასეთი იყო: „კითხე ხმამაღლა ისე, რომ მე კარგად გავიგონო შენ რას კითხულობ“. მეორე დღეს იგივე მასალას ვაძლევდით მეორე შრიფტით დაბეჭდილს, ხოლო მესამე დღეს—მესამე შრიფტით დაბეჭდილს.

განსხვავებული შრიფტებით კითხვისათვის ერთნაირი პირობების შესაქმნელად ცდები ჩავატარეთ ყველა შესაძლო თანმიმდევრობით, სახელდობრ:

I	II	III
1. დედა ენის გარნიტ. (ი. გოგებაშვილი).	1. მკაფიო გარნიტურა.	1. ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო).
2. მკაფიო გარნიტურა.	2. დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი).	2. მკაფიო გარნიტურა.
3. ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო).	3. ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო).	3. დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი).
IV	V	VI
1. ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო).	1. მკაფიო გარნიტურა.	1. დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი).

<sup>37</sup> აღნიშნული ტექსტები დაგვიბეჭდეს გახეთ „კომუნისტის“ ოფდაქციაში. შრიფტის სპეციალისტ ბ. გორდენიანის დახმარებით.

ჩვენს სტამბებში არ მოიპოვება მკაფიო გარნიტურისა და ჩვეულებრივი გარნიტურის შრიფტების მსხვილი კეგელი 24.



- |  |  |  |
|--|--|--|
| 2. დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი). | 2. ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო). | 2. ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო). |
| 3. მკაფიო გარნიტურა.                     | 3. დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი).     | 3. მკაფიო გარნიტურა.                         |

ცდებში მონაწილეობა ზიილო 60-მა პირველკლასელმა და 60-მა მეორეკლასელმა (სულ 120 ბავშვმა).

კითხვის დროს გაწარმოებდით დაშვებული ყოველგვარი შეცდომების აღრიცხვას და წასაკითხად საჭირო დროის გაზომვას წამმზომით.

შემდეგ ურთიერთს შევადარეთ I და II კლასელების ზიერობრივ ტექსტის კითხვაში დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობა, შეცდომათა ნიმუშები და წასაკითხავად საჭირო დროის საშუალო მაჩვენებლები.

1. „დედა ენის გარნიტურა“ შრიფტი „ი. გოგებაშვილი“  
(„ჩვეულებრივი ტექსტი“)

ბეჭეუა დემო შეიზა დუსკო სკიპატ.

აკბა ჰეცვი. სიძლა იკა ითა., ეეჰ.

ბენჩ ინ დებუტო. დოზა ტუმ ლუმბლო.

ჟურ ჰოკეტ აითო. უმი, ცეჟ შიბტა.

ჰი! ოთა, მიტ ქეფუმო გუმზო ჯანპუტ.

ჯამ ზუგდა სემი, ცსიტო ევათი ჰეწ.

ენდუსო ჰულფოქ. შექომ ოჩეს სუკდო.

ბენოზა ლახლი. ემიუოთ ნუწე გეზ.

ჰუ კეპურე სეკი. ქუწენა ჯულც ეიფო.

სისჩა ჰორ თია. ციფქა კვიბა უჩე.

იფ ჟუსიდა! რიკატო ფუჩექა მერსვო.

გაბითო წურ. ლაბუგი მუვცხა.

ქუჭე... ჯომუმ რონე. გრეტ ალკ ჟუწ-

ელნი ჯიზლო. ოე! ტეწი ლახლო ეეცვი.

გედუტო ხომა კიგდა. დეიო ოქა წეკი.

ჯაფე... სუეის იძა. ქეკო ჰერცვი.  
უფინა ჰუნმო ღომე. ჯიმა უსტა დუც.  
ჰუნო ბიმ. ოთითა რუწ ჯოფუბ.  
კეკო ლიქე ეუსო ვუბ.

(„მსგავს ასოთა ტექსტი“)

ეუნია ღადულა. ქეჭეჭა დაღღო გუკი.  
სემძისო მესსა ნელდო. ძემამო კიფუგო.  
უეიქა ჰენი ვიფეკა. ქეჭო კიფუგო.  
ღულა ვიეაქო დული. სისინა ქეეო.  
ჰემძლო უქქა ეუნო ძემამო ილდა ჭუქ.  
აკვა ზუბი. კიკაგო ძიმსა ვინგო უეი.  
ჰენბო ჭუქიქა ნუქა. ბეჰენა გიგოვა.  
ღედო ბუბინა ეძმუ. კივო ჰუბო უუქე.  
ჰუნინე ვიგა სესო. დელიდა ჰებინო.  
სესმო ჰუძბა. სასისო უუქიქა ძესუ.  
დუღელა ქესსო. ქეჭ. ჰენბო ღალულა.  
ჰიბიბო.

### შედევების განხილვა

ა) კითხვის დრო. როგორც მოსალოდნელი იყო, ცდებმა გვიჩვენეს, რომ პირველკლასელი ბავშვები სამივე შრიფტით მიწოდებული მასალის კითხვას უფრო მეტ დროს ანდომებდნენ, ვიდრე მეორე კლასის ბავშვები თითოეული შრიფტით მიწოდებული მასალის წასაკითხად. საკირო დროის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით პირველი კლასის ბავშვები („ჩვეულებრივი ტექსტის“ კითხვისას) ყველაზე მეტ დროს ანდომებდნენ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვას, შედარებით ნაკლებს— „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვას და უფრო ნაკლებს— „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვას.

თხვას. მეორეკლასელები, იმავე ტექსტის კითხვისას, მეტ დროს ანდომებდნენ „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვას, შედარებით ნაკლებს—„დედა ენის გარნიტურის“ შრიფტითა და ყველაზე ნაკლებს—„ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

„ჩვეულებრივი ტექსტის“ კითხვის დროის საშუალო მაჩვენებლები

კლასი	შრიფტების დასახელება		
	დედა ენის გარნიტ. მკაფიო გარნიტურა	ჩვეულებრივი გარნიტურა ხომლი ანუ ციცერო	
I	5'51"	5'38"	5'17"
II	3'41"	3'44"	3'36"

„მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვისას, პირველი კლასის ბავშვები, ისევე როგორც „ჩვეულებრივი ტექსტის“ კითხვის შემთხვევებში, მეტ დროს ანდომებდნენ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვას, შედარებით ნაკლებს—„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვასა და უფრო ნაკლებს—„ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვას.

II კლასელები იგივე ტექსტის „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით და „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვას ერთნაირ დროს ანდომებდნენ, მაგრამ უფრო მეტს, ვიდრე „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვას (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

„მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვის დროის საშუალო მაჩვენებლები

კლასი	შრიფტების დასახელება		
	დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი)	მკაფიო გარნიტურა	ჩვეულებრივი გარნიტურა (ხომლი ანუ ციცერო)
I	3'21"	3'14"	3'9"
II	2'19"	2'19"	2'8"

როგორც ვხედავთ, I კლასელებმაც და II კლასელებმაც საკითხავი მასალის კითხვას (ორივე ტექსტის შემთხვევაში) ყველაზე ნაკლები დრო მოანდომეს „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“

ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვას, ყველაზე მეტი—პირველკლასელებმა „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტს, ხოლო მეორეკლასელებმა—„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ მიწოდებული სამი სხვადასხვა შრიფტიდან, კითხვის სისწრაფის თვალსაზრისით, ყველაზე სწრაფად, პირველკლასელებთანაც და მეორეკლასელებთანაც, „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტი იკითხება, შედარებით ნელა—პირველკლასელებთან „მკაფიო გარნიტურისა“ და უფრო ნელა—„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტი; მეორეკლასელებთან—ყველაზე ნელა—„მკაფიო გარნიტურისა“ და შედარებით ნელა—„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტი.

ბ) ტექსტების კითხვაში დაშვებული შეცდომების საერთო მაჩვენებლები და შეცდომათა ნიმუშები. განვიხილოთ ჩვენ მიერ მიწოდებული ტექსტების კითხვაში დაშვებული შეცდომების საერთო მაჩვენებლები და შეცდომათა ნიმუშები.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ არც პირველ და არც მეორეკლასელებთან მთელი მასალის უშეცდომოდ წაკითხვის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია, არც ერთი შრიფტის კითხვისას. იყო შემთხვევები (პირველკლასელებთან — 3, მეორეკლასელებთან — 12), როდესაც ბავშვები რომელიმე სამ ხაზს უშეცდომოდ კითხულობდნენ, დანარჩენ მასალაში კი მეტ-ნაკლები რაოდენობით უშვებდნენ შეცდომებს. ამას გარდა, არც I და არც II კლასელებთან მასალის მიწოდების თანმიმდევრობის ცვლას კითხვის დროს შეცდომების გამოვლენაზე გავლენა არ მოუხდენია.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველკლასელების მიერ დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობა, ორივე ტექსტის კითხვისას, დიდად არ განსხვავდება მეორეკლასელების შეცდომების საერთო რაოდენობისაგან; ჩვენ კი მოველოდით უფრო მეტ განსხვავებას, ვინაიდან II კლასელები მიწოდებულ მასალას კითხულობენ მთლიანად კითხვის მეთოდით. ისინი თვალის სწრაფი გადავლებით ცდილობდნენ ყოველი კომპლექსის მთლიანად და ერთბაშად ამოკითხვას არახელსაყრელი მასალის მიუხედავად.

პირველკლასელები კითხულობენ თითო-თითო ასოს ჩათვლით, დამარცვლით, ცალკეული ასოს გაცნობიერებითა და ზოგჯერ ასოებთან დაყოვნებითაც. ისეთი შემთხვევებიც გვქონდა, როდესაც

ბავშვი ერთ ასოს რამდენიმეჯერ იმეორებდა მომდევნო ასოზე გადასვლამდე; მაგალითად, კომპლექსს ბეჭუყა კითხულობდა: ბ... ბ... ბ... ე... ჭ... უყა, სკიპატ-ს... ს... კი... ჰ... ატ და სხვ.

თითქოს პირველკლასელებისა და მეორეკლასელების კითხვის სხვადასხვანაირობას სხვადასხვა სახის შეცდომები უნდა გამოეყლინა. პირველკლასელებს, ჩვენი ვარაუდით, უფრო ნაკლები შეცდომები უნდა დაეშვათ მეორეკლასელებთან შედარებით, ასოების ჩათვლის გამო; მაგრამ მათი უცოდინარობა, როგორც ჩანს, მაინც დარჩა შეცდომით კითხვის ერთ-ერთ პირობად. ამიტომ აღმოჩნდა პირიქით: პირველკლასელებმა, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, მაინც მეტი შეცდომა დაუშვეს, ვიდრე მეორეკლასელებმა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

ორივე ტექსტის კითხვაში დაშვებულ შეცდომათა საერთო რაოდენობის % -ული მაჩვენებლები

შრიფტების დაახელება	ორივე ტექსტის კითხვისას დაშვებულ შეცდომათა ერთო რაოდენობა და %	ორივე ტექსტის კითხვისას დაშვებულ შეცდომათა საერთო რაოდენობა და %	სხვაობა
	I კლ.	II კლ.	
დედა ენის გარნიტურა (ი. გოგებაშვილი)	1.475—51,3	1.403—48,7	2,6
მკათიო გარნიტურა	1.228—53,5	1.067—46,5	7,0
ჩვეულებრივი გარნიტურა ხომლი ანუ ციცერო	1.082—50,5	1.045—49,5	1,0

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, ორივე ტექსტის კითხვისას პირველკლასელმა ბავშვებმა „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით ნაბეჭდი მასალის კითხვისას 2,6%-ით, „მკათიო გარნიტურის“ შრიფტით ნაბეჭდი მასალის კითხვისას—7,0%-ით, ხოლო „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით ნაბეჭდი მასალის კითხვისას 1%-ით უფრო მეტი შეცდომები დაუშვეს, ვიდრე მეორეკლასელებმა.

შეცდომების საერთო რაოდენობის მიხედვით, პირველკლასელებთანაც და მეორეკლასელებთანაც, მეტი ნაწილი დაშვებული იქნა „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში, შედარებით ნაკლები — „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას და ყველაზე ნაკლები — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას.

ამრიგად, შეცდომათა საერთო რაოდენობის მიხედვით უკეთესი მაჩვენებლები პირველ და მეორეკლასელებთან „ხომლი“ შრიფტით კითხვამ მოგვცა.

კითხვის პროცესში გამოვლენილი შეცდომების დაწვრილებითმა ანალიზმა შეცდომების განსხვავებული სახეები გამოავლინა. სახელდობრ:

1. ერთი ბგერის გადანაცვლება მეორის ადგილზე;
2. კომპლექსებში ბგერების ჩამატება;
3. კომპლექსებიდან ბგერების გამოტოვება და
4. ბგერების ურთიერთშეცვლა.

1. შეცდომათა პირველ სახეს მოცემულ კომპლექსში ერთი ბგერის მეორის ადგილზე გადანაცვლება წარმოადგენს.

ბგერის გადანაცვლებას ადგილი ჰქონდა:

I. კომპლექსის პირველ ნახევარში არსებულ ასოებს შორის; მაგალითად, კომპლექსს შიშტა—კითხულობს შიშტა<sup>ჲ</sup> (პ გადანაცვლა შ-ს ადგილზე); ჯოფუგა—კითხულობს ოჯფუგა (ჯ—ო-ს ადგილზე); რიკაჟო—კითხულობს კირაჟო (კ—რ-ს ადგილზე გადანაცვლა) და სხვა.

II. კომპლექსის შიგნით ერთმანეთის გვერდით მყოფი ასოების ურთიერთგადანაცვლება. მაგ., ყეცვი—კითხულობს ყეცვი (ც გადანაცვლა ვ-ს ადგილზე); ჰულფოქ—კითხულობს ჰუფლოქ (ლ—ფ-ს ადგილზე); ნედლო--კითხულობს ნედლო (დ—ლ-ს ადგილზე) და ა. შ.

III. კომპლექსის ბოლო ნაწილში არსებული ასოების გადანაცვლება. მაგალითად, გეზოთ—კითხულობს გეზოთ (თ ო-ს ადგილზე წაიკითხა); გაბითო—კითხულობს გაბითო (ო--თ-ს ადგილზე) და ა. შ.

IV. ერთმარცვლიან კომპლექსებში დასაწყის' ასოსა და ბოლო ასოს ურთიერთგადანაცვლება. მაგალითად, ოთო — კითხულობს ოთი (ო ი-ს ადგილზე წაიკითხა); ქუქ—კითხულობს ქუქ (ქ—პ-ს ადგილზე); ქექ—კითხულობს ქექ (პ-ქ-ს ადგილზე) (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5-დან ჩანს, რომ ბგერათგადანაცვლების შეცდომები როგორც პირველ, ისე მეორეკლასელებთან დიდი რაოდენობით არ არის დაშვებული—პირველკლასელებთან 7,9%-ს, ხოლო მეორეკლასელებთან 11,8%-ს არ აღემატება. ამგვარი შეცდომები, სხვადასხვა შრიფტით კითხვისას, დაახლოებით თანაბარი სიხშირით

I და II კლასელების მიერ ორივე ტექსტის კითხვაში გამოვლენილ შეცდომათა სახეების %-ლი მაჩვენებლები

შრიფტების დასახელება	კლასი	ბგერათა გადანაცვლება (%)	ბგერათა ჩამატება (%)	ბგერათა გამოთოვება (%)	ბგერების შეცვლა (%)
დედა ენის გარნიტურა ი. გოგებაშვილი	I	7,9	10,6	8,8	72,7
	II	7,5	4,3	6,7	81,5
მკაფიო გარნიტურა	I	5,3	16,1	6,4	73,2
	II	11,8	5,7	10,3	72,2
ჩვეულებრივი გარნიტურა ხომლი ანუ ციცერო	I	5,1	11,3	7,9	75,7
	II	7,8	5,6	10,1	76,5

რით გვხვდება. მათ შორის განსხვავება მეტად მცირეა. შრიფტების სხვადასხვაობა ბგერათგადანაცვლების განსხვავებულ სახეებს არ იძლევა. სამივე შრიფტით კითხვისას გვაქვს ყველანაირი მოყვანილობისა და ყველა ადგილზე მყოფი ასოების ურთიერთგადანაცვლება; ერთმანეთის ადგილზე კითხულობენ გრაფიკული გამოსახულებით მსგავსსა და არანსგავსს, ჰომორგანულსა და ჰეტერორგანულ ასო-ბგერებს, ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც. ისე რომ, ასო-ბგერათა ურთიერთგადანაცვლების შეცდომებში ისეთი სპეციფიკური არაფერია, რაც შრიფტების სხვადასხვაობით იქნებოდა გამოწვეული. მაგრამ, რაკი ამ სახის შეცდომები გამოვლენილია, მაინც გასარკვევია, რით უნდა იყოს იგი გაპირობებულნი?

ჩვენ მიერ გამოყენებულ დანართს ეფუძნება კითხვის ორ მთავარ მომენტს:

1. ნაბეჭდი ნიშნების აღქმასა და

II. მათი შესაბამისი ბგერების წარმოქმნის მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით.

გაპორიციხული გვაქვს კითხვის მესამე მომენტი — სიტყვებით გამოხატული მნიშვნელობის წვდომა. საკითხავი მასალა ცდისპირებს მხოლოდ ასოების ცნობასა და მათ ხმამაღლა წარმოთქმას ავალებს. ამის გამო ბავშვი, ძირითადად, ასო-ბგერების სწორად ამოკითხვით არის დაინტერესებული, ეს არის მისი მთავარი ამოცანა. ასო-ბგერების სწორად გამოცნობასთან ერთად, ბავშვს მუდამ მიედევლეობაში უნდა ჰქონდეს მათი მოცემული თანმიმდევრობაც, რადგან ჩვენს მასალაში ასო-ბგერები ერთმანეთთან არაფრით არ არიან დაკავშირებულნი, ისინი უბრალოდ, ერთმანეთის გვერდით არააბობენ და მათში ბავშვი ვერ მონახავს ვერავითარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოცემული თანმიმდევრობა სწორად იქნებოდა შენარჩუნებული. სულ სხვა მდგომარეობაა, როცა აზრიან მასალასთან გვაქვს საქმე. აზრიან მასალაში ასო-ბგერათა თანმიმდევრობა სიტყვის შინაარსით არის გამაგრებული და მათი გადაადგილება აზრის დარღვევას ან მის შეცვლას იწვევს, რასაც ბავშვი ხშირ შემთხვევაში ამჩნევს და ასწორებს. უაზრო მასალაში კი იგი შეუჩინველი რჩება. ასოგადანაცვლებული კომპლექსები ყოველგვარი შეფერხების გარეშე იკითხება. ეს შეიძლება საცესებით ბუნებრივად ჩაგვეთვალა, თუ მიედევლეობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კითხვის პროცესში მოცემული პირველი ასო და ფსიქოლოგიურადაც მოცემული პირველი ასო სხვადასხვაა; კითხვის პროცესში პირველად აღქმული პირველი ასო უკვე წარსულს ეკუთვნის, ხოლო ჯერ კიდევ ხმამაღლა წარმოუთქმელი, მაგრამ მომდევნო, თვალისა უკვე ატაცებული და წარმოსათქმელად მომზადებული ასო კი აწმყის. ეს ასო უფრო აქტუალურად არის მოცემული, ვიდრე ის ასო-ბგერები, რომლებიც უფრო ადრე იყვნენ აღქმულნი. ამიტომ მომდევნო ასო-ბგერა ბავშვის მიერ განიცდება, როგორც რიგით პირველი; ეს განცდა ასო-ბგერების ობიექტურად მოცემული თანმიმდევრობის დარღვევას და აქტუალურად მოცემულის წაკითხვას იწვევს ერთი სიტყვით, ჩვენს ცდებში გამოვლენილი ბგერათგადანაცვლების შეცდომები გამოწვეული უნდა იყოს არა შრიფტების სხვადასხვაობით, არამედ მიწოდებულ მასალაში ასო-ბგერათა თანმიმდევრობის მუდმივად მხედველობაში უქონლობით, მისი ყურადღების გარეშე დატოვებით.

2. შეცდომაა მეორე სახეა კომპლექსებში ბგერების ჩამატება.

გვაქვს ბგერების ჩამატების ორგვარი შემთხვევა:

პირველი: როდესაც ჩამატებული ასო-ბგერა კომპლექსშივეა მოცემული. მაგალითად, აკბა — კითხულობს აკაბა (ჩამატა ა); კო-



მპლექსს იშპა კითხულობს იშპა (ჩაამატა ა); ყვეცვი — კითხულობს ყვეცვი (ჩაამატა — ე); ჰულფოქ კითხულობს ჰულფოქ (ჩაამატა ო); ძუვცხა — კითხულობს ძუვცხა (ჩაამატა ა) და ა. შ.

ის კომპლექსები, რომლებშიც თანხმოვანთა შეჯგუფება გვაქვს, ძნელი წარმოსათქმელია, საარტიკულაციო აპარატი კი ესწრაფვის წარმოთქმის გაადვილებას<sup>28</sup>. როცა თანხმოვანთა შეჯგუფება ორ ხმოვანს შორის ხდება (მაგ., „აკბა“), საარტიკულაციო აპარატი სიტყვის დასაწყისშიც და ბოლოშიც თავისუფალი მდგომარეობისათვის, ე. ი. ხმოვნის წარმოთქმისთვის, არის მომზადებული; მაგრამ თანხმოვნების კომპლექსს შუა მოცემული შეჯგუფება („აკბა“ — კბ) ქმნის წარმოთქმის სიძნელეს, ამიტომ მის გასაადვილებლად ბავშვი შეჯგუფებულ თანხმოვანთა შორის წინა ან მომდევნო ხმოვანს ჩასვამს ხოლმე.

მეორე: როცა ჩამატებული ასო-ბგერა კომპლექსში არ არის მოცემული.

კითხვის დროს კომპლექსში არარსებულ ბგერას ბავშვი ანატებს ან უკვე წაკითხული კომპლექსის ბოლო ნაწილიდან, ან მომდევნო კომპლექსის დასაწყისიდან, ან მის გასწვრივ ზემოთ ან ქვემოთ მყოფი კომპლექსიდან, ე. ი. მისი მხედველობის არეში მოცემული ასოებიდან; მაგალითად, „გუმპო“, ბავშვი კითხულობს გუმპო (ჩაამატა ა წინა წაკითხული კომპლექსის „ჯამპ“-ის გავლენით); „ოთია“ — კითხულობს „ჰოთია“ (ჩაამატა ჰ — წინა წაკითხული კომპლექსის ჰორ-ის გავლენით); გუში — კითხულობს ვეუში (წინა წაკითხული კომპლექსის — ლიქეს — გავლენით); გრეტ — კითხულობს გარეტ მომდევნო აღკ-ის გავლენით; კვიძე — კითხულობს კვეიძე მომდევნო ე-ს გავლენით (თუჩე); ბენჩ — კითხულობს ბენჩი მომდევნო ი-ს გავლენით (ბენჩ ინ...); ლუმბლო — კითხულობს ლუმბლო — მის გასწვრივ ზემოთ არსებული კომპლექსიდან ჩაამატა ე (ყეჯი) და ა. შ. ამ სახის შეცდომებიც არ არის ბევრი (იხ. ცხრილი 5). პირველკლასელები, მეორეკლასელებთან შედარებით, ორჯერ და სამჯერაც მეტ შეცდომას უშვებენ. მეორე კლასის მოსწავლეები საკითხავ კომპლექსებში ამატებენ მხოლოდ იმ ასოებს, რომლებიც ან უკვე წაკითხა, ან ჯერ ხვამალა არ წაუკითხავს, მაგრამ თვალის გადავლო მომდევნო კომპლექსს; ხოლო საკითხავი სტრიქონის ზემოთ ან ქვემოთ სტრიქონიდან ჩამატებული ასოების შემთხვევები აქ არა გვაქვს. პირველკლასელებთან თითქმის თანაბარი სი-

<sup>28</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949.

ხშირით არის დაშვებული როგორც იმავე სტრიქონის წინა, უკვე წაკითხული ან მომდევნო, ჯერ ხმამალა წაუკითხავი, მაგრამ უკვე თვალგადავლებული კომპლექსიდან მოტანილი ასოების ჩამატება, — ისე საკითხავი სტრიქონის ზემოთა სტრიქონიდან ფიქსაციის ველში მოხვედრილი ასოები.

ეს ფაქტი ბუნებრივადაც გვეჩვენება, ვინაიდან პირველკლასელი ბავშვები, რომლებმაც ეს-ეს არის გაიარეს ყველა ასო, ნაწარჯიშევი არ არიან გრძელი წინადადებების კითხვაში, არ არიან გაწაფულნი სტრიქონის გასწვრივ თვალების სწორ მოძრაობაში, გაყოლებაში; წერა-კითხვის სწავლის პირველ ხანებში ისინი საჩვენებელი თითის დახმარებით მისდევენ თითოეულ ასოს, რათა თვალი არ გადასცდეს წასაკითხ ნიშნებს, ასოებს ზევით ან ქვევით, რომ თვალის ფიქსაცია სწორედ იმ ასოზე ან ნიშანზე მოხდეს, რომელიც ამოსაკითხავია. წერა-კითხვის ახლად დამწყები ბავშვის ფიქსაციის ველი შემოიფარგლება მხოლოდ იმ ასოთი ან ნიშნით, რომელსაც ის მისჩერებია<sup>39</sup>, მაგრამ ამავე დროს მხედველობის ველში ექცევა სხვა ასოებიც, რომელნიც ხელს უშლიან წასაკითხი ასოს გამოყოფაში, მის სწორ ამოკითხვაში. პრაქტიკულ პედაგოგებსაც შეუნიშნავთ, რომ „ბავშვს თვალეში ეჩხირებიან მხედველობის ველში მოცემული ასოები“<sup>40</sup>. შესაძლებელია, ფიქსაციის ველში ხელმორედ მოხედეს ერთხელ უკვე წაკითხული ან მომდევნო კომპლექსში თვალგადავლებული ასო, ხაზზევითა ან ქვევითა სტრიქონიდან მკვეთრად გამოჩხერილი ასო და იგი დამატებით ან ხელახლა შემოვიდეს წასაკითხ კომპლექსში. ამით უნდა იყოს გამოწვეული პირველკლასელებთან ორჯერ და სამჯერაც მეტი ბგერათა ჩამატების შეცდომები.

განსხვავებულ შრიფტებში დაშვებული ამგვარი შეცდომებიდან აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტია „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას, შედარებით ნაკლები — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით და ყველაზე ნაკლები — „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით. როგორც ვხედავთ, ჰგერათა ჩამატების შეცდომების მიხედვით, უპირატესობა

<sup>39</sup> Т. Г. Егоров, Психология овладения навыком чтения, Изд. АПН РСФСР, 1953.

<sup>40</sup> ა. ფ რ უ ძ ე, როგორ ეუფითარებ მოსწავლეს კითხვის ტექნიკას პირველ კლასში, ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 12, 1940 (პედაგოგიური გამოცდილებიდან).

„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტს ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საბუთი იმისა, რომ დავასკვნათ — ბგერათა ჩამატების შეცდომები შრიფტის თავისებურებით არის გამოწვეული, რადგანაც ეს შეცდომები სამი სხვადასხვა შრიფტით კითხვისას დიდ სხვაობას არ იძლევა: პირველკლასელებთან „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას 10,6%-ია, „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას—11,3% და „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას—16,1%. სხვაობა მათ შორის 5,0%-ს არ აღემატება. მეორეკლასელებთან კი „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას 4,3%-ია, „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას—5,6% და „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას—5,7%; მათ შორის სხვაობა 2,4%-ია. ამრიგად, არც ბგერათა ჩამატების შეცდომებში არ უნდა ვეძებოთ შრიფტების თავისებურების გავლენა კითხვის პროცესზე.

3. შეცდომათა მესამე სახეა კომპლექსებიდან ბგერების გამოტოვება.

გვაქვს ბგერათა გამოტოვების ორგვარი შემთხვევა:

I. როდესაც განსხვავებული ბგერებისაგან შემდგარი კომპლექსებიდან ბავში ერთ-ერთს ტოვებს. მაგალითად, კომპლექსს გრეტ—კითხულობს გეტ, გამოტოვა რ; ზუგდა—ზუდა, გამოტოვა გ; ჯიზლო—ჯიზო, გამოტოვა ღ; ლუმბლო—ლუმბო, გამოტოვა ღ; გეზთო—გეზო, გამოტოვა თ; ლაზლო—ლალო, გამოტოვა ზ; ძუვცხა—ძუვცა, გამოტოვა ხ; იშპა—იპა, გამოტოვა შ და ა. შ. ბავში შეჯგუფებული თანხმოვანბგერებიანი კომპლექსიდან კითხვის გასაადვილებლად ტოვებს ერთ-ერთ კომპლექსს.

II. როდესაც იდენტურბგერებიანი კომპლექსების დროს ერთ-ერთ იდენტურს არ კითხულობს, ტოვებს. მაგალითად. ოთთა—ოთია, გამოტოვა თ; სისხა—სიხა, გამოტოვა სი; ძემალო—ძემაო, გამოტოვა შ; ვივკა—ვიეკა, გამოტოვა ვ; გიგვა—გიევა, გამოტოვა ვი და ა. შ. ეს ფაქტი ცნობილია როგორც იდენტურთა შეფერხება. ზ. ხოჯავამ დაადგინა, რომ ბავში ერთ სიტყვაში არსებულ ორ იდენტურ ასო-ბგერას განიცდის როგორც ერთს, რის გამოც კითხვის დროს ერთ-ერთ იდენტურს არ კითხულობს, ტოვებს<sup>41</sup>.

<sup>41</sup> ზ. ხოჯავა, იდენტურთა შეფერხება, ფსიქოლოგია, ტ. VIII, 1953.

ბგერათა გამოტოვების შეცდომებიც არ არის დიდი რაოდენობით, იგი 10,3% არ აღემატება. პირველკლასელებთან მაქსიმალური რაოდენობა 8,8%-ს უდრის, მეორეკლასელებთან—10,3%-ს; სხვაობა პირველსა და მეორეკლასელებს შორის, დაახლოებით, 2%-ია (იხ. ცხრილი 5).

ბგერათა გამოტოვების შეცდომები პირველკლასელებთან „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის დროს—8,8%/ა-ია, „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას—7,9%/ი, ხოლო „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის დროს—6,4%, ე. ი. შედარებით მეტია „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას და ყველაზე მეტი—„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას.

მეორეკლასელებთან ყველაზე მეტი შეცდომა „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის დროს იქნა დაშვებული (10,3%/ი), დაახლოებით იმდენივე „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას (10,1%/ი) და ყველაზე ნაკლები „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას (6,7%/ი).

პირველკლასელებთან, ბგერათა გამოტოვების შეცდომების მიხედვით, ნაკლებ შეცდომებს იძლევა „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტი, მეორეკლასელებთან — „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტი; მაგრამ მათ შორის სხვაობა ისე მცირეა, რომ იგი რომელიმე შრიფტის ფორმის უპირატესობის საბუთს არ იძლევა. ამიტომ ბგერათა გამოტოვების შეცდომებსაც ვერ ჩავთვლით შრიფტის თავისებურებებით გამოწვეულ შეცდომებად.

4. შეცდომათა მეოთხე სახეა კომპლექსებში არსებული ბგერების ურთიერთშეცვლა.

ამგვარი შეცდომები ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში ყველაზე დიდი პროცენტით გვხვდება. ბგერათცვალების შეცდომები პირველკლასელებთან „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას შეადგენს 72,2% (იხ. ცხრილი 5); ამავე შრიფტით კითხვისას მეორეკლასელებთან აღნიშნული შეცდომები 81,5%-ია. პირველკლასელებთან შედარებით მეორეკლასელები „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას 8,8%-ით მეტ შეცდომას უშვებენ. ეს ფაქტი, შესაძლებელია, იმიტაც არის გაპირობებული, რომ მეორეკლასელებისგან განსხვავებით სხვა შრიფტზე — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცეროზე“—არიან გადასულნი. ისინი მო-

ცემულ მომენტში „ხომლი“ შრიფტის ასოებით კითხულობენ, პირველკლასელები კი ამ ეტაპზე მხოლოდ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში არიან ნაფარჯიშები.

შედარებით თანაბარი მდგომარეობაა პირველ და მეორეკლასელებთან ბგერათცვალების შეცდომათა გამოვლენის მხრივ; „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას პირველკლასელები მხოლოდ 1,0%-ით მეტ შეცდომებს უშვებენ (73,2%) მეორეკლასელებთან შედარებით (72,2%). დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას: I კლასელებთან — 75,7%-ია, II კლასელებთან — 76,5%/ი. ე. ი. პირველკლასელებმა, მეორეკლასელებთან შედარებით, 0,8%-ით შეცდომა დაუშვეს. როგორც ვხედავთ, ბგერათცვალების შეცდომები I კლასელებთანაც და II კლასელებთანაც ყველაზე ნაკლები რაოდენობით („დედა ენის გარნიტურისა“ და „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვასთან შედარებით) „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის დროს არის დაშვებული (იხ. ცხრილი 5).

ჩვენ ზემოთ განხილული შეცდომებიდან არც ერთი არ მივიჩნიეთ შრიფტის თავისებურებებით გამოწვეულ შეცდომებად.

ბგერათცვალების შეცდომებში ვანსხვავებთ ორ დიდ ჯგუფს: 1. როდესაც ერთსა და იმავე ადგილზე წარმოებული ბგერები ცვლიან ერთმანეთს, ე. ი. ჰომორგანულ ბგერათა ურთიერთშეცვლა და 2. როცა სხვადასხვა ადგილზე წარმოებული ბგერები ცვლიან ერთმანეთს, ე. ი. ჰეტერორგანული ბგერების ურთიერთშეცვლა.

ჰომორგანული ბგერების ურთიერთშეცვლის ჯგუფში რამდენიმე სახის შეცდომები გვაქვს. სახელდობრ:

I. მელერი ბგერის მელერი ბგერითვე შეცვლა. მაგ., კომპლექსს ჯულც ბავში კითხულობთ ჟულც (ჯ შეცვალა ჟ-თი); ხეძი—ხეზი (ძ შეცვალა ზ-თი) და ა. შ.

II. მელერის ფშვინიერით შეცვლა: მაგალითად, ყეჯი—კითხულობს ყეჩი (ჯ შეცვალა ჩ-ით); კვიძა—კვისა (ძ შეცვალა ხ-თი) და ა. შ.

III. მელერის მკვეთრით შეცვლა: მაგ., ჰუმბა — კითხულობს ჰუმბა (ბ შეცვალა პ-თი); გუმბა — კუმბა (გ შეცვალა კ-თი) და ა. შ.

IV. ფშვინიერის ფშვინიერითვე შეცვლა. მაგ., ყეცვი—კითხულობს ყეფი (ც შეცვალა ტ-თი) და ა. შ.

V. ფშვინიერის მკვეთრით შეცვლა. მაგალითად, ჰულფოქ—კითხულობს ჰულპოქ (ფ შეცვალა პ-თი) და ა. შ.

VI. მკვეთრის მკვეთრითვე შეცვლა. მაგალითად, ტეწი—კითხულობს წეწი (ტ შეცვალა წ-თი) და ა. შ.

როგორც ჩანს, ჰომორგანული ბგერათშეცვლის შეცდომების საესებით თავიდან აცილება შეუძლებელია, რადგან მათი წარმოქმნის ერთნაირი საარტიკულაციო დაბრკოლება, ერთი და იგივე ადგილი და ერთი და იგივე ორგანოების მონაწილეობა განაპირობებენ ჰომორგანულსა და ჰომოგენურ ბგერათა ურთიერთშეცვლას.

აღნიშნული შეცდომები, სამივე შრიფტით კითხვისას, მნიშვნელოვანი რაოდენობით არის დაშვებული. პირველკლასელებთან ბგერათცვალების შეცდომებიდან, „ჩვეულებრივი ტექსტის“ ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას, 35,7% ჰომორგანულია, მეორეკლასელებთან კი იმავე შრიფტით—21,0%, ე. ი. ამგვარი შეცდომები პირველკლასელებთან 16,7%-ით მეტია მეორეკლასელებთან შედარებით.

იმავე მასალის „მკაფიო გარნიტურით“ კითხვისას შეცდომები პირველკლასელებთან — 39,6%-ია, მეორეკლასელებთან — 24,1%. როგორც ვხედავთ, პირველკლასელებთან ჰომორგანული ბგერათცვალების (15,5%-ით) უფრო მეტი შეცდომები გვაქვს, ვიდრე მეორეკლასელებთან; „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას ასეთი შეცდომები I კლასელებთან 40,3%-ს შეადგენს, მეორეკლასელებთან კი—31,6%-ს. აქაც, პირველკლასელები მეტ შეცდომებს უშვებენ (8,7%-ით), ვიდრე მეორეკლასელები. საერთოდ, ჰომორგანული შეცდომების ყველაზე მეტი რაოდენობა დაშვებულია „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას (პირველკლასელებთან 40,3%, მეორეკლასელებთან — 31,6%) შედარებით ნაკლები—„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტის კითხვისას (პირველკლასელებთან 39,6%, მეორეკლასელებთან—24,1%) და ყველაზე ნაკლები—„დედა ენის გარნიტურის“ ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას (პირველკლასელებთან—35,7%), მეორეკლასელებთან—21,0% (იხ. ცხრილი 6).

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს „მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვისას. ამ შემთხვევაშიც, როგორც „ჩვეულებრივი ტექსტის“ კითხვისას, პირველკლასელები ჰომორგანულ შეცდომებს უფრო მეტი რაოდენობით უშვებენ, ვიდრე მეორეკლასელები; შეცდომათა ყველაზე ნაკლებ მაჩვენებლებს იძლევა „დედა ენის გარნიტურის“ ი. გოგებაშვილის“ შრიფტი, შედარებით მეტს — „მკაფიო გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ (იხ. ცხრილი 7).

ბგერათცვალების მეორე ჯგუფია ჰეტერორგანულ ბგერათა ურთიერთშეცვლა. ამ ჯგუფში ბგერათშენაცვლების თითქმის ყველა ის სახე გვხვდება, რაც ჰომორგანულ ბგერათშენაცვლების შემთხვევაში იყო მოცემული, სახელდობრ:

I. მელერი ბგერის მელერითვე შეცვლა. მაგალითად, ტუმპ—კითხულობს ტუნპ (შ შეცვალა ნ-თი); ჯიძა—ჯიჯა (ძ შეცვალა ჯ-თი) და ა. შ. ისინი სხვადასხვა ადგილზე წარმოითქმებიან, მაგრამ წარმოთქმის როგორობის მიხედვით ერთნაირნი არიან.

II. მელერის ფშინიერით შეცვლა. მაგალითად, ცეჟი--კითხულობს ცეჟი (ჟ შეცვალა ქ-თი); ლოძე--ჰოძე (ღ შეცვალა ჰ-თი) და ა. შ.

III. ფშინიერის ფშინიერითვე შეცვლა. მაგალითად, ფუჩეჟა--კითხულობს ჩუჩეჟა (ფ შეცვალა ჩ-თი) ჯაფეთო--ჯაფეფო (თ შეცვალა ფ-თი) და ა. შ.

IV. ფშინიერის მკვეთრით შეცვლა. მაგალითად, ვუში--კითხულობს ვუწი (შ შეცვალა წ-თი); ცეჟი--ყეჟი (ც შეცვალა ყ-თი) და ა. შ.

V. მკვეთრის მკვეთრით შეცვლა. მაგალითად, ჯამპ--კითხულობს ჯამტ (პ შეცვალა ტ-თი); შეკო--შეჟო (კ შეცვალა ჟ-თი) და ა. შ.

ამ სახის შეცდომებიც ბგერათცვალების შეცდომების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ასე, მაგალითად: პირველი კლასის ბავშვებთან „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით ჩვეულებრივი ტექსტის კითხვისას ასეთი შეცდომები 32,0% შეადგენს, მეორეკლასელებთან — 33,3%-ს. მეორეკლასელები, პირველკლასელებთან შედარებით, 1,3%-ით მეტ შეცდომებს უშვებენ.

„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას პირველკლასელების შეცდომები 35,3%-ია, II კლასელების—50,3%. აქ მეორეკლასელების შეცდომები 15%-ით მეტია; ხოლო „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით ზემოთ დასახელებული ტექსტის კითხვისას პირველკლასელების შეცდომები 21,0%-ს შეადგენს, მეორეკლასელების კი 25,6%-ს, ე. ი. 4,6%-ით მეტს პირველკლასელებთან შედარებით (იხ. ცხრილი 6).

ჰეტერორგანული შეცდომები ყველაზე ნაკლები რაოდენობით „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაშია დაშვებული, შედარებით მეტი — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვაში და უფრო მეტი — „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვაში.

„მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვისას ჰეტერორგანული ბგე-  
რათცვალების შეცდომები 11 კლასელებთან უფრო მეტია, ვიდრე  
პირველკლასელებთან. პირველ-კლასელებიც და მეორეკლასელებიც  
ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით  
კითხვის დროს უფრო მეტ შეცდომებს უშვებენ, ვიდრე „მკაფიო  
გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას და კიდევ უფრო მეტს — „დე-  
და ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვასთან  
შედარებით (იხ. ცხრილი 7).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ მიერ  
მიწოდებული საკითხავი მასალა შედგება უაზრო კომპლექსებისაგან  
(ე. ი. ასო-ბგერების ჯგუფისაგან, რომელთაც ერთმანეთთან მხო-  
ლოდ მეზობლობა აკავშირებს), რომელნიც არ არიან შერჩეულნი  
მათი ძნელად თუ ადვილად წარმოთქმის პრინციპის მიხედვით და  
რომელნიც ბგერათა მეზობლობის ყველა შესაძლო კომბინაციით  
არაიან მოცემულნი, მაშინ გასაგები იქნება, რომ ასეთი პირობები  
საკმაოდ ფართო გასაქანს იძლევა ფონეტიკური კანონების მოქმე-  
დებისათვის. ამით უნდა იყოს გამოწვეული ფონეტიკური ხასიათის  
შეცდომების ასეთი დიდი რიცხვი, რომელთა ახსნა, ასე თუ ისე,  
მაინც შესაძლებელია არტიკულაციური სიძნელეებით.

მაგრამ ჰეტერორგანული ბგერათცვალების ჯგუფში არის შე-  
ცდომების ერთი ჯგუფი, რომელიც ჰომორგანულ ბგერათცვალების  
ჯგუფში არ გვხვდება და რომელთა ცვალებადობაც ვერ აიხსნება  
არტიკულაციურა მიზეზებით. აქ ისეთი ბგერები ცვლიან ერთმა-  
ნეთს, რომლებიც ჰეტერორგანულობასთან ერთად ჰეტერორგანულ-  
ნიც არიან, ე. ი. მათი ურთიერთშეცვლის მიზეზს არ წარმოად-  
გენს არც წარმოთქმის ადგილი და არც წარმოთქმის რაგვა-  
რობა.

ასეთი ბგერების ურთიერთშეცვლა მათი გრაფიკული გამოსა-  
ხულების მსგავსებითაა გამოწვეული. მაგალითად, კომპლექსს ჰუნო  
ბავში კითხულობს პუნო (ჰ შესცვალა პ-თი); ცუჟი—ცუჟი (ჟ შეს-  
ცვალა ყ-თი); ჟძითა—უხითა (ძ—შეცვალა ხ-თი) და ა. შ.

ამ სახის შეცდომები მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებათა  
მსგავსებით შეიძლება იყოს გამოწვეული და შრიფტის თავისებუ-  
რებაც სწორედ ამგვარი შეცდომების გამოვლენის მეტნაკლებობაში  
უნდა ვეძებოთ. თუ სხვადასხვა მოყვანილობის შრიფტებიდან, რო-  
მელიმე შრიფტით კითხვისას, ამგვარი შეცდომები, სხვა შრიფტებ-  
თან შედარებით, თვალსაჩინოდ მეტი ან ნაკლები რაოდენობით იქ-  
ნება გამოვლენილი, იგი საშუალებას მოგვცემს შრიფტის კითხვადო-  
ბის ავკარგიანობის შესახებ ვილაპარაკოთ.



ამიტომ გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომებს ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

განვიხილოთ გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომების %-ული მაჩვენებლები პირველ და მეორეკლასელებთან, ჩვეულებრივ და მსგავს ასოთა ტექსტების კითხვისას, ცალ-ცალკე (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

ბგერათცვალების %-ული მაჩვენებლები „ჩვეულებრივი ტექსტის“ კითხვის დროს I და II კლასელებთან

შრიფტების დასახელება	კლასი	ჰომორგანული ბგერათცვალება %	ჰეტერორგანული ბგერათცვალება		ბგერათცვალების ჯამი
			გრაფიკ გამოს. მსგავს ასოთა შეცვლის %	არამსგავს ასოთა შეცვლის %	
დედა ენის გარნიტურა ი. გოგებაშვილი	I	213—55,7	193—32,3	190—32,0	596
	II	136—21,0	297—46,0	212—33,0	645
მკაფიო გარნიტურა	I	216—39,6	137—25,1	192—35,3	545
	II	115—24,1	122—25,6	240—50,3	477
ჩვეულებრივ გარნიტურა ხომლი ანუ ციცერო	I	198—40,3	103—21,0	190—38,7	491
	II	136—31,6	110—25,6	184—42,8	430

„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით ჩვეულებრივი ტექსტის კითხვის დროს ბგერათცვალების შეცდომებიდან გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები პირველკლასელებთან 32,3%-ს შეადგენს, მეორეკლასელებთან 46,0%-ს (13,7%-ით მეტს, ვიდრე პირველკლასელების). იგივე ტექსტის „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის შემთხვევაში გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები პირველკლასელებთან 25,1%-ია, მეორეკლასელებთან — 25,6% (0,5%-ით მეტი პირველკლასელებზე); ხოლო „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას პირველკლასელებთან — 21,0%, მეორეკლასელებთან — 25,6% (4,6%-ით მეტი II კლასელებზე — იხ. ცხრილი 6). სამივე შრიფტის კითხვის შემთხვევაში გრაფიკული გამოსახულებით

მსგავს ასოთა ურთიერთშენაცვლების შეცდომები მეორეკლასელებთან უფრო მეტია, ვიდრე პირველკლასელებთან.

„ჩვეულებრივი ტექსტის“ „დედა ენის გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლა უფრო მეტია, ვიდრე „მკაფიო გარნიტურისა“ და ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვის შემთხვევაში. ამის უფრო ნათელ სურათს გვაძლევს „მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვის ცხრილი (იხ. ცხრილი 7).

პირველი კლასის ბავშვებთან, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით „მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვისას, გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები 49,8%-ს შეადგენს, მეორე კლასის ბავშვებთან—62,5%-ს (12,7%-ით მეტს პირველკლასელებთან შედარებით); „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას პირველკლასელებთან — 37,2%-ს და მეორეკლასელებთან — 39,0%-ს (1,8%-ით მეტი პირველკლასელებზე); „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას—პირველკლასელებთან — 29,25%-ია და მეორეკლასელებთან—35,0% (1, ი. ი. 5,57%-ით მეტი პირველკლასელებზე) (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7

ბგერათცვალების შეცდომების % -ული მაჩვენებლები „მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვისას I და II კლასელებთან

შრიფტების დასახელება	კლასი	ჰომორგანული ბგერათცვლება %	ჰეტერორგანული ბგერათცვლება		ბგერათცვალების ჯამი
			გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა შეცვ. %	არამსგავს ასოთა შეცვლა %	
დედა ენის გარნიტურა ი. გოგებაშვილი	I	99—21,6	228—49,8	131—28,6	458
	II	56—11,7	298—62,5	123—25,8	477
მკაფიო გარნიტურა	I	78—22,7	128—37,2	138—40,1	344
	II	60—20,1	116—39,0	122—40,9	299
ჩვეულებრივი გარნიტურის რომლი ანუ ციცერო	I	93—29,25	93—29,25	132—41,5	318
	II	52—17,6	103—35,0	140—47	295

როგორც ვხედავთ, აქაც ისევე, როგორც „ჩვეულებრივი ტექსტის“ კითხვის შემთხვევაში, მეორე კლასის ბავშვები, გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის უფრო მეტ შეცდომებს იძლევიან, ვიდრე პირველკლასელები. ეს ფაქტი, იქნებ, იმით არის გამოწვეული, რომ პირველი კლასის ბავშვები, განსხვავებით მეორეკლასელებისაგან, უფრო „მიწვებულნი“ არიან ასოს მოყვანილობაზე, მეტად აკვირდებიან ასოს განმასხვავებელ ნიშნებს. მეორეკლასელები თვალის სწრაფი გადავლებით კითხულობენ კომპლექსებს, რომლებშიც ზოგიერთ ასოს საერთო მოხაზულობის მიხედვით და არა ყოველ ნაწილაკთა გაცნობიერებით არჩევენ. პირველკლასელები, პირიქით, თითოეული ასოს ამოცნობას მისი მოყვანილობისა და განმასხვავებელი ნიშნების გაცნობიერებით ცდილობენ. კითხვის ეს სხვადასხვანაირობა ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომების განსხვავებული რაოდენობისა, რასაც, ძირითადად, ხელს უწყობს შრიფტის ფორმა, მისი თითოეული ასოს მოყვანილობა, ასოთა პატარა ნაწილების გამოკვეთილობა, მათი სირთულე ან სი. მარტივე და ხაზების სიმკვეთრე. დიდი მნიშვნელობა აქვს ასოების სიდიდესაც, მაგრამ ეს ფაქტორი ჩვენს ექსპერიმენტებში გამოირიცხულია თანაბარი სიდიდის შრიფტების გამოყენებით.

„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით ნაბეჭდი მასალის კითხვაში პირველ და მეორეკლასელებს შორის თვალსაჩინო სხვაობაა (ჩვეულებრივი ტექსტის კითხვისას — 13,7%, მსგავს ასოთა ტექსტის კითხვისას — 12,7%); ნაკლები სხვაობაა „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის შემთხვევაში (ჩვეულებრივი ტექსტის კითხვისას — 0,5%, „მსგავს ასოთა ტექსტის“ კითხვისას — 1,8%), შედარებით მეტი — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვის შემთხვევაში (ჩვეულებრივი ტექსტის კითხვისას — 4,6%, მსგავს ასოთა ტექსტის კითხვისას — 5,75%).

მაშასადამე, აქ შრიფტების ნაირსახეობას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტი მნიშვნელობა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პირველი და მეორეკლასელების მიერ ერთისა და იმავე მასალის სხვადასხვა შრიფტით კითხვის დროს დაშვებულ შეცდომათა შედარებისას თვალსაჩინო სხვაობაა ჰეცდომათა საერთო რაოდენობაში და, მეორე, გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის რაოდენობისა და მათი ნაირსახეობის მხრივაც.

გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები როგორც პირველ, ისე მეორეკლასელებთან, ორივე ტექსტის კითხვისას, ყველაზე დიდი რაოდენობით „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის პროცესში გვხვდება, შედარებით ნაკლები „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის პროცესში და ყველაზე ნაკლები — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას.

ამრიგად, მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომების მიხედვით შედარებით უკეთეს მაჩვენებლებს „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით ნაბეჭდი მასალის კითხვა იძლევა, საშუალო ადგილი უჭირავს „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტს და უკანასკნელი — „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტს.

ჩვენ მაინც არა გვაქვს უფლება, ამ მონაცემების მიხედვით, ქართული საანბანო წიგნისათვის საფუძვლით შესაფერ შრიფტად „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტი მივიჩნიოთ, რადგან შეცდომათა საერთო რაოდენობა, თავისთავად, ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვის პროცესშიც საკმაოდ დიდია.

ექსპერიმენტული შედეგებია დაწვრილებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ შემოწმებული შრიფტებიდან ვერც ერთ მათგანზე ვერ ვიტყვი, რომ იგი უნაკლოა. სამივე შრიფტი იკითხება, მაგრამ სხვადასხვანაირი ნაკლოვანებებითა და სხვადასხვა უპირატესობით.

რაკი შრიფტის თავისებურებით გამოწვეულ შეცდომებად მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები მივიჩნიეთ, განვიხილოთ თითოეული შრიფტისათვის დამახასიათებელი ასოების შენაცვლების შეცდომები (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 8 გვიჩვენებს, რომ ორივე ტექსტის „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის დროს გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომებში ყველაზე მეტი უ—ყ ასოების ურთიერთშეცვლის შეცდომებია (120 შემთხვევა), შედარებით ნაკლებია ი და მ-ს ურთიერთშეცვლა (92), ზ-სა და პ-სი (67), ძ-სა და მ-ს (58), ლ-სა და ლ-ს (20), ხ-სა ხ-სი (20), დ-სა და დ-სი (11), ლ—დ-სა და გ—ვ-ს (რვა-რვა), ძ—ხ-სი (6), ზ—გ-სა და შ—მ-სი (ორ-ორი) და ერთი ძ-სა და ხ-ს.



იმავე მასალის „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას ყველაზე ხშირი ი და ო ასოების ურთიერთშეცვლის შეცდომები იყო (84), შემდეგ ჰ-სა და პ-ს (41), ძ-სა და ხ-სი (36), უ-სა ყ-სი (28), ლ-სა და ლ-სი (21), დ-სა და დ-სი (16), ბ-სა და გ-სი (13), შეიღ-შვიდი შემთხვევაა ლ-სა და დ-სა და ქ-სა და ჳ-ს, სამი შემთხვევაა ძ-ხ-ს: ორი — გ—გ-ს, და თითო-თითო ხ-სა და ხ-ს, ი-სა და თ-ს, კ-სა და ვ-ს, შ-სა წ-ს.

ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას ყველაზე მეტი შეცდომა ბ და გ ასოების ურთიერთშეცვლითაა გამოწვეული (44), შემდეგ ე-სა და ო-ს (40), უ-სა და ყ-ს (29), ძ-სა და ხ-ს (28), ჰ-სა და პ-ს (18), ხ-ხს, ძ-შ-სა და ქ-ჳ-ს—სამ-საში, ლ—ღ-სა და გ—ვ-ს ურთიერთშეცვლის თითო-თითო შემთხვევა.

სამივე შრიფტში სხვადასხვა სიხშირით გვხვდება სხვადასხვა მსგავსი ასოების ურთიერთშენაცვლება. თუ ერთ შრიფტში დიდი რაოდენობით მსგავს ასოთა ერთი ჯგუფის ურთიერთშენაცვლებაა, მეორე ან მესამე შრიფტში შეცდომების დიდი რაოდენობა მსგავს ასოთა სხვა ჯგუფების ურთიერთშენაცვლებით არის გამოწვეული. მაგალითად, „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში შეცდომების ყველაზე დიდი რაოდენობა უყ-ს, იო ს, ჰ—პ-ს, ძ—შ-ს, ლ—ღ-ს, ხ—ხ-ს და დ—ღ ასოების ურთიერთშეცვლისას გვაქვს.

„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის დროს ყველაზე დიდი რაოდენობით ე—ო-ს, ჰ—პ-ს, ძ—ხ-ს (მაშინ, როდესაც „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის შემთხვევაში ძ-სა და ხ-ს ურთიერთშეცვლის ერთადერთი შემთხვევა გვაქვს), შემდეგ უ—ყ-ს, ლ—ღ-ს, დ—ღ-ს და ბ—გ-ს ურთიერთშეცვლა გვაქვს. „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას ბ—გ-ს ურთიერთშეცვლის ორი შემთხვევაა, ძ—ხ-სი—ერთი, ხოლო შ—შ-ს ურთიერთშეცვლა „მკაფიო გარნიტურაში“ სულ არ გვხვდება.

ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვის დროს ყველაზე მეტი შეცდომა ბ—გ-ს ურთიერთშეცვლით გვაქვს (44), მაშინ როცა „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას ბ-სა და გ-ს ურთიერთშეცვლის მხოლოდ 13 შემთხვევაა, ხოლო „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას—ორი; ჩვეულებრივ გარნიტურაში შეცდომათა დიდ რაოდენობას ქმნის ე-სა და ო-ს (40), უ-სა და ყ-ს (29), ძ-სა და ხ-ს

(28), ჰ-სა და ჰ-ს (18) და ღ-სა და ლ-ს (15) ურთიერთშეცვლა.

მცირე რაოდენობით გვხვდება: ღ-სა და ლ-ს (8), ძ და ხ-ს, ხ და ხ-ს, ძ და მ-ს ურთიერთშეცვლის სამ-სამი და ლ-ღ-სა და გ-ვ-ს თათო-თითო შემთხვევა.

დავასახელოთ ასო-ბგერათა ჯგუფები, რომელნიც ხშირად ცვლიან ურთიერთს „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვაში, მაგრამ იგივე ასოების უმრავლესობა უფრო ხშირად იცვლება „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვის დროს, ნაწილი ამ ასოებისა კი ორჯერ (ი—ო), სამჯერ (ჰ—პ) და ოთხჯერ (ჟ—ყ) მეტ შეცდომებს იძლევა „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას, ვიდრე „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ან „ციცერო“ შრიფტისას.

პირიქითაც, გარკვეული ჯგუფი ასოებისა, რომლებიც ხშირად ცვლიან ურთიერთს „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტში, შედარებით იშვიათად იცვლება „მკაფიო გარნიტურისა“ და „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში. ასევეა „მკაფიო გარნიტურის“ კითხვის დროსაც.

ამრიგად, ერთ შემთხვევაში უფრო ხშირად ასო-ბგერების ერთი ჯგუფი ერთიმეორეს ცვლის, მეორე შრიფტში ურთიერთს ცვლიან ზოგი იგივე ასო-ბგერა და ზოგიც სხვა. ეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ შრიფტში რომელი ასოები ქმნიან ერთმანეთთან უფრო მკვეთრ მსგავსებას.

მეორე კლასის ბავშვებთანაც თითქმის ასეთივე სურათი გვაქვს ორივე ტექსტის კითხვის მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრილი 9).

როგორც ცხრილი 9 გვიჩვენებს, მეორე კლასის ბავშვები „ღედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის დროს ყველაზე მეტად ცვლიან ასოებს: ჟ და ყ-ს (126), ი-სა და ო-ს (114), ჰ-სა და პ-ს (93), ძ-სა და მ-ს (73), ღ-სა და ლ-ს (44), ღ-სა და ლ-ს (41), ხ-სა და ხ-ს (35), კ-სა და ვ-ს (17), ლ-სა და ღ-ს (16) და გ-სა და ვ-ს (13); მცირე რაოდენობით; ძ-სა და ხ-ს (9), ძ-სა და ხ-ს (50), მ და შ-ს (4), ო—თ-სა და ქ—ჭ-ს (ორ-ორი) და უ და ყ-ს ერთი შემთხვევა.

„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვაში შეცდომების დიდი რაოდენობაა ჰ-სა და პ-ს (77), ი-სა და ო-ს (24), ღ-სა და ლ-ს (23), ღ-სა და ლ-ს (21), ჟ-სა და ყ-ს (19), ძ-სა და ხ-ს (18) და ლ-სა და ღ-ს; მცირე რაოდენობით: გ-სა და ვ-ს (8), ზ-სა და გ-ს (7),

ქ-სა და ჰ-ს (6), ხ-სა და ხ-ს (6) და, ო-სა და თ-ს (5), კ-სა და გ-ს (4), ძ-მ-სა და ი-თ-ს ორი-ორი და შ-წ-სა და შ-შ-ს თითო-თითო ურთიერთშეცვლით.

ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას შეცდომების ყველაზე დიდი რაოდენობა გამოწვეულია: ჰ-სა და პ-ს (46), ი-სა და ო-ს (35), უ-სა და ყ-ს (26), ძ-სა და ხ-ს (22), ზ-სა და გ-ს (21), ღ-სა და ლ-ს (17), ლ-ლ-ს (12); მცირე რაოდენობით: ხ-სა და ხ-ს (7), ძ-მ, ლ-ღ და ქ-ჭ (ხუთ-ხუთი), ო-თ-სა და მ-შ-ს, კ-გ-სა და გ-გ-ს (ორი-ორი) და ი-თ-სა და ძ-ხ-ს (თითო-თითო) ასოების ურთიერთშეცვლით.

ამრიგად, პირველკლასელები და მეორეკლასელები „ღედაენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის დროს მეტ შეცდომებს ფუ, იო, ჰპ, ძმ, ლლ, სხ, ღღ ასოების ურთიერთშეცვლით უშვებენ, ხოლო დანარჩენი ლღ, გვ, კვ, ძხ, ძს და შწ ასოების ურთიერთშეცვლის შეცდომები პირველკლასელებთან უფრო ნაკლები რაოდენობით გვხვდება, ვიდრე მეორეკლასელებთან. პირველკლასელებთან არ გვხვდება იო, ქქ-ს, ფუ-ს ურთიერთშეცვლის შეცდომები, მეორეკლასელებთან კი ზგ-სი.

„მკათიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას პირველკლასელებთან შეცდომების ყველაზე დიდი რაოდენობა ი და ო ასოების ურთიერთშეცვლით არის გამოწვეული, მეორეკლასელებთან — ჰ და პ-ს; ჰ და პ-ს ურთიერთშეცვლის შეცდომები პირველკლასელებთანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება. მაგრამ მათი შეცვლა ერთნახევარჯერ ნაკლებია მეორეკლასელების შეცდომებზე. პირველკლასელებთან დიდი რაოდენობით გვაქვს აგრეთვე: ძხ, ფუ, ლღ, ღღ-სა და ზგ ასოების ურთიერთშეცვლა, მეორეკლასელებთან — შედარებით დიდი რაოდენობა იო, ლღ, ღღ, ფუ, ძხ და ლღ ასოებისა, თუმცა ამ ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები, პირველკლასელებთან შედარებით, თითქმის ორჯერ ნაკლებია; შეცდომათა მცირე რაოდენობა პირველკლასელებთან ლღ, ქქ, ძმ, ძს, გვ, სხ, იო, კვ და შწ (თითო-თითო) ასოებზე მოდის; მეორეკლასელებთან — გვ, ზგ, სხ, ქქ, იო, კვ, ძმ-სა შწ და შმ (თითო-თითო) ასოებზე, ხოლო ძს-ს ურთიერთშეცვლა მეორეკლასელებთან სულ არა გვაქვს. სამაგიეროდ, პირველკლასელებთან იო-სა და შმ ასოების ურთიერთშეცვლა არ გვხვდება.

დაბოლოს, ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვაში პირველკლასელებთან შეცდომათა ყველაზე დიდი რაოდენობა ზგ ასოების ურთიერთშეცვლით გვაქვს,



მეორეკლასელებთან კი — ჰპ ასოებისა; შედარებით დიდი რაოდენობა პირველკლასელებთან — იო, ყუ, ძხ, ჰპ-სა და ლლ ასოების ურთიერთშეცვლით გვხვდება: მეორეკლასელებთან — შედარებით დიდი რაოდენობა იო, ყუ, ძხ, ზგ, ლლ, ლლ ასოებისა; მცირე რაოდენობით გვხვდება: პირველკლასელებთან ლლ, ძმ, ხხ, კკ, ძხ,-და თითო-თითო ლლ და გვ ასოების ურთიერთშეცვლა; მეორეკლასელებთან — ხხ, ძმ, ლლ, კკ, მშ, გვ-სა და თითო-თითო ით-სა და ძხ-სი. პირველკლასელებთან სულ არა გვაქვს ოთ, ით, კვ და მშ-ს ასოების ურთიერთშეცვლის შეცდომები

ცხრილები 8 და 9 ნათლად გვიჩვენებენ, რომ ერთისა და იმავე მასალის სხვადასხვა მოხაზულობისა და სხვადასხვა გარნიტურის შრიფტებით კითხვა სხვადასხვა რაოდენობისა და სხვადასხვა ხასიათის შეცდომებს იძლევა. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ფორმის შრიფტებში სხვადასხვა ასოთა მსგავსება გვაქვს მოცემული, ამის გამო, როგორც ზემოთაღ აღენიშნეთ, იშისდა მიხედვით, თუ რომელ შრიფტში რომელი ასოები უფრო ქმნიან ურთიერთთან მსგავსებას, შეცდომათა რაოდენობაცა და ხასიათიც იმით განისაზღვრება.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ქართულ ანბანს მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს გრაფიკული გამოსახულებით მსგავსი ასოები; ამიტომ ვერც ერთი გარნიტურის შრიფტი ვერ დააღწევს თავს ასოთა მსგავსებით გამოწვეულ შეცდომებს, მაგრამ ამა თუ იმ შრიფტში ასოთა მსგავსება შეიძლება მეტნაკლებად იყოს მოცემული. ეს შრიფტის ხასიათზე: ტიაზე, შრიფტის ასოთა ჩამონაკეთულებაზე, მის აღნაგობასა და ასოებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ხაზების ურთიერთობაზეა დამოკიდებული.

მაგრამ, რაკი ქართულ ანბანს თვითონ აქვს მოხაზულობით მსგავსი ასოები, ამიტომ ასოთა მსგავსება ყველა ტიპის შრიფტში იქნება მოცემული.

ექსპერიმენტულმა მონაცემებმა დაგვანახა, რომ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტში ქართული ანბანისთვის დამახასიათებელი მსგავსი ასოების მსგავსება უფრო მკვეთრად არის მოცემული, ვიდრე იგივე ასოების მსგავსება სხვა, დანარჩენი ორი გარნიტურის — „მკაფიო გარნიტურისა“ და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხი.მლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტის ასოებში. მაგ., უ და ყ, ძ და მ, ს და ხ, ზ და პ, ლ და ლ, გ და ვ, ი და ო, კ და ვ, ლ და ლ ასოები „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტში უფრო გვანან ერთმანეთს, ვიდრე „მკაფიო გარნი-

ტურისა<sup>4</sup> და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო-რო“ შრიფტში. დასახელებული ასოების ურთიერთშეცვლას ადგილი ჰქონდა „მკაფიო გარნიტურისა“ და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვაშიც, მაგრამ „დღეა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ კითხვისას დაშვებული ასობგერათა ურთიერთშეცვლის შეცდომები ერთი-ორად აღემატებოდა დანარჩენი გარნიტურის შრიფტებით კითხვის შეცდომებს.

„ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ასოებში, სხვა შრიფტებთან შედარებით, უფრო მეტი მსგავსება გამოწვეულია როგორც ხაზების მეტისმეტი განსხვავებულობით, ისე ასოთა პატარა ნაწილებისა და ასოთა გამალამაზებელი ელემენტების, სამკაულების სიუხვით, რაც, თავის მხრივ, აძნელებს ასოთა ურთიერთისაგან გარჩევას.

დანარჩენი ორი გარნიტურის შრიფტი — „მკაფიო გარნიტურისა“ და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ — ამ მხრივ გამარტივებულია. „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტი გროტესკის<sup>12</sup> ჯგუფის შრიფტს ეკუთვნის. მასში გამოყენებულია მხოლოდ მსხვილი, ერთნაირი, თანაბარი სისქის ხაზი; ყოველი ასო ჩამონაკვეთულია ერთბაში ხაზით. აქ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს ხაზთა კონტრასტული ურთიერთობა, მაგრამ მისი ერთბაში ხაზი მეორე უკიდურესობაა: იგი მარტივ, უორნამენტო ერთფეროვან ასოებს იძლევა. აღნიშნულ შრიფტში მთელი ყურადღება ვადატანილია ასოთა სიმარტივესა და ეკონომიურობაზე (მისი ასოები ვიწროდ არიან ჩამონაკვეთლნი, რომელიც კვადრატში ნახევარს ან ცოტა მეტს თუ იკავებენ).

ეკონომიურობა და სიმარტივე შრიფტის უდიდესი ღირსებაა წიგნის ბეჭდვის ტექნიკისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ასოს ერთბაში ხაზი თავისი ერთფეროვნებით არ აძლევს შრიფტს სიხალისესა და სიმკვეთრეს, რაც ნაკლია კითხვისათვის.

„ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ ნახევრად გროტესკის ჯგუფის შრიფტს ეკუთვნის. მასში მოცემულია მსხვილი და ნაწილობრივ წმინდა ხაზები უკონტრასტოდ, რადგან ასოს ძირითადსა და გადასაბმელ ხაზებს შორის მცირე განსხვავებაა. სამაგიეროდ, „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტის ასოები მეტისმეტად განიერი მოყვანილობისაა, რის გამოც, ბეჭდვის ეკონომიურობის თვალსაზრისით, ორივე

<sup>12</sup> გროტესკი, ჯგუფი შრიფტებისა, რომლებიც ერთიანი სიმსხოს ხაზით იკვეთება (ბ. გოტდებანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955).

გარნიტურის შრიფტებს ჩამორჩება, მისი 24 კეგელზე გადიდება მეტად დიდ ფართობს იკავებს, რაც ხელსაყრელი არ არის საბეჭ-  
დად. „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ 24 კეგელით ნა-  
ბეჭდი ერთი სტრიქონი „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ  
„ციცერო“ შრიფტის ერთ სტრიქონს ვერ იჭერს; სამაგიეროდ  
მასში ქართული ანბანისთვის დამახასიათებელ ასოთა სიმრგვალე  
და სიზარტივეა დაცული (თუმცა აქაც გვხვდება ზოგიერთი  
ასო. რომელსაც შემორჩენილი აქვს ზედმეტი ნიშნები, მაგრამ  
ისინი იმდენად მცირე რაოდენობისა და პატარა ზომის არიან,  
რომ არ ქმნიან ჭრელ ანაბეჭდს) რაც შეეხება მის სილამაზეს,  
„დედა ენის გარნიტურის“ შრიფტზე უფრო ლამაზი არ არის;  
მაგრამ ვერც მის ულახატობასა და უშნობაზე ვიტყვი რა-  
მეს—იგი ხალისიანი საკითხავიც არის. ჩვენმა ცდებმა ცხადყო  
მისი შედარებითი სიაღვილე. ამ შრიფტში, ქართულისათვის და-  
მახასიათებელ მსგავს ასოთა გარდა, მხოლოდ ბ და გ-ს მსგავსე-  
ბაა მკვეთრად მოცემული, ხოლო „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გო-  
გებაშვილის“ შრიფტი — ფ — ყ — ს, კ — ვ — ს ა და ძ — შ — ს ი ც. „მკათიო გარ-  
ნიტურის“ შრიფტში დამატებითი მსგავსი ასოები არა გვაქვს, მაგ-  
რამ თვითონ შრიფტი არ არის „ხომლზე“ ადვილსაკითხავი.

ჩვენ მიერ შემოწმებული სხვადასხვა გარნიტურის შრიფტების  
კითხვის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ თითოეული შრიფტი მეტნაკლე-  
ბად ადვილსაკითხავია. პირველკლასელებისათვისაც და მეორეკლასე-  
ლებისთვისაც ყველაზე არახელსაყრელი, მისი დროისა და შეც-  
დომათა რაოდენობის მიხედვით, „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გო-  
გებაშვილის“ შრიფტია, შედარებით უკეთესია — „ჩვეულებრივი გარ-  
ნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტი.

მაგრამ ეს შედეგები მიღებული გვაქვს ისეთ ცდისპირებზე,  
რომელნიც, საერთოდ, კითხვაში გაწაფულნი არ არიან, ამიტომ შეც-  
დომების ის დიდი რაოდენობა, რომელიც „დედა ენის გარნიტუ-  
რის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაშია დაშვებული, შესაძ-  
ლებელია, ცდისპირთა კითხვის ჩვევის დაუფლების დაბალი დო-  
ნით ან სხვა რომელიმე გაუთვალისწინებელი მიზეზით არის გამო-  
წვეული; თვითონ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტიც, იქნებ, სხვა დანარ-  
ჩენი შრიფტების თანასწორი კითხვადობის აღმოჩნდეს. ამის გასა-  
რკვევად საჭიროდ ვცანით იგივე შრიფტების კითხვადობის შემო-  
წმება ისეთ ცდისპირებზეც, რომელთა სპეციალობა მჭიდროდაა  
დაკავშირებული კითხვასთან და გაწაფულ მკითხველებად ჩაითვლე-  
ბიან. ასეთებად შევარჩიეთ მეცნიერი მუშაკები და გამომცემლო-  
ბის თანამშრომლები — კორექტორები.

**შრიფტის მოყვანილობის გავლენა გაწაფული მკითხველების  
კითხვაზე**

ცდები გავიმეორეთ გაწაფულ მკითხველებზე იგივე მასალითა და პეთოდით, რომელიც გამოყენებული გვექონდა I და II კლასის მოსწავლეებთან. ცდებში მონაწილეობა მიიღო 60-მა ცდისპირობა (ამდენივე გვეყავს შემოწმებული პირველ-მეორე კლასელიც).

ისევე, როგორც წინა ცდებში, ახლაც ვაწარმოებდით წაკითხვის დროს დაშვებულ შეცდომათა აღრიცხვას და წასაკითხად საჭირო დროის გაზომვას წამმზომით. შემდეგ, ურთიერთს შევადარეთ I — II კლასელებისა და გაწაფულ მკითხველთა მიერ დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობა, შეცდომათა ნიმუშები და წასაკითხად საჭირო დროის საშუალო მაჩვენებლები.

სასვებით ბუნებრივია, რომ გაწაფულ მკითხველებს ცდის მასალების წასაკითხად ყველაზე ნაკლები დრო დასჭირდა, მეორე-კლასელებს — მეტი და პირველკლასელებს კიდევ უფრო მეტი. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ეს ფაქტი კი არ არის, — არამედ ის, რომ გაწაფულმა მკითხველებმაც და პირველ და მეორეკლასელებმაც ყველაზე მეტი დრო „დედა ენის გარნიტურის“ ი. გოგებაშვილის“ შრიფტით ნაბეჭდი მასალის კითხვას მოანდომეს (იხ. ცხრილი 10). გაწაფული მკითხველები „მკაფიო გარნიტურისა“ და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტებით ნაბეჭდ მასალას თითქმის თანაბარ დროს ანდომებენ, პირველი და მეორეკლასელები მეტად მცირე განსხვავებით, მაგრამ მაინც უფრო ნაკლებს — „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვას.

ცხრილი 10  
ორივე ტექსტის კითხვის დროის საშუალო მაჩვენებლები

ცდისპირობები	შრიფტების დასახელება		
	დედა ენის გარნიტურის ი. გოგებაშვილი	მკაფიო გარ- ნიტურა	ჩვეულებრივი გარნი- ტურის ხომლი ანუ ციცერო
I კლასელები	9'12"	8'52"	8'26"
II კლასელები	6'0"	6'3"	5'44"
გაწაფული მკითხველები	3'3"	2'46"	2'45"

ამ მონაცემებით ნათელია, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული სამი სხვადასხვა მოყვანილობის შრიფტიდან „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვას უფრო მეტი ღრო სკირდება, ვიდრე დანარჩენი ორი — „მკათიო გარნიტურისა“ და „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ — შრიფტით კითხვას.

ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაა ექსპერიმენტული კითხვის პროცესში გამოვლენილი შეცდომების საერთო მაჩვენებლებსა და შეცდომათა ნიმუშებში.

ვიდრე შეცდომების განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცდის მასალაში დაცულია მარცვალთა თანაბარი ზომა, რაც ერთგვარი რითმის შთაბეჭდილებას ტოვებს; ეს ფაქტი პირველ-მეორეკლასელებს არ შეუნიშნავთ, გაწაფული მკითხველების უმრავლესობა კი მასში მოცემული არსებული რითმით კითხულობდა. ამასთან, გაწაფული მკითხველები, I—II კლასელებისაგან განსხვავებით, ცდის მასალას მთლიანი სიტყვებით კითხულობდნენ ისინი თვალის სწრაფი გადავლებით იტაცებდნენ კომპლექსს ან კომპლექსთა მთელ ჯგუფს, რაც ხშირად შეცდომით კითხვის მიზეზიც ხდებოდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამით შეიძლება გავამართლოთ მათ მიერ დაშვებული შეცდომების საკმაოდ დიდი რაოდენობაც.

გაწაფულ მკითხველებს, I—II კლასელების წსგავსად, მთელი მასალა სულ უშეცდომოდ არ წაუკითხავთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ცვ მთელ მასალაში მხოლოდ ერთ ან ორ შეცდომას უშვებდა. I—II კლასელებთან ასეთი შემთხვევა გამონაკლისის სახითაც არ ყოფილა.

მიწოდებული ტექსტების კითხვაში დაშვებული შეცდომების რაოდენობა და შეცდომათა ნიმუშები იხ. ცხრილი 11-ში.

ცხრილში მოცემული ციფრებით ირკვევა, რომ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში I—II კლასელებიც და გაწაფული მკითხველებიც ყველაზე მეტ შეცდომებს უშვებენ, შედარებით ნაკლებს — „მკათიო გარნიტურისა“ და უფრო ნაკლებს — „ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას.

ორივე ტექსტის კითხვაში დაშვებულ შეცდომათა საერთო რაოდენობის  
მაჩვენებლები

(I—II კლასელებთან და გაწაფულ მკითხველებთან)

კლასიკები	შრიფტის დასახელება		
	დედა ენის გარნი- ტურის ი. გოგება- შვილი	მკათიო გარნიტურა	ჩვეულებრივი გარ- ნიტურის „ხომლი“ ანუ „სიცერო“
I კლასელები	1475	1228	1082
II კლასელები	1403	1067	1045
გაწაფული მკითხველები	663	507	498

შეცდომათა საერთო რაოდენობამ, ისევე როგორც კითხვის საშუალო მაჩვენებლებმა, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის საწინააღმდეგო შედეგები მოგვცა. შეცდომათა ხასიათის მიხედვით წინა ცდების მსგავსად, რამდენიმე სახის შეცდომები გამოვლინდა. სახელდობრ:

1. ერთი ბგერის გადანაცვლება მეორის ადგილზე,
2. კომპლექსებში ბგერების ჩამატება,
3. კომპლექსებიდან ბგერების გამოტოვება და
4. ასო-ბგერათა ურთიერთ შეცვლა.

შეცდომების ჩამოთვლილი სახეებიდან სამი სახე—ბგერების ურთიერთგადანაცვლება, ჩამატება და გამოტოვება—წინა ცდების მონაცემების მიხედვით შრიფტების თავისებურებებით გამოწვეულ შეცდომად არ ჩავთვალეთ; მართო მეოთხე სახის — ასო-ბგერათა ურთიერთშეცვლის — შეცდომებში გამოვყავით ფონეტიკური მიზეზებით გამოწვეული და სრულიად გამოვაცალკევით გრაფიკული მოხაზულობით მსგავს ასო-ბგერათა ურთიერთშეცვლის შეცდომები. და შრიფტის თავისებურებებით გამოწვეულ შეცდომად მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები მივიჩნიეთ.

ვნახოთ, რა სახისა და რაოდენობით გვხვდება აღნიშნული შეცდომები თითოეულ შრიფტში ცალ-ცალკე (იხ. ცხრილი 12).

გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები I—II კლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან ყვე-



ლაზე დიდი რაოდენობით „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის პროცესში გვხვდება; შედარებით ნაკლებია—„მკაფიო გარნიტურისა“ და ყველაზე ნაკლები—„ჩვეულებრივი გარნიტურის“ „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას.

ამრიგად, გრაფიკული მსგავსებით გამოწვეულ ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომებითაც უკეთეს მაჩვენებლებს „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტი იძლევა, საშუალო ადგილი „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტსა და უკანასკნელი—„დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვას უჭირავს.

ამასვე გვიჩვენებს ცდისპირთა დაკვირვებებიც: ცპ-ში მხოლოდ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას აღნიშნავენ, რომ დაძაბულობას ვგრძნობ, კითხვა მიჭირს, „ასოები ერთმანეთში მერევა“ და ხშირად კითხულობენ—„ეს რა ასოა—ძ თუ მ, ან ჟ თუ ყ?“.

როგორც ვხედავთ, ცდების ობიექტური მონაცემებითაც და ცდისპირთა დაკვირვებების მიხედვითაც ყველაზე ნელა და ძნელად გასარჩევ-საკითხავი „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ასოებია, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში მიღებული შეცდომების დიდი რაოდენობა და ხასიათი გამოწვეული ყოფილა არა კითხვის ჩვევის უქონლობისა თუ სხვა მიზეზებით, არამედ შრიფტის ფორმის თავისებურებით. ამიტომ ისეთი შრიფტის გამოყენება, რომლის ფორმა და მოხაზულობა არ უწყობს ხელს კითხვას, იძლევა ასოთა ურთიერთშეცვლის, შერევის პირობებსა და დასაყრდენს საბავშვო, საანბანო შრიფტისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნაზე (ერთი მოთხოვნის—სილამაზის გარდა) უარყოფითად პასუხობს და პირველ სასწავლო-საანბანო წიგნში მისი გამოყენება მიზანშეწონილად არ უნდა ჩაითვალოს.

მაშინ ისმება კითხვა: რა სახის შრიფტი უნდა მივცეთ წერა-კითხვის ახლად დამწყებს? რა მოყვანილობა უნდა ჰქონდეს საკითხავ ნიმუშებს? რა უნდა გვქონდეს მხედველობაში საანბანო შრიფტის მოხაზულობის შესარჩევად, მისი ხაზებისა და ფორმის დასადგენად?

ამ საკითხების გასარკვევად მარტო შრიფტის თავისებურებათა ცოდნა ვერ დაგვეხმარება. კითხვა მარტო ასოთა ფორმების ნათელი და ცხადი მოცემულობით არ ამოიწურება. კითხვის პროცესის ხელშემწყობ ასოთა ფორმის შერჩევისას მხოლოდ მათი თვალსაჩინოება არ არის საკმარისი. კითხვა, როგორც რთული და მრავალფეროვანი პროცესი, შრიფტული ნიშნებისგან დიდ გარ-



კვეულობასა და დახმარებას მოითხოვს. „ასოთა გაურკვეველობისან ცალკეული გრაფემები დამახინჯებულად აღიქმება, რაც კითხვის შეფერხებას ან გაგების შეწყვეტას იწვევს, მაგრამ ასოებს შეიძლება მკაფიო ოპტიკური შთაბეჭდილებანი ჰქონდეთ და მაინც ვერ წავიკითხოთ. ამისათვის საჭიროა შეითხველს ჰქონდეს კითხვის უნარი“<sup>43</sup>.

კითხვის პროცესების დარღვევებში ცნობილია კითხვის დარღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე—ალექსია. ამ ცნებაში იგულისხმება შრიფტული ფორმების ოპტიკური გაგების შეწყვეტა. „ალექტიკოსს დაუზიანებელი აქვს ხედვითი შესაძლებლობანი, ის ხედავს და წმინდა ოპტიკური თვალსაზრისით აღიქვამს ასოებს, მაგრამ ისინი მისთვის არაფერს არ ნიშნავენ. ეს ასოები მისთვის უაზრო მონახაზებად ქცეულა და მათი ნიშანდობლივი მნიშვნელობა მიუწვდომელია. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მნემურ-რეპროდუქტულ დარღვევებზე დამოკიდებულ სულიერ სიბრმავეს ასოთა ფორმების მიმართ“<sup>44</sup>.

მაშასადამე, ოპტიკური ნიშნების ამოსაცნობად საჭიროა კითხვის უნარისა და აზრობლივი მოქმედების მზაობა.

კითხვის პროცესის განსახორციელებლად აუცილებელია ორი ძირითადი, ერთმანეთის საპირისპირო: მომენტი—ასოების თვალსაჩინოება და კითხვის უნარი, ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებულია არა მარტო მხედველობის შთაბეჭდილებებზე, არამედ იმაზეც, რამდენად მომწიფებულია მკითხველი მხედველობითი შთაბეჭდილების შესაცნობად და როგორი თავისებურებებით ხედება იგი წერა-კითხვის სწავლებას.

რადგან წერა-კითხვის დასაწყის პერიოდად 7 წლის ასაკი ითვლება, ჩვენ შევჩერდებით შეიდწლიანი ბავშვის აღქმის თავისებურებებსა და იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც წერა-კითხვის სწავლების პირველ წელს გვხვდება ნაწერებში შეცდომების სახით. განვიხილავთ შეცდომათა ნიმუშებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, რომლებიც, უდავოდ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათთვის განკუთვნილი შრიფტის ფორმის მოსანახავად.

### თ ა ვ ი III

#### მასალები ქართული საანბანო შრიფტის ფორმის დასადგენად

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შრიფტზე მომუშავენი შრიფტის ფორმას არჩევენ და ადგენენ წინასწარ დასახული მიზნის შესაფე-

<sup>43</sup> F. Kainz, Psychologie der Sprache, ტ. VI, 1956, გვ. 292.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 274.

რისად, — იმისდა მიხედვით, თუ რა მასალაა დასაბეჭდი (საკითხავი, სასწავლო, სარეკლამო თუ სხვა), ანდა: როგორია მკითხველი (ზრდადასრულებული, გაწაფული, სკოლის მოსწავლე თუ წერა-კითხვის ახლად დამწყები. ამის შესატყვისად იცვლება შრიფტის ფორმა. ამიტომ შრიფტის მოხაზულობის შემქმნელს ევალება, პირველ რიგში, მხედველობაში მიიღოს და ანგარიში გაუწიოს მკითხველის ფსიქიკურ მდგომარეობას: რამდენად არის იგი მომწიფებული და მოქმედებული შრიფტული ფორმების აღსაქმელად და რა თავისებურებებით ხასიათდება იმ მკითხველის აღქმა, რომლისთვისაც მხადდება ესა თუ ის შრიფტი. რადგან ჩვენ მიზნად დავისახეთ საანბანო წიგნის შრიფტის ფორმის მონახვა და დადგენა, რომლითაც იხელმძღვანელებს 7 წლის ბავშვი, ვნახოთ რა თავისებურებით ხასიათდება 7-წლიანი ბავშვის აღქმა და რა სახით იჩენს იგი თავს წერა-კითხვის სწავლების პერიოდში. და ბოლოს, ბავშვის აღქმის რა სპეციფიკურობა უნდა გვეკონდეს მხედველობაში მიღებული საანბანო შრიფტის ფორმის მიებისას.

**შვიდწლიანი ბავშვის ოპტიკური აღქმის ძირითადი თავისებურებანი.**

ყოველგვარი აღქმა ობიექტურად მოცემული სინამდვილის განცდაა, რომელიც ხასიათდება საგნობრიობით. იგი „საგნობრივი ცნობიერების ფორმაა“<sup>15</sup>, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ საგანი განიცდება როგორც ობიექტურად მოცემული მთლიანი თავისი მრავალფეროვანი შინაარსით, შიგნით დანაწევრებული, გარემოსგან მკვეთრად გამოკვეთილი და ამავე დროს განსაზღვრულ სივრცეში მოთავსებული.

ზრდადასრულებული ადამიანის აღქმაში ყველაფერი ეს ერთად არის მოცემული. მათთან საგნები შიგნით დანაწევრებული და გარემოსგან მკვეთრად გამოკვეთილ მთლიანობებად განიცდება. თვითონ საგნებში არსებული ნაწილები საგნის ცალკე დამოუკიდებელ წევრებად აღიქმებიან, ამავე დროს თითოეული წევრი მასში შემავალი მთლიანი საგნის განუყრელ ნაწილად განიცდება.

ობიექტური საგნები მოზრდილისთვის წარმოდგენილია ობიექტურად მოცემული გეშტალტური მთლიანების სახით, რომელთაც განსაზღვრული ფორმა, სიდიდე და სივრცეში მისთვის საჭირო მიმართულება და მდებარეობა აქვს; ყველა ამ ნიშანს (ერთად აღებული) ზრდადასრულებული ადამიანი აღქმის ოპტიმალურ პირობებში ერთად აღიქვამს.

<sup>15</sup> С. Л. Рубинштейн, Основы психологии, 1935, гл. 175.

ვნახოთ, ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს თუ არა საქმე 7-წლიანი ბავშვის აღქმაში.

თუ თვალს გადავაგვლებთ აღქმის განვითარების ანუ საგნობრივი ცნობიერების განვითარების იმ საფეხურებს, რომლებსაც ბავშვი გაივლის დაბადებიდან შვიდ წლამდე, ვნახავთ, რომ ბავშვზე ზემოქმედებს და ძალით იჭრება მის სულიერ ცხოვრებაში გარე სამყარო, ხოლო ბავშვის ფსიქოფიზიკური განვითარება, თავის მხრივ, თავიდანვე ესწრაფვის გარე სამყაროსთან უშუალო კავშირის დამყარებას.

აღქმის ჩასახვის დასაწყის ეტაპად ბავშვის ის არასპეციფიკური რეაქციები ითვლება, რომლითაც იგი გარე გამღიზიანებელს პასუხობს და რომლის დროსაც ბავშვი თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს გარე გამღიზიანებლის რომელიმე თავისებურებას (ახალდაბადებულობის ხანა). აღქმის პირველ შემთხვევებზე ბავშვის ისეთი ქცევები ითვლება, როდესაც (ბავშვის) ორგანიზმს რაიმე გარკვეული მოთხოვნილება მიმართავს გარე სამყაროსკენ, ხოლო გარე სამყარო, როგორც მისი დაკმაყოფილების მთლიანი სიტუაცია, ორგანიზმზე მთლიან შთაბეჭდილებას ახდენს და მასში, როგორც მთლიანში, იწვევს ცვლილებას<sup>46</sup>. ამას შემდეგში რეცეპტორებით მიღებული რამდენადმე დიფერენცირებული შთაბეჭდილებებიც (ფერი, ხმა და ა. შ.) ემატება და მთლიანი სუბიექტური მდგომარეობა ობიექტური სამყაროდან მიღებული შთაბეჭდილების ერთი რომელიმე ნიშნით აღიბეჭდება. ამიერიდან მის ცნობიერებაში გარე სამყარო — მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია — დედის ხმით ან სხვა რომელიმე ნიშნით წარმოდგება.

ამრიგად, გარე სამყარო, აღქმის განვითარების პირველ საფეხურზე „სუბიექტურ, ემოციონალური ხასიათის მთლიან მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიც ობიექტური შინაარსი საკმარისად გამოკვეთილი და გამოცალკევებული არ არის და იგი დიფუზიური, მთლიანი მოდიფიკაციის სახით ვლინდება. მას შემდეგ, რაც შეგრძნებებიც დაერთვის, მასში სათანადო ობიექტური ვითარება ისახება და ამისდა მიხედვით და აზის გამო შინაარსის დიფერენციაცია იწყება. ბავშვს ობიექტისკენ მიმართული შინაარსი უჩნდება“<sup>47</sup>. მალე ბავშვი საგნების შეიმჩნევასა და მათ დიფერენციაციას იწყებს. მაგრამ საგნებს იგი შეამჩნევს და გამოყოფს ერთი

<sup>46</sup> დ. უ ნ ა ძ ე, ბავშვის ფსიქოლოგია, 1947, გვ. 81.

<sup>47</sup> იქვე.

რომელიმე ნიშნის მიხედვით, რომელიც თვალში ეცემა და მასზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ორი წლიდან ობიექტის აღქმა ერთიმეორისაგან უკვე საკმარისად გამოკვეთილი და დიფერენცირებულია; ცალკეული საგნის საზღვრები ერთმანეთში ისე აღარ გადადის, როგორც ეს წინა საფეხურზე იყო. მაგრამ მისი აღქმა მაინც ისევ დიფუზიურია, ვინაიდან მასში აღქმული საგნის შინაარსი ჯერ კიდევ დანაწევრებული არ არის და საგანს ერთი რომელიმე ნიშნით ხედავს.

ორი წლის ასაკიდან საგანთა შემჩნევა-გამოყოფას მალე საგანთა ურთიერთმიმართებების ინტერესი, შემჩნევაც ემატება, რის გამოც იწყება ამ ურთიერთმიმართების აღქმაც, რომელსაც საფუძვლად ედება ინტელექტუალური ფუნქციების მოქმედება; მაგრამ იგი ჯერ მხოლოდ მხედველობასთან არის დაკავშირებული და იმის შემჩნევასთან გვაქვს საქმე, რაც უშუალოდ ეძლევა მას. მაგრამ ამას მალე შინაარსისადმი დიდი ინტერესი და აზრისადმი სწრაფვა დაერთვის. ბავშვი ახლა უკვე აზრისა და მისი მნიშვნელობის წვდომისაკენ მიიმართება.

აღქმის განვითარების ამ საფეხურების ნათელ სურათს იძლევა სურათების აღწერის მასალები და შტერნის მიერ დადგენილი საფეხურები. სანამ ბავშვი სურათების აზრს, შინაარსს მიწვედება; მანამდე იგი განვითარების რამდენიმე საფეხურს გაივლის. შტერნის მიხედვით, პირველ საფეხურზე ბავშვი მხოლოდ საგნების ცნობითა და მისი ჩამოთვლით კმაყოფილდება, ეს არის ე. წ. სუბსტიტუციის ხანა; მეორე საფეხური მოქმედებების დანახვით ანუ ცალკე საგნებისა და მათი ერთეული მდგომარეობის დასახელებით განისაზღვრება—ე. წ. აქციის ხანა; მესამე საფეხურზე მოცემულია საგანთა და მოქმედებათა შორის მიზეზობრივი კავშირის ძიება. ბავშვი, საზოგადოდ, ეძებს საგნებისა და მოქმედებების ურთიერთმიმართებას—ე. წ. რელაციის ხანა. და, ბოლოს, ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად იწყება საგნებში არსებული ნიშნების შემჩნევაც—ე. წ. ნიშნის ხანა.

როგორც ვხედავთ, სურათზე დაკვირვებებისას ბავშვის თვალსაზრისი თანდათანობით იცვლება. მის სუბიექტურ აღქმაში უფრო და უფრო ფართოვდება ობიექტური მოცემულობა, მაგრამ იგი ჯერ მაინც სუბიექტურ ხასიათს ატარებს, რამდენადმე უფრო დიფუზიურ. დიფერენციაციას მოკლებულ მთლიან განცდას წარმოადგენს.

ასაკის ზრდასთან ერთად (4 წლიდან) ბავშვში იწყება მიზანშეწონილი, წინასწარგანზრახული ქცევის მომწიფების პროცესი,

რაც, თავის მხრივ, ობიექტური საგნების თავისებურებათა მხედველობაში მიღებას გულისხმობს. ეს გარემოება ბავშვს აიძულებს ობიექტურად მოცემული საგნების თვისებებისათვის უფრო მეტად ანგარიშის გაწევას და თავისი ქცევის შესაფერად წარმართვას, რაც მას თანდათანობით ნიადაგს უმზადებს თავისი აღქმის სტრუქტურის შესაცვლელად; უბიძგებს საგნებსა თუ მოვლენებში ელემენტებისა და თვისებების შემჩნევა-გამოყოფისაკენ, ე. ი. დიფერენციაციისაკენ. ამრიგად, მთელი რიგი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ მეხუთე წლიდან ბავშვის აღქმას წინანდელი დიფუზიური ხასიათი ეკარგება და მის ნაცვლად, თანდათანობით (ასაკის ზრდასთან ერთად), ობიექტის შინაარსის დიფერენციაცია ჩნდება: ხუთი წლის ბავშვს, უზნაძის ცდების მიხედვით, უკვე შეუძლია, ერთდროულად, ობიექტის სამი ნიშანიც კი მიიღოს მხედველობაში.

ამასვე ადასტურებს სემიონოვა-ბოლტუნოვასა და სხვათა ექსპერიმენტები: რაც უფრო მაღალია ასაკი, მით უფრო მეტ დეტალებს აღიქვამს ბავშვი მოცემულ საგანში.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 6 — 7-წლიანი ბავშვი მთლიანად მიმართული და რამდენადმე მომზადებულია ობიექტური სინამდვილის შესამეცნებლად. ამის საბაზს მისი ობიექტური აღქმის უნარის განვითარება იძლევა. 6—7-წლიანი ბავშვი საგნების გარდა თვითონ საგნებში მოცემულ ელემენტებსაც არჩევს და „საგანთა განსხვავებასა და მსგავსებას ახლა ობიექტური ნიშნები განსაზღვრავენ და არა ერთ-ერთი მხარე, რომელიც, შემთხვევით, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვზე“ (დ. უზნაძე). მისი აღქმის სტრუქტურა, თავისი ობიექტური და გეშტალტური ხასიათით, მოზრდილის აღქმას უახლოვდება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, რაც იმაში გამოიხატება, რომ საგანში მოცემული ელემენტების სიმრავლე მუდამ და ყოველთვის მხედველობაში არა აქვს. ბავშვი ხშირად საგნის ამა თუ იმ ელემენტს (თავისი უყურადღებობით თუ თვითონ ელემენტის ნაკლები გამოკვეთილობის ან სხვა მიზეზის გამო) ვერ ინარჩუნებს, ზოგიერთი მათგანი ეკარგება ან მეორე მსგავსი ელემენტების მქონე საგნის ელემენტებში ერევა, ერთი საგანი ივსება მეორე საგნის ელემენტებით, ხოლო მეორე საგანი, პირველის მიხედვით, ელემენტების მხრივ ღარიბდება. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ბავშვისათვის უჩვეულო, უცხო ან მრავალმხრივ მიმართული და ჰარბი ელემენტების მქონე საგნების აღქმისა და გადმოცემისას; მაგრამ ვარჯიშისა და, განსაკუთრებით, და-

კვირვების უნარის განვითარების გავლენით სულ მალე (დაახლოებით, 8—8<sup>1</sup>/<sub>3</sub> წლის განმავლობაში) ეს ხარვეზიც თითქმის მთლიანად აღიკვეთება და ბავშვის აღქმა მოზრდილის აღქმას ემსგავსება.

შვიდწლიანი ბავშვის აღქმის დიფერენციაციის განვითარების გვერდით სივრცითი ორიენტაციის მიმართებების აღქმაც საკმაოდ წინ არის წასული. სივრცითი ორიენტაციის ცნებებში იგულისხმება: მარჯვნივ-მარცხნივ, ზევით-ქვევით, შორს-ახლოს, წინ-უკან გვერდზე-პირდაპირ, სწორად-ირიბად, სივრცეში საგნის ფორმისა, და სიდიდის განთენილობა.

სივრცითი მიმართებების აღქმის უნარის განვითარება განსაკუთრებით სწრაფად მიდის წინ 4 წლის ასაკიდან, მაშინ როცა ბავშვს საქმე აქვს თამაშის დროს ნივთიერი მასალის დამუშავებასთან, თვითმომსახურებასა და „სერიოზულ საქმიანობასთან“.

მასალის დამუშავებისას, თვითმომსახურებისა და „სერიოზული საქმიანობისას“ ბავშვისათვის დღითიდღე მეტისმეტად საგრძნობი და აუცილებელი ხდება სივრცითი მიმართებების გაცნობიერება და მისთვის ანგარიშის გაწევა. თუ სკოლისწინარე ასაკის წინა პერიოდის ბავშვი ფიგურების მდებარეობას გულგრილად უყურებს და თავდაყირა მიწოდებულ სურათებსაც ისეთივე ინტერესით ათვალისწინებს, როგორც ნორმალური მდებარეობის შემთხვევაში, ახლა, შვიდი წლის ასაკში, უკვე ისწრაფვის საგნისადმი ყოველნაირი მიმსგავსებისაკენ, როგორც გეშტალტური მთლიანის სრულყოფის, ისე თვით საგნისა და მისი ელემენტების მდებარეობის მხრივაც. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მისი განვითარება მეტისმეტად სწრაფად მიიწევს წინ. მაგრამ შვიდი წლის ასაკში იგი საგნებით დასრულებული სახით მაინც არ გვხვდება. ეს ფაქტი მთელი რიგი დაკვირვებებითა და ექსპერიმენტებით არის დადასტურებული.

ნეკლოუდოვას ცდებით, რომელშიც ბავშვს ექვს განსხვავებულ სივრცით მიმართებაში მიწოდებული ფიგურიდან ერთ-ერთის, სანიმუშოდ მიწოდებული ფიგურის, სივრცითი მიმართებით იდენტურის მოძებნა ევალებოდა, დადასტურდა შემდეგი: როცა ბავშვებს მოსთხოვეს ერთი სივრცითი ნიშნით განსხვავებული ფიგურის მონახვა, მაშინ ხუთწლიანებიდან ყველა. ამოცანა შეუცდომლად გადაწყვიტა 11%, ექვსწლიანებიდან—34%, შვიდწლიანებიდან—46% და რვაწლიანებიდან—69%.

ცდის მეორე სერიაში, როცა ერთდროულად ორი ან მეტი სივრცითი ნიშნის მხედველობაში მიღება ევალებოდათ, ოთხ-ხუთ-

წლიანი ბავშვებიდან ყველა ამოცანის უშეცდომოდ გადაჭრას ვერც ერთი ბავშვი ვერ ახერხებდა, ექვსწლიანებიდან მხოლოდ 4%-მა გადაწყვიტა ყველა ამოცანა, შვიდწლიანებიდან—19%-მა და რვაწლიანებიდან—54%-მა.

ბ. ხაჭაპურიძემ ნეკლიუდოვას მიერ გამოყენებულ მეთოდში სათანადო ცვლილებების შეტანით გამოიკვლია 6, 7 და 8-წლიანი ბავშვის აღქმა სივრცითი მიმართებების ცნობის ნხრივ; აღმოჩნდა, რომ „6-წლიან [ბავშვებს სივრცითი მიმართების სპონტანური შემჩნევის უნარი ნხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში აქვთ, 7-წლიანთა 35%-ს მტკიცედ აქვს ჩამოყალიბებული და 20%-ს სიმტკიცე აქვია, დანარჩენს კი ჩანასახ მდგომარეობაში აქვთ“<sup>48</sup>.

მოცემული ციფრები მიუთითებენ, რომ ხუთი წლიდან სივრცითი მიმართების დიფერენციაციის განვითარება საკმაოდ სწრაფად მიდის წინ. მაგრამ ღისი განვითარება სასკოლო ასაკისათვის არ არის დასრულებული.

შვიდწლიანი ბავშვის აღქმის ამ ნაკლოვანებებმა (სივრცითი მიმართების განვითარების დაუმთავრებლობამ და აღქმის არასრულყოფილმა დიფერენციაციამ), უდავოდ, თავი უნდა იჩინოს წერაკითხვის სწავლების დასაწყისში, ასოების გაცნობისა და მათი ფორმების დაუფლების საქმეში, ვინაიდან სკოლა ბავშვის აღქმას უყენებს ახალ მოთხოვნას — დიფერენციალური აღქმის უნარს. თუ მანამდე ბავშვს საგნის ცნობისათვის ყოფნიდა ერთი რომელიმე ნიშანი, ახლა ბავშვს ასოს წასაკითხად და შემდეგ მის გამოსაყვანად საკმაოდ დიფერენცირებული დაკვირვების უნარი მოეთხოვება: მან ერთდროულად მხედველობაში უნდა მიიღოს ასოს საერთო მოხაზულობა, მისი სიდიდე, სივრცითი მდებარეობა და ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება, აგრეთვე ის ბგერა, რომლის აღსანიშნადაც გამოიყენება ესა თუ ის ასო. ასოები აღსაქმელად ისეთსავე ობიექტებს წარმოადგენენ, როგორსაც სხვა ობიექტები, ამიტომ ასოების აღქმა არაფრით არ განსხვავდება სხვა პერსონალური აქტებისაგან. თითოეული ასო ისეთსავე გეშტალტურ მთლიანს წარმოადგენს, როგორსაც სხვა საგნები. ყოველ მათგანს თავისი სპეციფიკური ფორმა, სიდიდე და სივრცეში ესა თუ ის მდებარეობა აქვს.

არსებობს ასოების მრავალნაირი ფორმა, მოყვანილობა, სიდიდე, ფერი, პროპორციულობა და მდებარეობა; სახელდობრ: მო-

<sup>48</sup> ბ. ხაჭაპურიძე, სივრცითი მიმართების აღქმა სკოლისწინარე ასაკში. საქ. სსრ პედაგოგიურ მეცნ. ინსტიტუტის შრომები. ტ. 5, 1948, გვ. 77.

ყვანილობით—მრგვალი, კუთხოვანი, ჩონჩხისებური, ნახევრად მრგვალი და ა. შ.; სიდიდით—მსხვილი, წვრილი, საშუალოზომის ან ძალიან წვრილი (პეტიტი, ნონპარელი) და ა. შ.; ფერით—მუქი. ნათელი, ნახევრად მუქი და სხვა: სივრცეში მდებარეობის მხრივ—შეიძლება იყოს პირდაპირი ან კურსივი; განლაგების მიხედვით—ხაზხვეით, ხაზქვევით, ხაზშუა; ელემენტების მიმართებით—მარჯვნივ ან მარცხნივ, ასოს ზედა, წუა ან ქვედა ნაწილში და ა. შ.; პროპორციულობით—სიმეტრიული ორბაზიანი, სიმეტრიული ცალბაზიანი, ასიმეტრიული ორბაზიანი და ა. შ.

ამრიგად, თითოეული ასო წარმოადგენს ცალკე, დამოუკიდებელ, რთულ გეშტალტურ მთლიანს, რომლის შინაარსშია საკმაოდ მრავალჟეროვანი, სხვადასხვა მიმართულების, ფორმისა და სიდიდის ნაწილაკები, უჭირავს განსაზღვრული სივრცე, აქვს სპეციფიკური ფორმა, რალაც გარკვეული სიდიდე და, ამავე დროს, განსხვავდება პატარა ბავშვის გამოცდილებაში მოცემული საგნებისგან.

იაკი ბავშვი ასოებთან 7 წლის ასაკში იწყებს ურთიერთობას და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი აღქმის განვითარება ჯერ კიდევ დასრულებული სახით არ გველევა, საჭიროა განვიხილოთ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ წერა-კითხვის დასაწყის საფეხურზე. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ შევისწავლეთ პირველკლასელთა (დაფიდან და წიგნიდან გადაწერილ) ნაწერებში მოცემული შეცდომების ნიმუშები.

ჩვენ გავეცანით სამი სკოლის (53, 58 და 60) პირველკლასელთა 200 რეველს, რომელშიც ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის შეცდომებს:

1. ყველაზე მეტი იყო ასოთა საერთო მოხაზულობის მსგავსებით გამოწვეული შეცდომები; ბავშვებს ერთმანეთში ერევათ ასოები, რომელნიც მხოლოდ ერთი დეტალით—პირშეკრულობით, ღიაობით ან სხვით—განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მთლიანი მოყვანილობა კი ერთნაირი აქვთ. ასეთი შეცდომებია: ხხ-ს (ყველაზე ხშირი შეცდომა), ლღ, კვ, გვ, იო, ლლ, ორ და სხვათა არევა. ამ ასოებში, მსგავსების გვერდით, განსხვავება ნაკლებ თვალსაყმია, ამიტომაც იგი შეუმჩნეველი რჩება.

II. მსგავსი ასოების სივრცითი მიმართება შეუმჩნეველი რჩება ამის გამო ასოს ერთი მიმართულების ნაცვლად მეორე მიმართულებით აბრუნებს; მაგ., ძ-ს მაგიერ ხ-ს წერს, შ-ს მაგიერ წ-ს წერს,



ძ-ს მაგიერ ხ-ს და ა. შ. ზოგჯერ მეორე მსგავსი ასო, რომლითაც პირველ ასოს ცვლის, თავის ბუნებრივ მდგომარეობაში კი არ იწერება, არამედ შებრუნებულად.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ასო სხვა ასოსთან მიმსგავსების გარეშეც შებრუნებულად იწერება ანდა: ხაზზევითა ასო ხაზქვემოთ ჩამოაქვს და ქვემოთა ასო ხაზზემოთ ააქვს; მაგალითად, გემი (ჩამოიტანა მ), მუშა (უ--აიტანა ხაზზევით) და ა. შ.

III. გვაქვს წერის ისეთი შემთხვევებიც, როცა მსგავსებისა და სივრცითი მიმართების ცნობიერების უკმარობის ფაქტორები ერთდროულად მოქმედობს, ერთი და იგივე ასოს მეორე ასოს ელემენტებით ავსებს და სხვა სივრცით მიმართებაში ათავსებს; მაგ., ბავში შ-ს თავის მსგავსებას ხედავს უ-ს თავთან: ამიტომ იგი ხაზზევით ამოაქვს და შ-ს მუცელს უკეთებს, ანდა ლ: ხაზზევით ამოაქვს და ლ-ს კბილის თავშეკრულ კბილს უკეთებს.

IV. ბავში წერაში ბაწავს საკითხავად მიწოდებული ასოების ფორმას და, მასწავლებლის ახსნა-განმარტების მიუხედავად, ცდილობს, მაგალითად, ლ-ს ან ო-ს ისეთივე კბილები გაუკეთოს, როგორც წიგნშია მოცემული, ოღონდ იგი სწორად ვერ გამოყავს და დამახინჯებულ ნიმუშს ვიღებთ.

V. გვხვდება ასოთა ჩამატების შეცდომებიც. მაგ, გამოალო-გამოალო (ჩამატა ლ ლ-სთან მსგავსების გამო); კურდღლის—კურდღლის (აქაც ჩამატა ლ—ლ-სა და ლ-ს მსგავსი ასო); ზოგჯერ გვხვდება ასოთა განმეორება: თთევი (ჩამატა თ); სისსუფთავე (ჩამატა ს) და ა. შ.

VI. არის ასოთა გამოტოვების შემთხვევებიც. მაგალითად: ბუღ... (გამოტოვა—ე) კომშ... (გამოტოვა—ი), უთ... (გამოტოვა—ო) და ა. შ.

ზოგჯერ გამოტოვებს ერთ-ერთ განმეორებულ ასოს. მაგალითად, გა...ხმეს (გამოტოვა ა), სა...თი (გამოტოვა - ა), ბაყა...ი (გამოტოვა—ყ) და სხვ.

VII. სასწავლო წლის მეორე ნახევარში იშვიათად, მაგრამ მაინც, გვაქვს ყოყმანის ნიმუშები: ასოს აქეთ აქვს თავი თუ იქით?! ასე, მაგალითად, ბავშვს უნდა დაწეროს ძ (ძროხა), იწყებს ხ-ს წერას და იქვე ასწორებს, ამ საფეხურის შემდეგ, წლის დასასრულისთვის, ბავშვებთან ასეთი შეცდომები, შეიძლება ითქვას, მხოლოდ

იშვიათი გამონაკლისის სახითლა გვხვდება ან თითქმის აღარ მეორდება.

აღნიშნული შეცდომების წყარო, უმთავრესად, მსგავსების ფაქტორისა და სივრცითი მიმართების ცნობიერების უკმარობიდან მომდინარეობს. ბავშვი ერთმანეთში ურევს, ამატებს ან მეორე ასოს ელემენტებით ავსებს ასოებს მათი მსგავსების საფუძველზე; სივრცით სხვა მიმართებაში ათავსებს მეორე ასოს მსგავსი ელემენტის მდებარეობის მიხედვით.

პედაგოგიკურ ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა მითითებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი შეცდომა, რომლებსაც უშვებენ პირველკლასელები წერა-კითხვის სწავლების დასაწყის საფეხურზე კითხვაში, წერასა და ხატვაში. ეს შეცდომები უკავშირდება მხედველობითი ფორმების არაზუსტ განსხვავებებთან.

გალკინას დაკვირვებებით პირველკლასელებთან გვხვდება შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ელემენტების ცვლილებებთან. იგი გამოიხატება ცალკეული ელემენტების, მეტწილად მსგავსი ელემენტების, დამატებაში ან გამოკლებაში და მეორე—გრაფიკულად მსგავსი ასოების ურთიერთშეცვლაში<sup>49</sup>.

გურიანოვს თავის გამოკვლევაში წერის ჩვევის ფორმირებისას შენიშნული აქვს წერის ისეთი წესების დარღვევა, როგორცაა: ასოთა ელემენტების დაუმთავრებლობა ან დამატება, ერთი ასოს მეორით შეცვლა, სარკისებური წერა და სხვ.<sup>50</sup>. ამგვარ შეცდომებზე მიუთითებენ ანანიევი და პოპოვა<sup>51</sup>, ვოლოკიტინა<sup>52</sup>, ხაქაპურიძე<sup>53</sup> და სხვ., რომლებიც ადასტურებენ, რომ ასოს აღქმაში მეორდება ის მოვლენები, რომლებიც ადრე დამახასიათებელი იყო ბავშვისათვის საგანთა აღქმისას, სახელდობრ: აღქმის დაუნაწევრებლობა, სი-

<sup>49</sup> И. О. Галкина, О Восприятии детьми формы при обучении письму и рисованию в 1-м классе, Вопросы детской и общей психологии, Изд. АПН РСФСР, 1954, гв. 32.

<sup>50</sup> Е. В. Гурьянов и М. К., Шербак Психология и методика обучения письму в букварный период, Изд. АПН РСФСР, М., 1950.

<sup>51</sup> Б. Г. Ананьев и А. Н. Попова, Некоторые психологические вопросы букварного периода первоначального обучения грамоте. Известия АПН РСФСР, в. 26, 1950.

<sup>52</sup> М. Н. Волокитина, Очерки психологии школьников первого класса, 1951.

<sup>53</sup> გ. ხაქაპურიძე, სივრცითი მიმართების აღქმა სკოლისწინარე ასაკში, საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომები, № 5, 1948.

ერციტი მიმართებებისა და ელემენტების თანაფარდობათა ასახვაში მერყეობა და სხვ., სადაც, უმთავრესად, მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსგავსების ფაქტორი.

როგორც ვხედავთ, მსგავსება ასოთა დაუფლების, ასოთა მონახულობის სწორი აღქმისა და დახსომების ერთ-ერთი უდიდესი შემფერხებელი ფაქტორია, რაც კარბად არის მოცემული დედა ენის შრიფტის მოყვანილობაში ასოთა გაძალაძაზებელი ელემენტებისა და ხაზთა მკვეთრი სხვადასხვაობის წყალობით. ამიტომ საანბანო შრიფტის ფორმის ძიებისას, პირველ რიგში, ვიხილმძღვანელეთ ასოთა ფორმების გაარსმსგავსებით, ინდივიდუალიზაციით (რომ შრიფტში, ანბანში მოცემული მსგავსი ასოების გარდა, არ შეიქმნას ასოთა დამატებითი მსგავსება) და სისადავით; ჩამოვაცილეთ ყველა გამაძალაძაზებელი ელემენტი, რომლებიც ხელს უწყობენ ასოთა მსგავსებას.

ამრიგად, საანბანო შრიფტის ფორმათა შერჩევის ამოსავალ პრინციპად ვიღებთ:

1. ასოთა ინდივიდუალიზაციას, 2. გარკვეულობასა (სიცხადესა და მკაფიობას) და 3. ასოთა სისადავეს.

ეს პრინციპები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბავშვო საანბანო შრიფტისათვის ძირითად პირობად არის აღიარებული და ჩვენც მას ვიზიარებთ.

რაკი პირველ კლასში წერა-კითხვის სწავლება ერთდროულად მიმდინარეობს და ისინი ურთიერთდამხმარე პროცესებს წარმოადგენენ, ზოგიერთი პედაგოგ-სპეციალისტი საანბანო წიგნში მიწოდებული საწერი ნიმუშების ფორმებში ორხაზობრიობის მოძბრეა, გაძოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ ასო „წერის ბუნებრივ ვითარებაში არ შეიძლება მხოლოდ ერთი ამ ხაზთაგანიდან შედგებოდეს, თუ მას თავისუფლად ვწერთ და არ ვხატავთ“<sup>54</sup>. „ეს დამახასიათებელი თვისება ასოთა წერისა ზუსტად და მტკიცედ უნდა შევავთვისებინოთ მოსწავლეს, რომ დავიცვათ ქართული დამწერლობის ბუნებრიობა და სილაძაზე“<sup>55</sup>. ეს მოთხოვნა წერის ნიმუშებს ეხება, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას საკითხავი ნიშნების შესახებაც, რადგან „მზამზარეული ასოს დათვალიერების შემდეგ მოხა-

<sup>54</sup> ა. მირიანაშვილი, ახალი დედანი ბ. გაბიჩვაძისა, „დროება“, 1882, № 214.

<sup>55</sup> მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის აგების პრინციპები, 1925.

ზულობის ათვისება უკვე აღარავითარ სიძნელეს არ შეიცავს<sup>56</sup>. თუ გავიხსენებთ ქართული ანბანის თვისებებს, რომლებშიც ერთ-ერთი ღირსებაა ნაწერისა და ნაბეჭდის ერთგვარობა, მაშინ ჩვენმა საკითხავმა ნიშნებმა საწერ ნიმუშებადაც უნდა ივარგოს; საწერი ასოების ფორმა და საკითხავი ასოების ფორმა ერთმანეთს ემთხვევა. ბავშვს ისეთ ასოებს ვაწვდით საკითხავად, როგორ მოხაზულობასაც დაწერს. თუ ბუნებრივი წერის დროს ასოს მოყვანილობა ერთი ხაზით არ გამოიყვანება, საკითხავ ნიმუშებშიც ორგვარი ხაზის გამოყენება უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება, ვიდრე ერთხაზიანის.

რა თქმა უნდა, დედა ენის საკითხავი ნიშნები წერა-კითხვის ახლად დამწყებს ასოთა წერისათვის საჭირო მოძრაობათა მიმართულელებს ვერ უჩვენებს, ვინაიდან საკითხავი ასოები ელემენტებად არ არის დაშლილი და მთლიანი დასრულებული სახით ეძლევა, ამის გამო, სად იწყება თითოეული ასო, საით მიემართება და სად მთავრდება მასში ცხადად არა ჩანს. სამაგიეროდ, საკითხავ ნიშნებს ნორმალური წერის დროს შეუძლია მოგვეცეს კალმის წვერის სხვადასხვაგვარი მოძრაობით გამოწვეული განსხვავებული სისქის ხაზების ასახვა, აღმავალი და დაღმავალი ხაზების სხვაობა, კალმის წვერის მიბრუნ-მობრუნების, მსუბუქი მოძრაობისა თუ ძლიერი დანაკერის კვალის წარმოდგენა, რადგან კალმის სხვადასხვაგვარი მოძრაობის დროს „ასოების შემადგენელი ხაზებიც ან თხელია, ან მომსხო; ეს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოძრაობს ხელი--ზევიდან ქვევით თუ პირიქით. ხელის ზევიდან ქვევით მოძრაობისას ხაზი სქელი გამოდის, დანაკერი მკაფიოდ მოჩანს; ხოლო თუ ხელი ქვევიდან ზევით მოძრაობს, პირიქით,—ხაზი თხელია“<sup>57</sup>.

ამიტომ ჩვენ წინაშე დადგა საკითხი: ასახავს თუ არა დედა ენის შრიფტში მოცემული ორხაზიანობა ქართული წერის თავისებურებებს; ემთხვევა თუ არა საკითხავი ნიშნების ხაზების სხვადასხვაობა წერის დროს აღბეჭდილი ხაზების ნაირობას: მსხვილი-ხელის დანაკერებსა და წმინდა—კალმის მსუბუქი მოძრაობით აღბეჭდილ კვალს.

<sup>56</sup> Я. Гогешвили. Руководство для учителей и учительниц начальных школ, 1898.

<sup>57</sup> მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოს აგების პრინციპები. 1952, გვ. 165—166.

## ხელის დანაკერის საკითხი ქართული ასოების წერის პროცესში

ქართული შრიფტები, სხვა შრიფტების მსგავსად, ხელნაწერი ასოებისაგან არის წარმოშობილი. ლათინური წარმოშობის შრიფტების დამუშავებისას (ტექნიკურად ყველაზე დამუშავებული შრიფტი) მრავალგზით იქნა შესწავლილი ხელნაწერში ხელის დანაკერის საკითხი—სიძლიერე, სიგანე, მანძილი და მიმართულებანი, რაც მრავალნაირი მეთოდებითა და აპარატებითაა გამოკვლეული<sup>58</sup>. ქართულ ასოთა წერისას მიღებული ხელის დანაკერები არავის შეუსწავლია. მიუხედავად ამისა, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, დედა ენის შრიფტის ხაზთა სხვადასხვაობას ქართული ასოების წერის ამსახველად თვლიან: — მსხვილს — ხელის დანაკერებისა და წმინდას — კალმის მსუბუქი მონახაზებისას. ამვე დროს დაწყებითი კლასების (I—II—III) დასახმარებლად შემოღებულია „ქართული წერის დედანი“, რომლის ნიმუშები სრულებით არ ემთხვევა „დედა ენაში“ გამოყენებული ასოების ფორმას.

„წერის დედანი“ პირველი კლასის მასწავლებელსა და მოსწავლეებს ეხმარება წერის წესის გაცნობაში. მასში ყოველი ასო დაშლილია ცალკეულ ელემენტებად და მიღებულ ოთხხაზიან ბადეზეა განლაგებული, რომელსაც „მასწავლებელი იყენებს დაფაზე დაწერის დროს, რომ უჩვენოს მოწაფეებს, რომელი ასო სად იწყება, საით მიემართება და სად მთავრდება, რომელ ასოს საით აქვს ხელის დანაკერი და სხვა“<sup>59</sup>. ამრიგად, გამოდის, რომ „დედა ენის“ შრიფტის ხაზები ასოების ბუნებრივი წერის სახეს ასახავს, „ქართული წერის დედანი“ კი წერის ბუნებრივ მიმართულებას. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უნდა იყოს მათ შორის ამდენი სხვაობა?

„ასოთა დაწერილობა და გადაბმის ძირითადი შემთხვევები დაამუშავა კომისიამ. წერის დედანს მან საფუძვლად დაუდო ი. გოგებაშვილის მიერ დადგენილი დაწერილობა, მხოლოდ ზოგიერთი ასოს მოხაზულობაში შეიტანა მცირეოდენი ცვლილება“ და „მასწავლებელი ვალდებულია დედანს მისდიოს და მის მიხედვით წარმართოს წერა“<sup>60</sup>.

<sup>58</sup> L. Theodor, Harris and G. Lawrence Rarick.—The problem of pressure in handwriting—J Exp. Education. 1957, V. XXVI.

<sup>59</sup> ვ. თ. ო. უ. რ. ი. ა. ქართული წერის დედანი, წინასიტყვაობა, 1958, გვ. 3.

<sup>60</sup> იქვე.

მაშასადამე, ქართული წერა-კითხვის დამწყებ მოზარდ თაობას სკოლა და მასწავლებელი თითოეული ასოს გამოყვანას მასში მითითებული მოძრაობით აჩვენებს. რაკი ჩვენს მიზანს წერა-კითხვის დამწყებთათვის საწერ-საკითხავი ნიშნების ერთნაირი ფორმის ურთიერთშეთანხმება და საკითხავ ნიშნებში წერის თავისებურებებით აღბეჭდილი ხაზების შეთანხმება შეადგენს, განვიხილოთ, რას წარმოადგენს ქართულ ასოთა წერის წესი და შემდეგ, მის საფუძველზე, ვიკვლიოთ ქართულ ასოებში ხელის დანაქნრი ადგილები-

ა) ქართული ასოების წერის წესი

ა — იწყება შუა უჯრის მარცხენა მხრიდან, ეშვება ქვევით, მიდის მარჯვნივ,

ქმნის რკალს და ისევ ზევით მიემართება; როცა დაუპირისპირდება საწყის წერტილს, იხრება მარცხნივ და ზევით ასწვრივი რკალით მთავრდება.

ბ — იწყება ზევიდან ქვევით პატარა სწორი ხაზით, მიდის მარჯვნივ დახრილი ხაზით, შემდეგ ეშვება ქვე-


ვით, შუა უჯრამდე; შუა უჯრაში იხრება მარჯვნივ და ქვევით რკალით, ჩადის უჯრის კიდემდე, ბრუნდება ზევით, მიემართება მარცხნივ — რკალით, უერთდება შუა უჯრის დასაწყისში მარჯვენა მხარეზე დაღუნულ ნაწილს და ქმნის რგოლს.

გ — იწყება შუა უჯრის შუა მარცხენა მხრიდან, მიემართება ზევით და მარჯვნივ, ქმნის რკალს, უხვევს ქვევით, ბრუნდება მარცხ-

ნივ უჯრის შუა ნაწილამდე, ეშვება ისევ ქვევით სწორი პატარა ხაზით, შუა უჯრის კიდემდე; შემდეგ ისევ მარჯვნივ უხვევს, ჩადის ქვედა უჯრის ბოლომდე, რკალის შუა ნაწილიდან მიემართება ზევით და მარცხნივ, უხვევს შუა უჯრის ბოლოს, მიდის მარჯვნივ და უერთდება შუა უჯრის კიდეში გაღუნულ ნაწილს, ქმნის რგოლს.


დ — იწყება ქვედა უჯრის ოდნავ ზემო ნაწილიდან დახრილი ხაზით. დახრილი ხაზის

დასაწყისიდან კალამი მიემართება მარცხნივ და ზევით მოხრილი ხაზით, აღის შუა უჯრის ზემო კიდემდე, იხრება ქვემოთ, ქმნის კბილთა შუა პატარა სამკუთხედს, მიემართება მარჯვნივ, ეშვება ქვევით და იხრება მარცხნივ, უხვევს შუა უჯრის ქვემო კიდეზე, აღის ზევით და უერთდება კბილთა შუა სამკუთხედს რგოლით.




ე — იწყება შუა უჯრის შუა ნაწილიდან, მიემართება მარცხნივ და ზევით რკალით ამავე უჯრის ზემო კიდემდე, უხვევს მარჯვნივ, ეშვება ქვევით სწო-

რი ხაზით ქვედა უჯრის ბოლომდე, უხვევს მარცხნივ, ქმნის რკალს, ამოდის ზევით მარცხნივ და მთავრდება ასწორივით, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი რკალით.



ვ — (ისევე როგორც ე) იწყება შუა უჯრის შუა ნაწილიდან, მარცხნიდან მიემართება ზევით და მარჯვნივ, დაუხვევს

ქვევით მარჯვნივ, შემობრუნდება მარცხნივ; შუა უჯრის ბოლო ნაწილში გაბრუნდება მარჯვნივ, ქვემოთ ეშვება მოხრილი ხაზით და ქვედა უჯრის ბოლოს შუა ნაწილში უხვევს ქმარცხნივ, ამოდის ზემოთ და მთავრდება მარჯვნივ მოხრილი რკალით.




ზ — ზემო უჯრის შუა ნაწილში მარჯვნიდან იწყება, მიემართება ქვევით და მარცხნივ

აკეთებს პატარა წრეს, უბრუნდება საწყის წერტილს და ეშვება ქვემოთ სწორი ხაზით შუა უჯრამდე; აქედან ხელი უხვევს მარჯვნივ და შუა უჯრაში ქმნის რკალს.




თ — იწერება შუა ხაზში. მარჯვენა მხრიდან მარცხნივ ქმნის თვალს, უხვევს მარჯვ-

ნივ, ხაზავს რკალს და მთავრდება იმავე უჯრაში ოდნავ მარცხნივ მოხრილი რკალით.



ი — იწერება შუა ხაზის უჯრაში, იწყება შუა უჯრის ქვემო კიდეში, მიდის მარჯვნივ

და ზევით, ბრუნდება ამავე უჯრაში და ოდნავ მარცხნივ მოხრილი რკალით მთავრდება.



მო ნაწილის შუაში, ბრუნდება რის ბოლომდე ქმნის რკალს, უხვევს მარცხნივ, ადის ზევით და მთავრდება ქვედა უჯრის შუა ნაწილში მარჯვნივ გადმოხრილი რკალით.

კ — იწყება შუა უჯრის ზემო შუა ნაწილში მარცხენა მხრიდან მარჯვნივ მოხრილი რკალით, რომელიც ჩერდება ამავე უჯრის ქვედა უჯრის მარჯვნივ და ქვემოთ, ქვედა უჯრის ნაწილში მარჯვნივ გადმოხრილი რკალით.




ისევე როგორც დ და ღ, ადის შუა უჯრაში რკალით, აქვე ქმნის (მარცხნიდან მარჯვნივ) ერთიმეორის მიყოლებით სამ კბილს და შუა უჯრაშივე მთავრდება მარცხნივ მოხრილი რკალით.

ლ — იწყება ქვედა უჯრის ზემო ნაწილში დახრილი ხაზით,



სწორი ხაზით ეშვება ქვემოთ შუა უჯრამდე, მიდის მარცხნივ რკალით, უხვევს მარჯვნივ და აქვე მთავრდება რკალით.

მ — იწყება ზემო უჯრის ზეითა ნაწილში მარცხნიდან ზემოთ, მარჯვნივ მიმავალი რკალით, ამავე უჯრის მარჯვნიდან თავში



საწყისი წერტილის გავლით სწორი ხაზით ადის ზემო უჯრის ბოლომდე, ოდნავ იხრება ქვემოთ და მარჯვნივ უთანასწორდება გალუნვის დასაწყისს და მთავრდება მცირე ასწვრივი ხაზით.

ნ — იწყება შუა უჯრის შუა ნაწილიდან, მიიმართება მარცხნიდან მარჯვნივ, ბრუნდება ქვევით, ამავე უჯრაში ქმნის თვალს და



ზემოთ, იმავე უჯრაში უხვევს მარჯვნივ, ჩადის შუა უჯრის შუა ნაწილამდე, ბრუნდება ისევ ზევით მარჯვნივ, უთანაბრდება პირველ რკალს, ეშვება ქვევით, მარჯვნივ უხვევს და აქვე მთავრდება მარცხნივ მოხრილი რკალით.


ო — ისევე როგორც ი — თავსდება შუა ხაზში. იწყება შუა უჯრის ქვემო ხაზის მარჯვენა მხარეს, მიემართება



კ — იწყება შუა უჯრის შუა ნაწილში, მარცხნიდან ეშვება ქვევით, რკალით მიემართება მარჯვნივ და ზევით, შუა უჯრის თავამდე, უხვევს მარცხნივ, შუა ნაწილში ბრუნდება და მიემართება მარჯვნივ და ზევით, ზემო უჯრის ბოლომდე, შიდას ოდნავ დახრილი, ასწვრივი ხაზით და აქვე მთავრდება.



შ — იწყება შუა უჯრის ქვემო ნაწილში მარცხნიდან მარჯვნივ მოხრილი რკალით, რომელიც ისევ მარცხნივ მიემართება, რითაც ქმნის მცირე ღია თვალს, კვლავ შიდას მარჯვნივ ზევით აღმაცერი ხაზით და შუა უჯრის თავში ბრუნდება, ეშვება ქვემოთ სწორი ხაზით, ქვედა უჯრის ბოლომდე; აქ უხვევს მარცხნივ, რკალით მიემართება ზევით ამავ უჯრის შუა ნაწილამდე და აქვე მთავრდება შიგნით მოხრილი რკალით.



რ — იწყება უჯრის ზემო უჯრის მარჯვენა კუთხეში, იხრება ქვევით, მიემართება დამრეცი

ხაზით შუა უჯრის მარცხენა კუთხემდე, აქედან უკან ასდევს შუა უჯრის ზემო კიდემდე, უხვევს მარჯვნივ რკალით, ეშვება შუა უჯრის შუა ნაწილამდე და ისევე, როგორც ო-ს წერისას, იქმნება კბილი, ისევ ადის ზევით, შუა უჯრის თავამდე, უხვევს მარჯვნივ, ეშვება ქვემოთ და შუა უჯრაშივე მთავრდება შიგნით, მარცხნივ მოხრილი რკალით.



ს — იწყება ზემო უჯრის ზედა ნაწილში, ჩამოდის სწორი ხაზით შუა უჯრის ბოლომდე, უხვევს მარჯვნივ

რკალით, ადის შუა უჯრის ნახევრამდე, ილუნება მარცხნივ და აქვე მთავრდება ოდნავ ასწვრივი რკალით.




ტ — იწყება შუა უჯრის მარცხენა მხარეს, ეშვება ქვემოთ რკალით, გაივლის შუა უჯრას, ქვედა უჯრის

ბოლოს, მოუხვევს მეორე ქვედა უჯრის ბოლოსაც, ავა მარჯვნივ და ზევით შუა უჯრის ბოლომდე, აქედან გადაიხრება შიგნით, გა-




ბოლოს, მოუხვევს მეორე ქვედა უჯრის ბოლოსაც, ავა მარჯვნივ და ზევით შუა უჯრის ბოლომდე, აქედან გადაიხრება შიგნით, გა-

დაკვეთს შუა უჯრას, აღის ზედა უჯრის პირველ ნაწილში, მოუხვევს მარცხნიდან, მარჯვნივ შეჰკრავს მცირე თვალს, ჩადის ქვევით და მარცხნივ, შუა უჯრის ნახევრამდე, მოუხვევს ისევ მარჯვნივ, აქვე თავდება და ქმნის ნასკვს.




უ — იწყება შუა უჯრის ზემო მარცხენა კუთხიდან პატარა გალუნული რკალით, უერთდება იმავე უჯრის მარ-

ჯვენა კუთხეს, ჩამოსდევს უჯრის კიდეც ერთ მესამედზე, ისევ უკან მიემართება, ქმნის კბილს, იხრება ზემოთ და მარჯვნივ შუა მეორე უჯრის კუთხემდე, ეშვება ქვემოთ სწორი ხაზით, ქვედა უჯრის ბოლომდე, უხვევს მარცხნივ ზევით და მთავრდება ქვემო უჯრის შუა ნაწილში შიგნით მოხრილი რკალით.



ფ-ს წერისას სრულდება თ-ს წერის მოძრაობები. იწყება შუა უჯრის მარჯვენა კუთ-

ხიდან, მიდის მარცხნივ და ქვემოთ, ხაზავს ამავე უჯრაში თვალს, უბრუნდება საწყის წერტილს, იხრება რკალით მარჯვნივ მეორე შუა უჯრის ბოლომდე, მას ცოტა ქვევით ჩასცდება, იხრება შიგნით, უკუ მოძრაობით ეშვება ქვემო უჯრის ბოლომდე რკალით, უხვევს ქვემო უჯრის ბოლო კიდეში, მარცხნივ მოემართება ზევით და ამავე უჯრის შუაში მთავრდება შიგნით შეხრილი რკალით.



ქ-ს ოთხ ხაზში უკავია სამივე უჯრა. იგი იწყება ზემო უჯრის ზემო კიდეში, ეშვება სწორი ხაზით ქვემო უჯრის ბოლომდე, უხვევს ქვემო უჯრის ბოლოში მარ-

ჯვნიდან მარცხნივ, აღის ზემოთ რკალით და ქვემო უჯრის ნახევარში მთავრდება ქ-ს სხეულის ერთი ნაწილი. ვილებთ კალამს და ცალკე გამოგვყავს შუა ნაწილი, რომელიც იწყება შუა უჯრის შუა ადგილიდან, აღის ამავე უჯრის ზედა კიდემდე და უერთდება რკალით ქ-ს სხეულს.



ლ — იწყება ქვემო უჯრის შუაში, მიემართება დახრილი ხაზით მეორე ქვემო უჯრის კუთხემდე; ვილებთ კა-

ლამს და დარხილი ხაზის დასაწყისთან აღმავალი ხაზით ავდივართ შუა უჯრის მარცხენა კიდემდე, შემდეგ კალამი იხრება მარჯვნივ, შუა უჯრის შუა ხაზში ქმნის კბილს და ადის ისევ ზევით და მარჯვნივ, ხაზავს რკალს, უხვევს ქვემოთ შუა უჯრის ბოლომდე და მთავრდება აქვე შიგნით მოხრილი რკალით.

ყ ც ყ ყ

ყ — შუა უჯრის ზედა ხაზიდან რკალით ეშვება მარცხნივ და ქვევით. იმავე უჯრაში ნახევარზე ცოტა მეტი მანძილის გავლის შემდეგ უხვევს მარჯვნივ და ამავე უჯრის მარჯვენა ხაზს ასდევს ზევით, დაუპირისპირდება საწყის წერტილს და ეშვება ქვევით სწორი ხაზით ქვემო უჯრის ბოლომდე, უხვევს მარცხნივ, ადის ქვედა უჯრის შუა ნაწილამდე და მთავრდება მარჯვნივ გადახრილი რკალით.

შ — იწყება ზემო უჯრის ზემო მარცხენა ნაწილში რკალით, ადის ზემო უჯრის თავამდე. იხრება მარჯვნივ, ჩამოყვება ზემო უჯრის მეორე ხაზს, ადის ისევ ზევით, ქმნის კბილს და იხრება მარჯვნივ ზემო მეორე უჯრის მარჯვენა კიდემდე; იქიდან ეშვება ქვემოთ, სწორი ხაზით, შუა უჯრის ბოლომდე, უხვევს მარცხნივ რკალით, ადის ზევით და შუა უჯრაში ქმნის ოვალს.

შ რ ო უ შ

რ — იწყება ზემო უჯრის მარცხენა ნაწილში რკალით, ადის ზემო უჯრის თავამდე.

რ — იწყება ზემო უჯრის მარცხენა კიდედან, ადის აღმავალი რკალით ზემო უჯრის მარჯვენა კუთხემდე, გადადის ამავე უჯრის ზემო ხაზზე, იხრება მარცხნივ, ქვემოთ გაივლის საწყის წერტილს, ქმნის ჩ-ს თვალს და ეშვება შუა უჯრის ბოლომდე სწორი ხაზით. ამის შემდეგ ასდევს ისევ სწორ ხაზს შუა უჯრამდე, გადაიხრება მარჯვნივ და შუა უჯრაში იქმნება რკალი.

ჩ ბ დ რ ჩ

ბ — იწყება შუა უჯრის ზედა შუა ნაწილიდან, მიმართება ქვევით, მარცხნივ რკალით ქვემო უჯრის ბოლომდე, გადადის მეორე ქვემო უჯრის ბოლოს, ადის ზემოთ და მარჯვნივ, შუა უჯრის ბოლომდე იღუნება მარცხნივ, ქმნის პატა-

ბ — იწყება შუა უჯრის ზედა შუა ნაწილიდან, მიმართება ქვევით, მარცხნივ რკალით ქვემო უჯრის ბოლომდე, გადადის მეორე ქვემო უჯრის ბოლოს, ადის ზემოთ და მარჯვნივ, შუა უჯრის ბოლომდე იღუნება მარცხნივ, ქმნის პატა-

ბ || ს ბ

ს — იწყება შუა უჯრის ზედა შუა ნაწილიდან, მიმართება ქვევით, მარცხნივ რკალით ქვემო უჯრის ბოლომდე, გადადის მეორე ქვემო უჯრის ბოლოს, ადის ზემოთ და მარჯვნივ, შუა უჯრის ბოლომდე იღუნება მარცხნივ, ქმნის პატა-


ს — იწყება შუა უჯრის ზედა შუა ნაწილიდან, მიმართება ქვევით, მარცხნივ რკალით ქვემო უჯრის ბოლომდე, გადადის მეორე ქვემო უჯრის ბოლოს, ადის ზემოთ და მარჯვნივ, შუა უჯრის ბოლომდე იღუნება მარცხნივ, ქმნის პატა-

რა კუთხეს, მიემართება შუა უჯრის თავამდე და აქვე მთავრდება პატიარა ასწვრივი რკალით.




d — იწყება ზემო უჯრის მარჯვენა კუთხიდან, სწორი ხაზით ეშვება ქვემოთ შუა უჯრის ბოლომდე, შიღის მარცხნივ, რკალით აღის ზემოთ, ამავე უჯ-

რაში უხვევს და ქმნის ოვალს.



წ — იწყება შუა უჯრის მარცხენა კუთხიდან, მისდევს ამავე უჯრის ზემოთა ხაზს მარჯვენა კუთხემდე რკალით, ეშვება ქვე-

მოთ ამავე უჯრაში ბოლომდე, უხვევს იხვე მარცხნივ და მიიმართება სწორი ხაზით ზემო უჯრის თავამდე საწყისი წერტილის გავლით (რითაც შუა უჯრაში იქმნება წ-ს მუცელი); ზემო უჯრის მარცხენა კუთხიდან იხრება მარჯვნივ, ჩადის შუაში, ქმნის კბილს, ისევ აღის ზევით და მარჯვნივ ქმნის მეორე კბილს, უხვევს იმავე უჯრაში ქვემოთ და მთავრდება მარცხნივ მოხრილი რკალით.



კ-ს უკავია ოთხი ხაზის მთელი ზომა: ზედა, შუა და ქვედა უჯრა. იგი იწყება ზემო უჯრის ზემო ხაზის შუაში, ჩამოდის შუა უჯრის ბოლომდე სწორი ხაზით, სცილ-

დება ცოტა ქვემოთ, იღუნება მარჯვნივ, უხვევს ქვედა უჯრის ბოლოს, ბრუნდება მარცხნივ, აღის ზემოთ და აქვე თავდება მარჯვნივ მოხრილი რკალით. შემდეგ შუა უჯრაში კ-ს შუა ნაწილს უკეთდება ნასკვი, რომელიც იწყება შუა უჯრის მარჯვენა მხრიდან, ეშვება ქვევით, უხვევს შუა უჯრის შუა ნაწილში, მარცხენა კიღის გადაკვეთით აღის ცოტა ზევით, მიემართება მარჯვნივ და კ-ს სწორი ხაზის გადაკვეთის შემდეგ ეშვება ქვევით შუა უჯრის მარჯვენა მხარეს.




ბ — იწყება ზემო უჯრის მარცხენა კუთხიდან, ეშვება სწორი ხაზით შუა უჯრის ბოლომდე, უხვევს მარჯვნივ, რკალით აღის ზევით, შუა უჯრაშივე

უხვევს და კრავს თვალს.



გ — იწყება ზემო უჯრის ქვემო ნაწილის შუა ადგილზე, ჩამოდის სწორი ხაზით, კვეთს შუა უჯრას და ეშვება ქვემო უჯრის

პირველ ნაწილში, ნელ-ნელა იხრება მარჯვნივ და ქვემოთ; ქვემო უჯრის მეორე ნახევარში ჰმნის რკალს, რომელიც მთავრდება ქვემო უჯრის მარცხენა მხარეს. შემდეგ შუა უჯრის შუა ზემო ნაწილში ჯ-ს თავი იკვეთება დახრილი ხაზით.



ჰ — იწყება შუა უჯრის ქვემო მარცხენა მხარეს, ჩადის ქვევით შუა უჯრის ბოლომდე. უხვევს მარჯვნივ და

ზევით, გაივლის ამავე უჯრის ნახევარზე ცოტა მეტს. გადაიხრება მარცხნივ, შექმნის კბილს, უკუ მოძრაობით შუა უჯრიდან ზემო უჯრის პირველ ნახევარში მოხაზავს მეორე რკალს და ისევ მიემართება ზევით, ზეო უჯრის მარცხენა კუთხემდე გადახრილი ასწორივი ხაზით.

ანბანის ყველა ასოს წერა-კითხვის სწავლების დამთავრების შემდეგ ეძლევათ ხელთნაწერი ოთხი ასო: ლ—ერთკბილიანი, დ—ერთკბილიანი, თ—კუთხოვანი და რ—ერთკბილიანი.



ასეთია ქართულ ასოთა წერის წესი.

ახლა ვნახოთ: ამ წესით დაწერილ ასოებში სად იქნება ხელის დანაკერები, როგორი შეჯარდება იქნება წმინდა ხაზსა და მსხვილ ხაზებს ძორის და დაემთხვევა თუ არა დედა ენის შრიფტში მოცემული ხაზების თანაფარდობას; რა განსხვავება იქნება მათ შორის ან რა ფორმას მიიღებენ ასოები.

ბ) ხელის დანაკერები ქართულ ასოებში.

ხელის დანაკერების გამოსავლენად საგანგებოდ ვაწერინეთ 70 პირველკლასელს, სამ პირველი კლასის მასწავლებელსა და ერთ მხატვარ-კალიგრაფისტს.

ექსპერიმენტული წერა მიმდინარეობდა შემდეგნაირად.

ბავშვებს წინასწარ დაუფრიგეთ ბადიანი (პირველკლასელთა რვეულებიდან ამოღებული) ფურცლები, რომლის ქვეშაც მოთავსებული იყო შეკრული სამ-სამი თეთრი თხელი ფურცელი გადასაღებ ქაღალდებთან ერთად. მასწავლებელს ვთხოვეთ ბავშვებისთვის შეეხსენებინა თითოეული ასოს წერის წესი. იგი დაფაზე უწერდა ყო-

ველ ასოს ისე, როგორც ეს მითითებულია წერის დედანში<sup>41</sup>. ბავშვებს დაფიდან უნდა გადაეწერათ ყოველი ასო ორ-ორჯერ, ზოგჯერ სამ-სამჯერაც, თუ ვხედავდით, რომ ბავშვი მსუბუქად, მკრთალად წერს და გადასაღები ქაღალდით ანაბეჭდი არ გადავა მომღვენო ფურცლებზე. მასწავლებელი მიმართავდა ბავშვებს: „ბავშვე-

## I კლასელთა ნაწერები


სადაც უნდა იქნებოდეს  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება  
 დაწერილი იქნება

<sup>41</sup> პირველკლასელებისთვის დაფა და რეჟენები დაბაზულია ისეთივე ბადით, როგორიც წერის დედანშია მოცემული.

ბო, აბა დავიწყოთ (ესა და ეს ასო—ყოველ მათგანზე ცალ-ცალკე) ამ უჯრიდან, ჩამოვიდეთ (ან ავიდეთ) ამა და ამ უჯრაში, აქ მოუხვიეთ, აქ—დაამთავრეთ“ და ა. შ.

შეკრებილი ნაწერების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბავშვის ნაწერიდან არაფერი არ გადავიდა ქვედა ფურცლებზე, კალმის მეტისმეტად მსუბუქი მოძრაობის გამო; ზოგიდან ასოს ნაწყვეტები დააჩნდა, უმრავლესობიდან — მკრთალად, მაგრამ მესამე მხარესაც გადავიდა. მესამე გვერდზე მარტო ხელის ძლიერი დანაქერების ნაწყვეტ-ნაწყვეტები იყო მოცემული. კალმით წერამ ნათლად დაგვიანახვა ხელის ძლიერი დანაქერის ადგილები. კალმის წვერი იპობოდა იქ, სადაც ხელი ძალიან


### მასწავლებლის ნაწერი



აწვებოდა მას, და იკვრებოდა იქ, სადაც ხელი მსუბუქად მოძრაობდა. ანაბეჭდებში, კალმის ზემოდან ქვემოთ ბრუნვისას, დანაქერის ადგილი ორი ხაზით მოიხაზა კალმის ორი წვერის გამო; გახსნილი კალმის წვეროები გადასაღები ქაღალდის საშუალებით ცალ-ცალკე ხაზებს ავლებდა. ამან საშუალება მოგვცა დაგვედგინა ხელნაწერ ასოებში ხელის დანაქერი ადგილები სად მოხედე-

ბოდა, სად იწყებოდა, საით მიემართებოდა და სად მთავრდებოდა; რა მანძილს დაიკავებდა ან მისი მაქსიმალური სივანე რამდენჯერ აღემატებოდა კალმის მსუბუქი მოძრაობით მიღებულ ხაზებს. ამასთან ერთად, საშუალება გვეძლეოდა ხელის დანაკერების ადგილები შეგვედარებინა, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ასოებში მოცემული ხაზების სხვადასხვაობისათვის.

### მხატვრის ნაწერი





ცდებში მონაწილეობა მიიღეს პირველკლასელებმა, პირველი კლასის მასწავლებლებმა და მხატვარმა-კალიგრაფისტმა. ანაბეჭდების ურთიერთშედარებისას გამოირკვა, რომ პირველკლასელების, მასწავლებლებისა და მხატვრის ნაწერებში ხელის დანაქერის ადგილები ერთმანეთს ემთხვევა (იხ. პირველკლასელთა, მასწავლებელთა და მხატვრის ნაწერები).

მაშასადამე, ხელის დანაქერების გამოსავლენად მთავარი ის კი არ ყოფილა, თუ ვინ დასწერს—მოსწავლე, მასწავლებელი თუ მხატვარი,—არამედ ის, თუ რა წესით დაწერს, ასოს გამოსახვას საიდან დაიწყებს, საით წავა და სად დაამთავრებს—ხელის დანაქერები ამის შესაფერისად იცვლიან ადგილებს; რაც შეეხება „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ასოთა ხაზების სხვადასხვაობას, მისმა ხელის დანაქერებმა ანაბეჭდებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ იგი ხელის დანაქერებს კი არ ასახავს, არამედ მათი თანათარღობა მხატვრის გემოვნებით, უმთავრესად სიმეტრიულობის დასაცავად, ნებისმიერად არის შექმნილი.

ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ქართული საანბანო შრიფტის ხაზთა შეთანხმებას გადმოეცა ნორმალური წერის<sup>62</sup> პროცესში აღბეჭდილი ხელის დანაქერებისა და მსუბუქი მოძრაობით დაწვრილებული ხაზების შეთანაბრება.

გხელმძღვანელობდით რა ამ პრინციპით და, აგრეთვე, სისხლავის, სიმარტივის, ინდევიდუალიზაციისა და საწერ-საკითხავი ნიშნების ერთიანობით საანბანო წიგნისათვის გამიზნული ახალი ნიმუშების შექმნისას, — ჩვენ მიერ წარმოდგენილი შრიფტის აქოებმა „ი. გოგებაშვილის“ შრიფტთან შედარებით სრულიად განსხვავებული სახე მიიღო.

ხაზთა შეთანაბრებისა და ხელის დანაქერთა გამოსავლენად გამოვიყენეთ კომისიის მიერ დადგენილი წერის წესი, ხაზები გავასქელეთ იქ, სადაც კალამმა მსხვილი ხაზი მოხაზა, დავაწვრილეთ იქ, სადაც, ხელის მსუბუქი მოძრაობის გამო, ნაზი ხაზები გამოისახა; გავზომეთ ანაბეჭდებში წილებული ხელის დანაქერის მაქსიმალური სიგანე, რომელიც სამჯერ აღემატებოდა წმინდა ხაზის განს, და ჩვენც, ასოთა ახალი ფორმის ჩამოყალიბებისას, ასეთივე შეფარდება დავტოვეთ; აგრეთვე, გამარტივების მიზნით, ცვლილებები შევიტანეთ რამდენიმე ასოს მოხაზულობაშიც.


<sup>62</sup> ნორმალურ წერას ეუწოდებთ ისეთ წერას, რომლის დროსაც წერის ზემოთ დახასიათებელი წესებია დაცული (ნ. ნ.).

ამასთან ერთად. მუდამ მხედველობაში გვქონდა და ანგარიშს კუწვედით ასოთა მსგავსების ფაქტორს, რის გამოც, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ ასოთა მეტი ინდივიდუალობის დაცვა.

ყოველივე ამის შემდეგ, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტისაგან განსხვავებით, ჩივილეთ ახალი შრიფტის ასეთი სახე (იხ. ქვემოთ).


**§ 3. „ი. გოგებაშვილის“ შრიფტისა და ახალი შრიფტის ასოთა ურთიერთშედარება**

ახალი ი. გოგებაშვილი



ა-ს წინა დაღმავალი ხაზი, ხელის დაქე-  
რის გამო, მსხვილი ხაზით გამოიყვანეთ,  
ხოლო ხელის მობრუნებისა და აღმავლის  
ხაზი—წვრილი, ერთბაში ხაზით, რომელიც  
პატარა, წმინდა, აღმაცერი ხაზით თავდება.  
„ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ა-ს წინა ნა-  
წილის გამსხვილება ემთხვევა ჩვენს ნიმუშს,  
მაგრამ დაღმავალი ხაზის წელში გასქელება  
და ასწვრივი ხაზის ასეთი სიგანე ჩვენი ასო-  
სთვის ზედმეტად გვაქვს ჩათვლილი.

ახალი ი. გოგებაშვილი



ბ-ს აღმაცერი ხაზი წმინდა ხაზით  
არის მოცემული კალმის მსუბუქი მოძ-  
რაობის გამო, ხოლო კალმის შემობრუ-  
ნების ხაზი მსხვილდება და ხელის და-  
ღმა სელით ხაზი წვრილდება; კალმის  
მარჯვნივ მობრუნებისას ისევ მსხვილ-  
დება—ქვემოთ დაშვებით, წრის მოხა-  
ზვისას, დაღმავალი ხაზი წვრილია და  
რგოლის შესაკვრელად დახრილი ნაწი-  
ლი ისევ მსხვილი ხაზით უერთდება ბ-ს  
გალუნულ ადგილს.

„ი. გოგებაშვილის“ ბ-ს ზედა ნაწილის მოხაზულობა ემთხვევა  
ჩვენი ბ-ს ზედა ნაწილს, დასაწყისთან დამატებული წმინდა ხაზის  
გარდა, რომელიც სამკაულად მიგვაჩნია და ჩვენს ბ-ს არ გაეუკე-  
თეთ. რგოლში მოცემული მარჯვენა და მარცხენა ნაწილების გა-  
სქელება გოგებაშვილის ბ-ში მხოლოდ სიმეტრიულობის პრინციპით  
არის მოცემული და ხელით წერის დროს იგი არ გამოიყვანება.


ახალი ი. გოგებაშვილი

ჩვენი გ, „ი. გოგებაშვილის“ გ-საგან განსხვავებით, წმინდა აღმავალი ხაზით იწყება და დაღმავალი რკალი მსხვილდება; ასეთივე ხაზით მოდის გ-ს მუკლამდე; მარჯვნივ მიბრუნებისა და ქვემოთ დახვევის ადგილიც მსხვილდება აღმავალი ხაზის დაწყებამდე; შემდეგ ხაზი, აღმასვლის გამო, ისევ წვრილდება მანამდე, სანამ გ-ს მუკლის შესაერთებელი ადგილისკენ მოუხვევდეს; მობრუნებისას, კვლავ მსხვილდება და მსხვილი ხაზითვე უერთდება გ-ს მუკლის დასაწყისს. „ი. გოგებაშვილის“ გ-ს მუკლის მარცხენა აღმავალი ხაზის გასქელება ჩვენს გ-ს არა აქვს.



ახალი ი. გოგებაშვილი


დ-ს ფეხი მსხვილი ხაზით არის გამოსახული, აღმავალი რკალი—წვრილი ხაზით, მისი კბილებთან დაღუნვის ხაზი—მსხვილით; რგოლის აღმა ხაზი წვრილი, ხელახლა დაშვების ხაზი მსხვილითა და რგოლის შემკვრელი ხაზი—წვრილით. „ი. გოგებაშვილის“ დ-სგან განსხვავებით მას დ-ს ფეხის დანამატი ბურთულა არა აქვს; ხაზების თანათარღობაც სხვადასხვაგვარია და დ-ს თვალის სწორედ




დგას. „ი. გოგებაშვილის“ დ-ს თვალი აღმავალი ხაზის ქვეშ მოგრობო, სქელფერდებიანი ოვალი, გვერდულად აქვს შედგმული. წერისას ასეთი ასოს გამოყვანა მოუხერხებელია.

ახალი ი. გოგებაშვილი


ჩვენს ე-ს მხოლოდ ზემოდან ქვემოთ შემობრუნების ხაზი აქვს სქელი; დანარჩენი ნაწილები წვრილი, ერთბაში ხაზით არის გამოყვანილი. რომლის დასაწყისის და ბოლო წმინდა რკალებით არის მოცემული, „ი. გოგებაშვილის“ ე-სგან განსხვავებით, რომელსაც დასაწყისის, ქვემოთ დაშვებული სწორი ხაზი და აღმავალი რკალი მსხვილი ხაზებით აქვს ჩამონაკეთული.



ვ-ში სქელი ხაზით შოცებულია თავის ზემოდან ქვემოთ მომავალი ნაწილი და ვ-ს ქვემო წელის მარცხნიდან მარჯვნივ ქვემოთ დაშვების ადგილი. დასაწყისი, კბილი და მოხვეული რკალი წმინდა ხაზებითაა წარმოდგენილი; „ი. გოგებაშვილის“ ვ-ს კი მსხვილი ხაზები აქვს; თავის დასაწყისის ქვედა მარჯვენა ნაწილში, კბილის წვეროში, ქვემო წელის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებში.



ზ-ს გამსხვილებული ხაზები აქვს ზემო რგოლის ზედა, მარჯვნივ—ქვემოთ მოხრილ ნაწილში და ქვემოთ—რგოლის მარცხნიდან მარჯვნივ მობრუნების ადგილას. დანარჩენი ნაწილები წერილი ხაზით არის გამოკვეთილი. აგრეთვე მოცილებული აქვს გოგებაშვილის ზ-ს სამკაული, ბურთულა, წმინდა ხაზთან ერთად.



„ი. გოგებაშვილის“ ზ-ს სქელი

ხაზებით აქვს გამოყვანილი ზემო რგოლის მარცხენა გვერდი, სწორი დასწვრივი ხაზი და ქვემო რგოლის მარჯვენა მხარე. რომელზედაც წმინდა ბეწვისებური ხაზით ზ-ს სამკაულია (ბურთულა) მიმაგრებული. მსხვილი ხაზების შემაერთებელ ხაზებად განოყენებულია წმინდა ბეწვისებური ხაზი. ამას გარდა, ჩვენი ზ-ს თვალები ნოგვალია, „ი. გოგებაშვილის“ ზ-ს—მოგროძო.

ჩვენს თ-ს ორ ადგილას აქვს გამსხვილებული ხაზი, თ-ს თვალის მარცხნიდან ქვემოთ მობრუნებისა და მისი მარჯვენა რკალის ზემოდან ქვემოთ შემობრუნებისას. ამ თ-ს თვალი რგოლით არის გამოყვანილი, „ი. გოგებაშვილის“ თ-სი—ოვალით, რომელსაც მარცხენა და მარჯვენა მხარე და რკალის მარჯვენა ნაწილიც სქელი ხაზებით აქვს მოცემული სიმეტრიულობის დასაცავად.



ახალი ი. გოგებაშვილი

ჩვენს ი-ს მრგვალი, მარტივი ფორმა და მარჯვენა მხარის ზემოდან ქვემოთ ნიშნავალი ერთი მსხვილი ხაზი აქვს; „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ი-ს დასაწყისი წერტილიანი და მარცხენა-მარჯვენა მხარეც გამსხვილებული აქვს.




ახალი ი. გოგებაშვილი

კ-ს დასაწყისი მსხვილი დაღმავალი რკალით გამოვიყვანეთ, რომელიც, მარცხნივ მობრუნებისას, წვრილდება; კბილი სადა წვერით აქვს, ხოლო კ-ს ქვემო ნაწილის დაღმავალი რკალი გასქელებულია: დანარჩენი ნაწილი წვრილი ხაზითა და აღმა რკალი წმინდა ხაზით არის ჩამონაკეთული. „ი. გოგებაშვილის“ კ — მსხვილი, წერტილიანი, მკვეთრად მოხრილი ხაზით იწყება; კბილის წვერო, ქვემო ნაწილის მარჯვენა — ქვემოთ მიმავალი ხაზიცა და მარცხნივ აღმავალი ხაზიც მსხვილი ხაზებით არის მოცემული.



ახალი ი. გოგებაშვილი

ლ-ს ფეხის დახრილი ხაზი და კბილების მოღუნვის ადგილები მსხვილი ხაზით არის გამოყვანილი: აღმავალი ხაზები წვრილით და წვეროები, რომლებიც რგოლების შეხების ადგილზეა წაკვეთილი, წმინდა ხაზებით. „ი. გოგებაშვილის“ ლ-ს ფეხი მსხვილი ხაზით აქვს ჩამონაკეთული, რომელსაც წმინდა ბეწვისებური ხაზით მი-



მაგრებული ბურთულა აქვს. აღმავალი და დაღმავალი ხაზები წვრილი ხაზებით ინაკეთება, გარდა უკანასკნელი კბილის მარჯვენა მხარის დაღმავალი რკალისა. კბილის წვეროებში შექმნილია ფართო სამ-

კუთხედებია, რომლებიც ახალი შრიფტის ლ-ში არ არის მოცემული.

ახალი ი. გოგებაშვილი

მ—წმინდა რკალით იწყება: ზემოდან მარჯვნივ, თავის ქვემოთ დახვევის ადგილას მსხვილი ხაზია მოცემული; სწორედ დაშვებული და მარცხნისკენ მომრგვალებული ხაზი მ-ს მუცლის მარცხენა ნახევრამდე წვრილია; რგოლის შესაკვრელად მიხვეული ხაზი მსხვილია, ე. ი. მ ს მხოლოდ თავის ზემო ნაწილსა და მუცლის შეერთების ადგილას აქვს მსხვილი ხაზი.

„ი. გოგებაშვილის“ მ იწყება მსხვილი წერტილიანი ხაზით. მას აღმავალი და დაღმავალი ხაზები წმინდა აქვს. მისი სწორი ხაზი და მუცლის მარცხენა ნაწილი გამსხვილებულია. ჩვენი მ-ს მუცელი მრგვალი ფორმისაა, „ი. გოგებაშვილის“ მ-სი—ოვალური.

ახალი ი. გოგებაშვილი

ნ-ს მარჯვენა ზემოდან ქვემოთ მომრგვალებისა და ნ-ს თავის მარჯვნივ და ქვემოთ დაღუნვის ადგილი მსხვილი ხაზით არის მოცემული. დანარჩენი ნაწილები წვრილი, ერთბაში ხაზით ინაკეთება. „ი. გოგებაშვილის“ ნ-ს მსხვილი ხაზით აქვს მუცლის მარჯვენა გვერდი, სწორი ასწვრივი ხაზი და ნ-ს თავის დაღუნვის ადგილი; მათ გადასაბმელად გამოყენებულია წმინდა ბეწვისებური ხაზები. ჩვენს ნ-ს მუცელი მრგვალი აქვს, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ნ-ს—მოგრძო.

ახალი

ი. გოგებაშვილი

ო-ს კბილის ზემოთა მარცხნიდან მარჯვნივ და მეორე კბილის მარჯვენა მხარეს ზემოდან ქვემოთ დაღმავალი ხაზები აქვს გამსხვილებული. დასაწყისი აღმავალი რკალი და ბოლო, შიგნით მოხრილი რკალი წვრილი ხაზებით არის გამოსახული, ო-ს კბილიც წმინდა წვერით არის წარმოდგენილი. „ი. გოგებაშვილის“ ო-ს აღმავალი და მეორე კბილის

მარჯვენა დაღმავალი რკალები მსხვილია; კბილის კუთხეში — სამკუთხედიან შექმნილი და ო-ს მარჯვენა მხარეს, დამატებით, მეორე ასოსთან გადასაბმელი მსხვილი ხაზი ერთვის.


ახალი ი. გოგებაშვილი



პ-ს დასაწყისის დაღმავალი რკალი და მეორე კბილის მოღუნვის ხაზი გამსხვილებულია; ხაზების დანარჩენი ნაწილები წვრილი ხაზებითაა გამოსახული. იგი თავისუფალია „ი. გოგებაშვილის“ პ-ს სამკაულებისაგან.

„ი. გოგებაშვილის“ შრიფტის პ-ს ქვედა დაღმავალი ხაზი, მეორე კბილის ზემოაღმავალი და ასწვრივი აღმაცერი ხაზები კამსხვილებულია; ამასთან ერთად, კბილებს შორის ფართო სამკუთხედებია შექმნილი, რომელთა შემაკავშირებელია წმინდა ბეწვისებური ხაზები.

ახალი ი. გოგებაშვილი




ჩვენს ჟ-ს მხოლოდ ერთი მსხვილი ხაზი აქვს: ჟ-ს თვალის ზემოდან ქვემოთ მარჯვენა მიმართულებით მიმავალი რკალი, დანარჩენი ნაწილები წვრილი ხაზით არის გამოკვანილი.

„ი. გოგებაშვილის“ ჟ-ს მსხვილი ხაზით აქვს: თვალის დასაწყისი და ბოლო, ქვემოთ ვაწვებული სწორი ხაზი და ქვემო რკალის მარჯვენა ნაწილი; რომელნიც ურთიერთთან დაკავშირებულია წმინდა ბეწვისებური ხაზებით.

ახალი

გოგებაშვილი



რ — წვრილი, სადა, ერთბაში ხაზებით იგება, რომელსაც მხოლოდ ორი მსხვილი ხაზი, კბილების მარცხნიდან მარჯვნივ დაღმავალი ხაზები, ეთანაბრება.

„ი. გოგებაშვილის“ რ, პირიქით, მსხვილი ხაზებით ინაკვეთება; რ-ს თავის დაღმავალი, კბილების აღმავალი და დაღმავალი რკალისა და კბილის სამკუთხედი ურთიერთთან დაკავშირებულია სამი მომცრო, ბეწვისებური ხაზით.


ახალი ი. გოგებაშვილი

ს—წერილი ხაზით არის მოხაზული: მას მხოლოდ სწორი ხაზიდან, რკალის მოხაზვის ადგილას, ზემოდან ქვემოთ მობრუნების გამო, აქვს ერთი მოკლე მსხვილი ხაზი.



„ი. გოგებაშვილის“ ს შედგება მსხვილი ხაზებისაგან, რომელთაც ბეწვისებური ხაზები აკავშირებთ. ამ ს-ს დასაწყისთან წმინდა ხაზი აქვს დამატებული, დასასრულთან კი—ასწორივი, გვერდზე გადახრილი, მსხვილი ხაზი.

ახალი ი. გოგებაშვილი




ტ-ს სხეულს მარცხენა მხარეზე, ზემოდან ქვემოთ დაშვებისა და ნასკვის ზემოდან ქვემოთ მოხაზული ადგილები სქელი ხაზით აქვს გამოყვანილი. დანარჩენი ნაწილები წერილი, ერთბაშად ხაზებით არის შეერთებული.

„ი. გოგებაშვილის“ ტ-ს მარცხენა და მარჯვენა მხარეც მსხვილი ხაზებით არის აგებული; მისი ბანტი წვრილი, ერთბაში ხაზითაა, რომელიც ტ-ს სხეულს ბეწ-

ვისებური ხაზით უერთდება. ამას გარდა, ტ-ს საწყისს დართული აქვს სხვა ასოსთან გადასაბმელი წმინდა ხაზიც.

ახალი ი. გოგებაშვილი



უ—სამი დაღმავალი, ხელის დანაჭერების ამსახველი, მსხვილი და სამი აღმავალი, წვრილი ხაზისგან შედგება, რომლის კბილი მსხვილი წვერით ინაკეთება და ძირითადი ხაზისაგანაც მკვეთრად არის დაცილებული.

„ი. გოგებაშვილის“ უ-ს სამი მსხვილი აღმავალ-დაღმავალი ხაზი, სამი წმინდა გადასაბმელი ხაზი და ერთი კბილის სწორკუთხედი აქვს, რომელიც უ-ს ძირითად ხაზთან ახლოს დგას.



ფ—წერის მიმართულეების მიხედვით სამი დაღმავალი მსხვილი ხაზისა და ოთხი წვრილი ერთბაში ხაზით ავაგეთ, რომლის ქვედა ნაწილს წმინდა რკალით არის გამოსახული და სხეულის შუა და ქვემო ნაწილისაგანაც მკვეთრად არის დაშორებული. — „ი. გოგებაშვილის“ ფ ხუთი ნსხვილი ხაზის, ექვსი წმინდა ხაზისა და კბილის განსხვილებული ნაწილისაგან შედგება.

ჩვენს ქ-ს კბილის შემაერთებელი დახრილი ნახევარი რკალი აქვს მსხვილი, მთლიანი ტანი კი წვრილი ხაზითაა გამოსახული

„ი. გოგებაშვილის“ ქ-ს კბილის აღმავალი ნაწილი, სწორი დაღმავალი ხაზი და მარცხნივ აღმავალი რკალი მსხვილი ხაზებით არის მოკემული.

ღ—შედგება სამი დაღმავალი მსხვილი ხაზისა, წვეტიანი კბილისა და ღ-ს ფეხთან არსებული პაწაწინა წარზიდული ნაწილისაგან, რომელთაც ორი წვრილი თანაბარი ხაზი აერთებს.

„ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ღ—ორი მსხვილი, აღმავალ-დაღმავალი ხაზისა, კბილის სამკუთხედისა და ღ-ს ფეხთან წმინდა, ნაზი ხაზით მიმაგრებული ბურთულისაგან შედგება.

ახალი ი. გოგებაშვილი

ყ—წერილ ხაზებთან ერთი მსხვილი ხაზით შეთანაბრებული, მარტივი მოყვანილობით განირჩევა „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ორთვალთან, სამ მსხვილ და ორ წმინდა ხაზიან ყ-სგან.

ყ ყ

ახალი

ი. გოგებაშვილი

ჩვენს შ-ს უფრო მოხრილი თავი აქვს, ვიდრე „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის შ-ს, რომ მსგან მკვეთრად განგვესხვაებინა და კითხვის პროცესში მათი ურთიერთალრევა გამორიცხული ყოფილიყო, აქასთან ერთად წერა უჯრის ერთი კიდიდან დაწყებულიყო და მეორე უჯრაში დამთავრებულიყო. მასში, ხელის დანაქვრების მიხედვით, სამი მსხვილი და ოთხი წერილი ხაზია შექმნილი.

შ შ

„ი. გოგებაშვილის“ შ-ს წინა ნაწილში, დასრულებული კბილის მაგივრად, პატარა ნახევარი რკალი აქვს და თითონ კბილის გამოსახატავად ოთხკუთხედა გამოყენებული. მისი დაღმავალი სწორი ხაზიცა და შ-ს მუკლის მარცხენა აღმავალი რკალიც მსხვილი ხაზებით არის გამოკვეთილი, რომელნიც წმინდა ბეწვისებური ხაზებით უკავშირდებიან ერთიმეორეს.

ახალი ი. გოგებაშვილი


ჩვენი ჩ-სა და „ი. გოგებაშვილის“ ჩ-ს ფორმები თითქმის ერთნაირია. ისინი მხოლოდ ერთი სწორი ხაზის სიმსხოთი განსხვავდებიან ურთიერთისაგან. იგი ჩვენთან წერილი, ხოლო „ი. გოგებაშვილის“ შრიფტში მსხვილი ხაზით არის მოცემული.

ჩ ჩ

ც-ს უფრო მარტივი მოხაზულობა ნივეციით „ი. გოგებაშვილის“ ც-სთან შედარებით. ნისი ორი გამსხვილებული ადგილი და წვეტიანი სადა კბილი ერთიანი წვრილი ხაზით შევაერთეთ. „ი. გოგებაშვილის“ ც-ში კი სამი მსხვილი ხაზის გვერდით, ალმაცერი გამსხვილებული ხაზი და ც-ს კბილის სამკუთხედი გვაქვს მოცემული, რომელიც ურთიერთს წმინდა ხაზებით უერთდებიან.




ძ-ს მ-სგან მკვეთრად განსხვავებული და „ი. გოგებაშვილის“ ძ-სთან შედარებით გამარტივებული გამოსახულება ნივეციით. მოვაცილეთ წახრილი თავი და მხოლოდ ხელის დანაპერით მითითებული ადგილი გაეამსხვილეთ. ამის მიხედვითაც ძ-ს სწორ ხაზთან მუცლის შესაერთებელი დაღმავალი ხაზი გამსხვილდა, დანარჩენი ნაწილები კი დაწვრილდა.




„ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ძ-ს, მოხრილი თავის გარდა, გამსხვილებული აქვს დაღმავალი სწორი ხაზიცა და ძ-ს მუცლის

წინა გვერდაც, რომელიც წმინდა ხაზებით უკავშირდება ერთმანეთს.


წ-ს მოხაზულობაშიც მცირეოდენი ცვლილება შევიტანეთ. იმის გარდა, რომ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის წ-ში მოცემული ხაზების ურთიერთობა და კბილის სამკუთხედიც გაეამარტივეთ, წ-ს ქვედა ნაწილში შექმნილი სამკუთხედი მოვამარგვალეთ და ისევ მთელი ზომის ასო დავტოვეთ; იგი არ დავამოკლეთ, როგორც ეს წერის დედანშია მოცემული, იმის გამო, რომ შ და ასეთი წ ერთმეორეს მიემსგავსება და ამ ასოთა ურთიერთალრევას ხელს შეუწყობს.






ჟ-ს მოხაზულობაში მკვეთრი ცვლილება არ შეგვიტანია; მოვაცილეთ ზედმეტი ასწერივი ხაზი და ხაზთა ურთიერთშეთანაბრება დავუქვემდებარეთ ხელნაწერში მიღებულ ხაზთა სხვადასხვაობას, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ორი გამსხვილებული ხაზი წარმოიქმნა ჟ-ს ქვედა ბოლოს დაღმავალსა და ჟ-ს წელში გაქერილ დაღმავალ ხაზში, განსხვავებით „ი. გოგებაშვილის“ ჟ-ს ხაზებისაგან, სადაც სწორი, დაღმავალიცა და ჟ-ს მუცლის წინა აღმავალი ხაზიც მსხვილი ხაზებით არის წარმოდგენილი. წელში გაყ-

რილი კაუქები და ზედა და ქვედა გადასაბმელი ხაზები წმინდა ხაზებით არიან დაკავშირებულნი.



ხ-ს მოყვანილობა თითქმის ისეთივე დავტოვეთ, როგორც „ი. გოგებაშვილის“ შრიფტშია მოცემული, იმ განსხვავებით, რომ მოვაცილეთ დასაწყისთან დამატებული წმინდა ბეწვისებური ხაზი და ხაზთა თანაფარდობა ხელის დანაჭერებთან შევთანხმეთ. დავტოვეთ ხ-ს მარჯვენა მხარეს მოთავსებული აღმაცერი პატარა ხაზიც, ძ-ს მოხაზულობისაგან განსხვავებულად, რომელიც ხ-ს თავდაპირველადვე ჰქონია; გაკრული ხელით წერისას ხელის სწრაფ მოძრაობას სწორი ხაზისა და აღმაცერი ხაზის შეერთების აღ-

გილას მოუხაზავს მცირე რგოლი და მას შემდეგ ხ-ს ასეთი (ხ) სახე მიუღია. ჩვენ ამგვარი მოხაზულობის დატოვება უფრო მიზანშეწონილად ვცანით იმის გამოც, რომ იგი მკვეთრ განსხვავებას შექმნის ძ-სთან, რომელიც, თუ ვინიცობაა ბავშვმა წარმოდგენაში შეაბრუნა, ხ აღარ იქნება, ვინაიდან ხ-ს ძ-სგან კიდევ ერთი დეტალი, პატარა ხაზიც, განასხვავებს. მასწავლებელსაც საშუალება ექნება თვალსაჩინოდ მიუთითოს მათი სხვაობა ერთი ზედმეტი ნაწილით.



ჯ-ს მოხაზულობა შევცვალეთ ხელნაწერი ჯ-ს მოხაზულობით, რომელიც უფრო მარტივ და ადვილ საწერადაც მიგვაჩნია. წერის დედანში მითითებულ ჯ-ს მაღალი თავი, რომელიც შუა უჯრას ზევით სცილდება, არ ეთანხმება ქართულ ასოთა ზომებს; იგი სამი ზომის ასო არ არის და ორ უჯრაში თავსდება; ჯ-ს თავი შუა უჯრაში იწყება და იქვე მთავრდება; ქვემო უჯრაში მხოლოდ მისი მუცელი ჩამოდის.

ჯ-ს ხაზის თანაფარდობა „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ჯ-ს ხაზებს ემთხვევა, თუ მას თავისა და გადამკვეთი ხაზის სამივე ორნამენტულ ნიშანს მოვაცილებთ.



ჰ-ს, „ი. გოგებაშვილის“ ჰ-სგან განსხვავებით, კბილის სამკუთხედები მოვაშორეთ და ხაზების შეთანხმება ხელის დანაქერის ადგილებს შევეუფარდეთ. მსხვილი ხაზები კბილების დაღმავალ ხაზებს დაემთხვა, წერილი—აღმავალს, რომლის გამოც ასეთი სახე მიეცა.

გარდა ასოების მოხაზულობისა, მცირეოდენი ცვლილებები შევიტანეთ ასოთა ზომებშიც: სიგანით 20 ცალმაგ ასოს—ა, ბ, გ, ე, ვ, ი, კ, მ, ნ, პ, ს, ქ, ყ, რ, ძ, ხ, ჭ, ჯ, ჟ, ჰ-ს თანაბარი სიგანე მივეცი; 10 ორმაგ ასოს—ღ, ზ, თ, ლ, რ, ფ, ლ, ც, შ, წ—ერთნაირი; 2 ასოს—ტ და უ-ს—თანაბარი და ერთ ასოს—ლ-ს—დამოუკიდებელი ზომა.

ენახოთ, ამ სახის ნიმუშებს ექნებათ თუ არა რამე უპირატესობა მომქმედ დედა ენაში გამოყენებულ შრიფტის მოხაზულობასთან შედარებით.

ქართული საანბანო შრიფტის პროექტის  
შემოწმების ცდები

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების გამო ჩვენს საბოლოო მიზანს შეადგენდა ქართული საანბანო წიგნისთვის ისეთი ორხაზიანი წილიფტის ფორმის მონახვა, რომელსაც არსებულ საანბანო შრიფტზე უფრო მარტივი, მკაფიო, სადა, გარკვეული და ადგილსაკითხავი მოხაზულობა ექნებოდა. ამ მიზნით შევამოწმეთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი შრიფტის პროექტის კითხვადობა და შევაღარეთ მომქმედ დედა ენაში გამოყენებული შრიფტის კითხვადობას.

ცდები ვაწარმოეთ იმავე მეთოდით, რომელიც დედა ენის გარნიტურის, ჩვეულებრივი გარნიტურისა და მკაფიო გარნიტურის შრიფტების კითხვადობის შესამოწმებლად გვქონდა გამოყენებული. ცდის მასალაც იგივე იყო, ოღონდ ახალი შრიფტით დაწერილი<sup>13</sup>. ცდებში მონაწილეობა მიიღო 60-მა პირველკლასელმა, 60-მა მეორეკლასელმა და 60-მა გაწაფულმა მკითხველმა.

ინსტრუქცია, რომელიც ცპ-ს მხოლოდ წაკითხვას ავალებს, იგივე დარჩა; ცდის პირობებიც იგივეა, რაც წინა ცდებში.

ცდების მიმდინარეობისას, როგორც აღრიხდელ ცდებში, ისე აქაც, ვაწარმოებდით ყველა სახის შეცდომის აღრიცხვასა და კითხვის დროის წამმზომით გაზომვას.

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შეცდომათა საერთო რაოდენობის, მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომებისა და კითხვის დროის მხრივაც ახალი შრიფტის ნიმუშების შემოწმებამ თვალსაჩინო უპირატესობა მოგვცა (იხ. ცხრილები 13, 14 და 15).

ცხრილი 13

ორივე ტექსტის კითხვის დროის საშუალო მაჩვენებლები I—II კლასის მოსწავლეებთან და გაწაფულ მკითხველებთან

ცდისპირობი	შრიფტების დასახელება	
	დედა ენის გარნიტურა	ახალი
I კლ.	9'12''	7'38''
II კლ.	6'0''	5'5''
გაწაფული მკითხველი	3'1''	3'3''

<sup>13</sup> წინა ცდებში გამოყენებული ორივე (ჩვეულებრივი და მსგავს ასოთა) ტექსტი მხატვარ-კალიგრაფისტ გ. ნადირაძეს დაეწერინეთ და შემდეგ დავაპატარავეთ ფოტოთი „დედა ენის“ შრიფტის ზომაზე, კეგელი 24.



შეცდომების ნინუშების დაწვრილებითა შესწავლამ იგივე სახეები გამოავლინა, რაც წინა ცდებით იყო მიღებული, სახელდობრ: 1) ბგერების ურთიერთგადანაცვლება, 2) კომპლექსში ბგერების ჩამატება, 3) ბგერის გამოტოვება და 4) ზგერათა ურთიერთშეცვლა.

ცდის მასალაში მოცემული უაზრო კომპლექსები ხელს უწყობენ მოცემული მომენტის მხედველობის ველში შემოჭრილ ასოთა ურთიერთგადანაცვლებას, გამოტოვებასა და ჩამატებასაც.

(„მსგავს ასოთა ტექსტი“)

ყონია დაღუღა ქუჭქა დაღღო ბუკი.  
ხეჩისო მუსია ნეღღო ძენამი კიკვი.  
დეყა პეპი ვიკეა ქეჭი კიკვი.  
ღუღა ყიყვი ღუღოს-სიხი ყეყი.  
პემპლო უქვა ყინო ქემპო იღდა ჭუჭი.  
აკვა პუბი კიკვი ძიხინ ვინგი ყეყი.  
პინო კუქეა ნუყა ზეპუპა გიგვა.  
ღუღო ზეპიპა ემპე. კვი პუბი ყეყი.  
პუპაპე ვიკა სეხი ღეღადა პეპიპი.  
ხესი პუპა. ხახისი ყეყიყა ძესი.  
ღუღღა ქესი ქეჭ პენბო დაღღა.  
პიბიპი.



რაკი კომპლექსებში გაერთიანებულ ბეგრებს მხოლოდ ურთიერთმეზობლობა აკავშირებთ და ანგარიში არ ეწევა—წარმოსათქმელად როგორი დაჯგუფება იქმნება, ფონეტიკური ხასიათის შეცდომებსაც ფართო გზა აქვთ გახსნილი. ყველა ამ სახის შეცდომებს ცხრილში თავისი ადგილი მიეუჩინეთ და მათგან გამოვაცალკევეთ მხოლოდ გრაფიკული მოხაზულობის მსგავსებით გამოწვეული შეცდომები და ნიმუშები. ისინი შევადარეთ „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის კითხვაში დაშვებულ ამგვარ შეცდომებსა და ნიმუშებს, რამაც შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ცხრილი 15).

ცხრილში მოცემული ციფრები გვიჩვენებს, რომ ახალი შრიფტით კითხვისას „დედა ენის“ შრიფტის გრაფიკული გამოსახულებით მსგავს ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები მნიშვნელოვნად შემცირდა; მაგალითად, ძ—მ; უ—ყ; ღ—ღ; ხ—ხ; კ—გ და გ—ვ-სი. მაგრამ ქართული ანბანისათვის დამახასიათებელი მსგავსი ასოების—ი—ო, ჰ—ჰ და ლ—ლ-ს ურთიერთშეცვლის შეცდომები ახალ შრიფტშიც დიდი რაოდენობით გვხვდება.

ამგვარ შეცდომებს გვერდს ვერ აფუვლით, რადგან ეს თვითონ ანბანის მსგავსი ასოებია და მათი დაუმსგავსებლობა მოუხერხებელია.

ცხრილ 15-ში მოცემული მაჩვენებლების მიხედვით დედა ენის გარნიტურის შრიფტის მოყვანილობით გამოწვეული ზოგიერთი ასოს მკვეთრი მსგავსება ახალი შრიფტის ნიმუშებში აღიკვეთა და ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალობა შეიძინა, სახელდობრ, დედა ენის გარნიტურის შრიფტში უ და ყ გრაფიკული გამოსახულებით იმდენად გავს ერთმანეთს, რომ პირველკლასელებმა ერთი მეორის მაგიერ 120-ჯერ, მეორეკლასელებმა—125-ჯერ და გაწაფულმა მკითხველებმა—52-ჯერ წაიკითხეს. ახალი შრიფტის ნიმუშების იგივე ასოები პირველკლასელებმა—12-ჯერ, მეორეკლასელებმა—26-ჯერ და გაწაფულმა მკითხველებმა მხოლოდ 11-ჯერ შეუნაცვლეს ერთმეორეს.

ასეთივე მკვეთრ სხვაობას იძლევა ძ—მ-სა, ხ—ხ-სა, ღ—ღ-სა და სხვათა ურთიერთშედარებაც.

მაგრამ გვაქვს პირიქითაც: ახალი შრიფტის ფორმით გამოწვეული ზოგიერთი ასოს მსგავსება ნაკლებად თვალში საცემია დედა ენის გარნიტურის იმავე ასოებში. ამგვარი ასოები დედა ენის გარნიტურში მეტად მცირეა, რის გამოც ახალი შრიფტის ფორმას,



დედა ენის შრიფტთან შედარებით, თვალსაჩინო უპირატესობა ენიჭება საანბანო წიგნში გამოსაყენებლად.

ეს შედეგები ნივლით კითხვის ჩვეულებრივ პირობებში ჩატარებული ცდებით, სადაც ბავშვს თითოეული ასოს დათვალიერება იმდენ ხანს შეეძლო, რამდენი ხანიც სჭირდებოდა მის წასაკითხად. რაკი წაკითხვის დრო განსაზღვრული არ იყო, ბავშვი ასოების ამოსაკითხავად ყოველგვარ დამხმარე ხერხს მიმართავდა, როგორცაა: სტრიქონზე თითის გაყოლება, ასოების ჩათვლა, დაყოვნება ასოსთან, თვლების უკუმოძრაობა წაკითხულის შესამოწმებლად და სხვა, რაც ერთმანეთისგან ძნელად გასარჩევი ასოების ამოცნობის საშუალებასაც იძლეოდა. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით ასოების კითხვადობის კითხვის ისეთ პირობებში შემოწმება, როდესაც შეუძლებელი იქნებოდა წასაკითხად საქირო დამხმარე ხერხების გამოყენება—გამოვრიცხავდით თვლების მოძრაობას, ასოების შემოწმებას და, აგრეთვე, შეიზღუდებოდა კითხვის დროც.

ამ თვალსაზრისით გადავხედეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ საბჭოთა და უცხოურ ლიტერატურას შრიფტების ფსიქოლოგიური შემოწმების შესახებ, სადაც ნოცენულია შრიფტების კითხვადობის კვლევის მრავალნაირი მეთოდები.

ამ მეთოდებით შრიფტების კითხვადობა, უმთავრესად, მოწმდება წასაკითხად არახელსაყრელ, გაძნელებულ პირობებში, მიწოდებული სრიფტების ფორმის ნათლად გარჩევისა და სწორად ამოკითხვის საშუალებით. ასეთია ჰერმან კონისა და რობერტ რიუბერ კამის მიერ მოწადეებზე ჩატარებული ცდები კითხვადობაზე შრიფტის ზომისა და ბწკარების სიგრძის გავლენის დასადგენად.

ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სკოლებთან არსებული ინდუსტრიული ფსიქოტექნიკის ინსტიტუტში პროფ. მოედეს<sup>61</sup> ხელმძღვანელობით ჩატარდა ცდები არსებული შრიფტებიდან ობიექტურად მოსაწონი შრიფტების შესარჩევად.

I. რხევის აპარატით კითხვის გაძნელებულ პირობებში ადვილად გასარჩევი შრიფტის გამოსავლენად.

II. კითხვის ჩვეულებრივ პირობებში კითხვის დროის გაზომვით (დრო იზომებოდა ელექტრომაგნიტური საათით) ადგენენ შრიფტის კითხვის სიადვილეს.

<sup>61</sup> Dr. Otto Bettman, Psychotechnische Prüfung von schriften-  
Archiv für Buchgewerbe und Gr. graphik. 1933.

III. ტაქისტოსკოპით სეკუნდის ერთ მონაკვეთში მიწოდებული განსხვავებული ფორმის შრიფტებიდან უნდა დაედგინათ, რომელი მათგანი უფრო სწრაფად აღიქმებოდა.

IV. შრიფტებს აწვდიდნენ სხვადასხვა მანძილიდან იმის გასარკვევად, თუ ესა თუ ის შრიფტი რა სიშორიდან აღიქმება უფრო გარკვევით.

V. შრიფტებს აკითხებდნენ სუსტი განათებით, განათების თანდათანობითი მატებით, რითაც იკვლევდნენ, თუ რომელ შრიფტს რამდენ ვოლტიანი განათება სჭირდება ასოების ამოსაკითხად<sup>65</sup>.

აგრეთვე გავეცანით პეტერსონისა და თინკერის, მატეოს ლაკიშისა და ფრანკ მოსოს<sup>66</sup>, ჰოვარდ ჰოვდისა<sup>67</sup> და კირილ ბარტის<sup>68</sup> ცდებს, რომელთა მიზანი იყო:

1. ასოების, სიტყვებისა და წინადადებების კითხვის სიადვილის შეფასება ჩვეულებრივ და შორ მანძილზე კითხვის პირობებში;

2. ასოებისა და სიტყვების სისწორის დადასტურება ტაქისტოსკოპის მოკლე ექსპოზიციით;

3. კითხვის სისწრაფე, როცა კითხვის მიზანია მიწოდებული მასალის შინაარსის გაგება;

4. კითხვის დროს თვალის მოძრაობებზე (თვალების სწორხაზობრივი მოძრაობა, თვალის უკუ მოძრაობა—გადაადგილება და სხვა) ობიექტური დაკვირვებები და

5. სუბიექტების დაკითხვა შრიფტების მოწონების თვალსაზრისით.

ჩვენი ახალი შრიფტის კითხვადობის შესამოწმებლად და სხვა შრიფტების კითხვადობასთან შესადარებლად განვიზრახეთ ტაქისტოსკოპის მოკლე ექსპოზიციით ცდების ჩატარება, რათა კითხვის გაძნელებულ პირობებში გაგვერკვია შრიფტის რომელი ფორმის ასოები უფრო სწორად და სწრაფად აღიქმებოდა. ამ მიზნით საგანგებოდ შევადგინეთ ცდის მასალა.

---

<sup>65</sup> Paterson D. G. and M. A. Tinker. Studies of Typographical factors speed of reading. (Effect of practice on Equivalence of test forms). The Journal of applied psychology, vol. XIV, № 3, 1930.

<sup>66</sup> Luckish M. and Moss E. K. Visibility and Readability of print Matter. The J. of app. Psychology, 1933, 23. 645.

<sup>67</sup> Howard T. Howde, The relative effects of size of type leading and context. The J. of app. Psychology, v. XIX, № 1. 1930.

<sup>68</sup> Sir Cyril Burt, A psychological study of typography. Cambridge University press. 1959.

## ტაქისტოსკოპით ჩატარებული ცდის მასალა და მეთოდი

ავიღეთ ოთხი სხვადასხვა შრიფტის ასოები: 1. „დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილი“, 2. ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“, 3. მკაფიო გარნიტურისა და 4. „ახალი“ შრიფტის პროექტის ნიმუშები.

რადგან ქართულ საანბანო წიგნში სასწავლო-საანბანო შრიფტის ზომად 24 კეგელი იხმარება, ხოლო სასწავლო წლის დამლევისათვის დასაბეჭდად — 12 კეგელი, ჩვენც ამ ორი ზომის შემოწმებით შემოვიფარგლეთ.

ზემოთ დასახელებული შრიფტების 12-კეგელიანი ანბანი ფოტოთი გადავიღეთ შრიფტების კატალოგიდან და გავადიდეთ კეგელ ოცდაოთხზე. შემდეგ, ცალ-ცალკე ბარათებზე დავაწებეთ გრაფიკული გამოსახულებით განსხვავებული ოთხ-ოთხი თანხმოვანი ასო.

ცდის მასალა ოთხივე შრიფტისთვის ერთი და იგივე იყო, სახელდობრ: ჩწტვ; დმ უჰ; ჯფშხ; ბცლთ; ვძყრ; ლგჭქ და სკნჭ.

ცდის მასალაში ხმოვნები არ გამოგვიყენებია იმის გამო, რომ ტექსტებით ჩატარებულ ცდებში ხმოვნების არსებობამ ცალკეულ კომპლექსებს სიტყვების იერი მისცა. ამან, თავის მხრივ, ცპ-ში გააზრიალების ტენდენცია გამოიწვია და უაზრო კომპლექსებს ზოგჯერ სიტყვებად კითხულობდნენ. ეს ტენდენცია რომ თავიდან აგვეცილებინა და ცდის მასალაც მხოლოდ ასოების უაზრო ჯგუფების სახით წარმოგვედგინა, რაც ცპ-ს ცალ-ცალკე ასოების წაკითხვას აიძულებდა, გამოვეტოვეთ ხმოვანი ასოები.

ტაქისტოსკოპის მოკლე ექსპოზიციით მივაწოდეთ (ტაქისტოსკოპის ფრთებს შორის მანძილი 15 სმ) ჯერ 12-კეგელიანი შრიფტები და შემდეგ 24-კეგელიანი. განსხვავებული შრიფტებისათვის კითხვის ერთნაირი პირობის შესაქმნელად ცპ-ს ცდის მასალა მივაწოდეთ ყველა შესაძლო თანმიმდევრობით. თუ ცპ-თა ერთ ჯგუფს პირველად შრიფტების ასეთი რიგი—ი. გოგებაშვილი, ხომლი, მკაფიო, ახალი—ეძლევა, ცპ-თა მეორე ჯგუფს, პირიქით,—ახალი, მკაფიო, ხომლი და ი. გოგებაშვილი, მესამე ჯგუფს—ხომლი, ი. გოგებაშვილი, ახალი, მკაფიო და მეოთხე ჯგუფს—მკაფიო, ახალი, ი. გოგებაშვილი და ხომლი.

ინსტრუქცია ასეთია: ცპ-ს ეუთითებთ ტაქისტოსკოპის სარკმელზე და ეეუბნებით—„უურადლებით უცქირეთ სარკმელს, მასში

სწრაფად გამოჩნდება ასოები და ისევე სწრაფად გაქრება. ეყადეთ ამოიკითხოთ, რა ასოები იქნება“.

ცდებში მონაწილეობა მიიღო ორმოცემა გაწაფულმა მკითხველმა (მეცნ. მუშაკებმა, კორექტორებმა და ასპირანტებმა), თბილისის 47-ე და 58-ე საშუალო სკოლის 40 პირველკლასელმა და 40-მა მე-2 კლასელმა მოსწავლემ.

გაწაფულ მკითხველებს ვაძლევდით გამზადებულ ფურცლებს და ვვალდებდით—წაკითხული თვითონვე ჩაეწერა.

პირველ-მეორეკლასელების კითხვის აღრიცხვას ჩვენ თვითონ ვაწარმოებდით.

პირველ-მეორეკლასელებთან ცდები წარმოებდა სკოლაში, სასკოლო პირობებში, მერხზე, გაწაფულ მკითხველებთან კი იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი მუშაობდნენ.

აღსანიშნავია, რომ პირველკლასელებიც, მეორეკლასელებიცა და გაწაფული მკითხველებიც ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მცირე ზომის შრიფტების მიწოდებისას, ცპ პირველ ორ-სამ ექსპოზიციაში ასოებს ვერ არჩევდნენ. ჩვენ განვაგაძრბდით ასოთა ჩვენებას მანამდე, სანამ ერთ რომელიმე ასოს მაინც ამოიკითხავდნენ. მას შემდეგ მომდევნო ექსპოზიციაში ასოთა ჯგუფებს ვცვლიდით და კითხვის შედეგებს ოქმებში ვიწერდით.

### შედეგების ანალიზი

ტაქსიტოსკოპით მიწოდებული სხვადასხვა ფორმისა და მოხაზულობის („ი. გოგებაშვილი“ და „ახალი“—ანთიკვას ჯგუფის, „მკაფიო გარნიტურა“—გროტესკის ჯგუფისა და „ხომლი“ ანუ „ციცერო“—ნახევრად გროტესკის) პრიფტების კითხვით მოპოვებული შედეგები ორ ჯგუფად გავანაწილეთ: I—სწორად წაკითხული და II—შეცდომით წაკითხული მასალა. განვიხილოთ მათი რიცხობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები.

შეცდომით წაკითხული მასალის რიცხობრივი მონაცემები ასეთია: 12-კე გელიანი შრიფტებით კითხვისას დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობის მიხედვით პირველკლასელებმა ყველაზე მეტი შეცდომა დაუშვეს „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვის დროს, შედარებით ნაკლები—„ი. გოგებაშვილის“, უფრო ნაკლები—„მკაფიო გარნიტურისა“ და ყველაზე ნაკლები—„ახალი“ შრიფტის ნიმუშებით კითხვისას (იხ. ცხრილი 16).

მეორეკლასელებს იმავე შრიფტების კითხვისას ყველაზე მეტი შეცდომა აქვთ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის კითხვაში,

შედარებით ნაკლები — „მკაფიო გარნიტურის“, უფრო ნაკლები — „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტითა და კიდევ უფრო ნაკლები — „ახალი“ შრიფტის კითხვისას.

გაწაფულმა მკითხველებმა ყველაზე მეტი შეცდომა დაუშვეს „ი. გოგებაშვილის“ კითხვისას, შედარებით ნაკლები — „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტის, უფრო ნაკლები — „მკაფიო გარნიტურისა“ და ყველაზე ნაკლები — „ახალი“ შრიფტით კითხვის დროს (იხ. ცხრილი 15).

იმავე პირობებში ზემოთ აღნიშნული შრიფტების 24-კეგელიანი კითხვისას გვაქვს შეცდომათა შემდეგი მაჩვენებლები.

პირველ-მეორეკლასელებსაც და გაწაფულ მკითხველებსაც ყველაზე მეტი შეცდომები „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას მოუვიდათ; შედარებით ნაკლები: პირველ-მეორეკლასელებს — „მკაფიო გარნიტურის“, ხოლო გაწაფულ მკითხველებს — „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტის კითხვაში: უფრო ნაკლები: პირველ და მეორეკლასელებს — „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტისა და გაწაფულ მკითხველებს — „მკაფიო გარნიტურის“ კითხვისას; ყველაზე ნაკლები — პირველ-მეორეკლასელებსაც და გაწაფულ მკითხველებსაც — „ახალი“ შრიფტით კითხვაში (იხ. ცხრილი 17).

როგორც ვხედავთ, შეცდომათა საერთო რაოდენობის მიხედვით, პირველ-მეორეკლასელებთანაც და გაწაფულ მკითხველებთანაც ყველაზე კარგი მაჩვენებლები ორივე ზომის შემთხვევაში (12, 24) „ახალი“ შრიფტით კითხვამ მოგვცა.

მეორე ადგილზეა — პირველკლასელებთან, 12-კეგელით კითხვისას, „მკაფიო გარნიტურა“, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „ხომლი“ ანუ „ციცერო“; 24-კეგელით კითხვისას: პირველ-მეორეკლასელებთან — „ხომლი“, გაწაფულ მკითხველებთან — „მკაფიო“.

მესამე ადგილზეა — პირველკლასელებთან (12-კეგელით კითხვისას) — „ი. გოგებაშვილი“, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „მკაფიო“; 24-კეგელით კითხვისას — პირველ-მეორეკლასელებთან — „მკაფიო“, გაწაფულ მკითხველებთან — „ხომლი“.

მეოთხე ადგილზეა (12 კეგელით) — პირველკლასელებთან — „ხომლი“ ანუ „ციცერო“, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „ი. გოგებაშვილი“; 24-კეგელით — პირველ-მეორეკლასელებთანაც და გაწაფულ მკითხველებთანაც „ი. გოგებაშვილი“.

თუ მხოლოდ რიცხობრივ მონაცემებს დავეყრდნობით, ახალი შრიფტი ყველაზე და ყველასათვის მარტივ, ადვილსაკითხავ შრიფტად უნდა ჩავთვალოთ, დანარჩენი შრიფტები,—ურთიერთთან ძედარებით,—მეტნაკლებად ძნელ შრიფტებად.

არის კი ეს ასე? იქნებ, შეცდომების დიდი რაოდენობა ერთი ან ორი ასოს შეცდომით კითხვის მიზეზით არის გაზრდილი, დანარჩენი ასოები თავისი მკაფიობით სჯობია სხვა შრიფტის იგივე ასოებს! ვნახოთ, რა სახის შეცდომებია დაშვებული და რით არის გამოწვეული იგი.

ცხრილი 16

ტაქისტოსკოპით წაკითხულ შრიფტებში დაშვებული შეცდომების  
საერთო რაოდენობა

ცდისპირები	შრიფტები—კეგელი 12			
	ახალი	ი. გოგება- შვილი	მკაფიო	ხომლი
I კლასი	616	715	674	779
II კლასი	499	648	619	592
გაწაფული მკითხველები	329	432	389	387

ცხრილი 17

ტაქისტოსკოპით წაკითხულ შრიფტებში დაშვებული შეცდომების  
საერთო რაოდენობა

ცდისპირები	შრიფტები—კეგელი 24			
	ახალი	ი. გოგება- შვილი	მკაფიო	ხომლი
I კლასი	367	485	451	429
II კლასი	252	362	319	308
გაწაფული მკითხველები	92	156	97	109

შეცდომების დაწვრილებითმა ანალიზმა შეცდომათა რამდენიმე სახე გამოავლინა:

1. ასოების ურთიერთშეცვლა,
2. ასოების ჩამატება,
3. ასოთა გამოტოვება.
4. გააზრიანება.




შეიძლებადა ასოების გადანაცვლებაც შეცდომათა ჯგუფის-თვის მიგვეკუთვნებინა, როგორც ტექსტებით კითხვის შემთხვევა-ში მოვიქცით; მაგრამ ამ შენთხვევაში ტაქსტოსკოპით მიწოდებული ასოები ისე სწრაფად ჩნდება და ქრება, რომ ასოთა თანამიმდევრობაზე დაკვირვებისა და ყურადღების გამახვილების საშუალებას არ იძლევა. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ასოს სწორად გამოცნობით ვიყავით დაინტერესებული და რომელ ადგილზე წაიკითხავდა მას—პირველს, მეორეს, მესამესა თუ მეოთხე ადგილზე, ანგარიშს აღარ ვუწევდით. ჩვენთვის მთავარია ცდისპირმა შენიშნოს და სწორად ამოიკითხოს მიწოდებულ ასოთა ჯგუფი. სულ სხვაა ტექსტების კითხვისას. იქ საკითხავი მასალა ბავშვსაც და მოზრდილსაც უძრავად ეძლევა და არც დროით არის შეზღუდული, ამიტომ მას საშუალება აქვს, ასოთა მოყვანილობასთან ერთად, თანმიმდევრობაც გულდასმით დაათვალიეროს. ასეთ პირობებში ასოთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადანაცვლება შეცდომათა რიგში მოთავსდება.

შეცდომათა პირველი სახეა ასოების ურთიერთშეცვლა. ასოთა ურთიერთშეცვლა ტექსტებით ჩატარებულ ცდებში, უმთავრესად, გრაფიკული გამოსახულების ან ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე ხდება. თუ ერთი ასო მეორისგან მხოლოდ ერთი პატარა დეტალით, წმინდა ბეწვისებური ხაზით, პირშეკრულობით, ღიაობით ან პაწაწინა დანამატით განსხვავდება, მაშინ იგი ტაქსტოსკოპით კითხვის სიტუაციაში კი არა, ჩვეულებრივი კითხვისთვისაც ასოთა ურთიერთშეცვლის საკმარის პირობებს ქმნის. ამის გარდა, ამ სახის შეცდომების წყაროდ ასოთა სივრცითი ორიენტაციის მხედველობაში მიუღებლობაც უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ძ-სა და ხ-ს ერთნაირი მოხაზულობა რომ არა ჰქონდეთ, სივრცითი ორიენტაციის მხედველობაში მიუღებლობა მათს ურთიერთშენაცვლებას არ მოგვეცემდა. ასოთა ურთიერთშეცვლა, უმთავრესად, ასოთა გრაფიკული გამოსახულების მსგავსებას ეყრდნობა. მსგავსების ფაქტორი, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, წერა-კითხვის დასაწყის საფეხურზე ასოთა დიფერენცირება-დახსომებაში ერთ-ერთი უდიდესი, ხელშემშლელი ფაქტორია. ასოებს შეიძლიანი ბავშვი ურთიერთს ამსგავსებს არა მარტო მთლიანი მოყვანილობის მიხედვით, არამედ ერთი რომელიმე ნაწილის მსგავსებითაც კი, რომელიც მასზე რალაციით უფრო


ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, თვალში ეჩხირება, ამიტომ ასოს მთლიან ფორმასაც მხოლოდ ამ ნიშნით აღარცხს. ასოს სხვა განმასხვავებელი ნაწილა, დიდია თუ პატარა, სულ ერთია, ხშირად მხედველობის გარეშე რჩება. რა თქმა უნდა, ასეთ შეცდომებს ფართო გასაქანი ექნება იქ, სადაც საამისო სიტუაცია იქნება. თუ ტექსტებით კითხვის ცდებში ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები მხოლოდ ასოთა მთლიანი მოყვანილობის მსგავსებითა და ფონეტიკური მსგავსებით იყო გამოწვეული, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეჯგუფებინა და გამოგვეყო მოცემულ შრიფტებში გრაფიკული გამოსახულებით მსგავსი ასოების ჯგუფები, აგრეთვე მიგვეთითებინა ამა თუ იმ მოხაზულობისა და ფორმის შრიფტებში, რა ასოები ქმნიდნენ ძლიერ მსგავსებას, ტაქსტოსკოპით კითხვით მიღებულ შედეგებში ამგვარი დაჯგუფება არ მოხერხდა, რადგან ერთი და იგივე ასო მუდამ და ყოველთვის ერთ რომელიმე ასოს კი არ ენაცვლებოდა, არაჰედ ხან—ერთა, ხან—მეორეს, ხან—მესამეს, ზოგჯერ—მეოთხე—მეხუთესა და მეექვსე ასოსაც, როჰელსაც, ერთი შეხედვით, თავისთავად, თითქოს, საერთო არა აქვს რა შეცვლილ ასოსთან და სრულიად განსხვავებულ ფორმასა და მოხაზულობას წარმოადგენს.

ასოთა ამგვარი ურთიერთშენაცვლება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ მოცემული ასო რა და რაგორი ნაწილებით არის აგებული, ე. ი. აქვს თუ არა თათაუულ ნაწილს ცალკე რომელიმე ასოს ფორმა და რამდენი ამგვარი ნაწილისაგან შედგება იგი, მეორე მხრივ, იმაზე, თუ ტაქსტოსკოპის სარკმელში მომენ ტალურად გამოჩენილი ასოების ჯგუფიდან ცპ-ი, სწორად ამოკითხული ასოების გვერდით, მოცემულ ასოთა რა ნაწილს მოჰქრავს თვალს ან ასოს რომელი ნაწილი მოექცევა მხედველობის ცენტრში, ან ეს ნაწილი, დამოუკიდებლად, რა ასოს წარმოადგენს, ამის საუუუუუუუუ დკინდება ასოთა მსგავსება. ცპ-ის მხედველობა მოცემულ მომენტში ასოს რა ნაწილზეც არის მიპრობილი (ხაზზევით, ხაზქვევით თუ ხაზშუა) სწორედ ის ნაწილები შემოდიან, გარკვევით, ნათელი აღქმის ველში.

მაგ., ასო ჟ ერთ შემთხვევაში შეცვლილია ე-თი, მეორე შემთხვევაში—ა-თი, მესამე შემთხვევაში—ყ-თი და მეოთხე შემთხვევაში—უ-თი.



შ—შეცვლილია ზ-თი, მ-თი, წ-თი, ძ-თი, ი-თი და ხ-თი.



ასოების დანაწილების ასეთ შემთხვევებში, ნაწილებს შორის მოძებნილი მსგავსების გვერდით, სივრცითი ორიენტაციის ფაქტორიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. ამის ქმედება შ-ს ქვედა ნაწილის ძ—ხ-თ შეცვლა, შ-ს მ-თი შეცვლა და სხვ.

ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომების კიდევ ერთი ხელშემწყობია ცოდნის ფაქტორი. ცპ-ბმა ასოების ბეჭდური მოხაზულობის გარდა ხელნაწერი ფორმებიც იციან. მიუხედავად იმისა, რომ ცპ-ბს წასაკითხად მხოლოდ ბეჭდური ასოები ეძლევათ, ისინი მათ ზოგჯერ ხელნაწერი ნიმუშებით ცვლიან. მაგალითად, ჯფშხ: ცდისპირი კითხულობს ჯფშრ; ბეჭდურ რ-სა და ხ-ს შორის გრაფიკულად არაფერი მსგავსება არ არის, მაგრამ ხელნაწერ რ-სა და ხ-ს შესახებ ამას ვერ ვიტყვით: ხელნაწერი რ—ხ-სგან მხოლოდ პირლიაობით განსხვავდება, საერთო მოხაზულობით კი, შეიძლება ითქვას, ისინი სავსებით ერთნაირნი არიან.

როგორც ჩანს, ცდისპირმა, ტაქსტოსკოპის ექსპოზიციის გამო, ვერ შენიშნა ხ-ს ქვედა ნაწილის შეკრულობა და მის ცნობიერებაში შემოვიდა ასეთი მოხაზულობა: ხ; ეს კი ხელნაწერი რ არის. ცპ-ს ვთხოვეთ ცალკე დაეწერა პირველი ასო. მან დამიწერა რ,—ასეთია,—მითხრა, ვუჩვენე ბეჭდური რ და ვკითხე: ასეთი ასო ხომ არ იყო? მიპასუხა—არაო. კომპლექსს ჩწტვ—კითხულობს რწტვ. ჩ ცალკბილიანი (ხელნაწერი) რ-თი შეცვალა და ა. შ. (ესეც ხელნაწერი ასოთა ნიმუშების ცოდნის გავლენით).

ამ სახის შეცდომები ოთხივე მოხაზულობის შრიფტში შეგვხვდა. შრიფტის ზომის ცვლას გავლენა არ მოუხდენია შეცდომათა სახეების გამოვლენაზე.

ტაქისტოსკოპის მოკლე ექსპოზიციებში ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომებში, შრიფტის ფორმის თავისებურებების გარდა, სხვა დამატებითი ფაქტორებიც შემოიტანა, რამაც შეცდომათა სახეების ფართო ნაირსახეობა მოგვცა და მათი ურთიერთშედარება შეუძლებელი გახდა. ამ სახის შეცდომების რაოდენობრივი მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ 12-კეგელიანი შრიფტების კითხვის დროს (იხ. ცხრილი 18) პირველკლასელებთან ასოთა ურთიერთშეცვლის შეცდომები თანაბრად ნაკლები რაოდენობით არის მოცემული „ხომლისა“ და „ახალი“ შრიფტის კითხვაში, ყველაზე მეტი რაოდენობით „გოგებაშვილის“ კითხვისას და საშუალო რაოდენობით—„მკათიო გარნიტურის“ კითხვის დროს.

მეორეკლასელებთან—ყველაზე ნაკლები შეცდომებია ახალი შრიფტის კითხვისას, ყველაზე მეტი—„ი. გოგებაშვილის“ კითხვისას, საშუალო მაჩვენებლები აქვს მკათიო გარნიტურისა და ხომლის კითხვას.

გაწაფულ მკითხველებთან—ყველაზე ნაკლები შეცდომებია ახალი შრიფტით კითხვისას, შემდეგ—„მკათიო გარნიტურითა“ და „ხომლით“, ყველაზე მეტი—„ი. გოგებაშვილის“ კითხვაში.

24-კეგელიანი შრიფტების კითხვაში (იხ. ცხრილი 19) პირველკლასელებთან ნაკლები შეცდომებია „ახალისა“ და „ხომლის“ კითხვისას, შემდეგ—„მკათიო გარნიტურისა“, ყველაზე მეტი—„ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის დროს.

მეორეკლასელებთან—ნაკლებია „ახალსა“ და „მკათიო გარნიტურის“ კითხვაში, შედარებით მეტი—„ხომლი“ შრიფტის, ყველაზე მეტი „ი. გოგებაშვილის“ კითხვისას.

გაწაფულ მკითხველებთან—ყველაზე ნაკლებია ახალსა და მკათიოში, შემდეგ—„ხომლსა“ და, ბოლოს, „ი. გოგებაშვილის“ კითხვისას.

შეცდომების რიცხობრივ მაჩვენებლებში „ი. გოგებაშვილის“ შრიფტთან შედარებით აშკარა უპირატესობა აქვს „ახალს“, შემდეგ „მკათიოსა“ და „ხომლს“. მაგრამ, რაოდენობრივი უპირატესობის მიუხედავად, აღნიშნულ შეცდომათა დაწვრილებითი ანალიზი შემოწმებული შრიფტებიდან რომელიმე მათგანის ფორმის უპირატესობის დასადგენად საკმაო საფუძველს არ იძლევა.

შეცდომათა მეორე სახეა ასოების ჩამატება, ასოთა ჩამატების შეცდომებშიც დიდი ადგილი უჭირავს მსგავსების ფაქტორს. გვაქვს შემთხვევები, როცა მიწოდებულ ასოთა ჯგუფში ცპ-ი ამიტებს რომელიმე მათგანის მსგავს ასოს: მაგალითად, კომპლექსს ჩწტვ კითხულობს როგორც ჩწტვკ; ჩაუმატა ვ-ს მსგავსი ასო კ, ანდა: დჟჟჟ კითხულობს დჟჟჟპ, დ ჩაუმატა პ და ა. შ. აქ გრაფიკული მსგავსების გამო გვაქვს ასოთა გაორმაგება.

ჩვეულებრივად ცპ-ები დარწმუნებულნი არიან ჩამატებული ასოების არსებობაში, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ცპ-ს ეკვი ეპარება არსებული ასოს სისწორეში და ამბობს ორივეს. მაგალითად, ბცლთ კითხულობს როგორც ბცლთ თუ ღ, ჩამატა ღ; ჯფშხ—კითხულობს ჯფშხ ან ხ და ა. შ.

ასოთა ჩამატების ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა წინა წაკითხულ ასოთა ჯგუფიდან რომელიმე მათგანი გადააქვს მომდევნო ჯგუფში. მაგალითად, ლგზჟ-ს ცპ-ი კითხულობს ლგზჟრ, რ ჩამატა წინა წაკითხული ჯგუფის პჟრ-ს გავლენით. ანდა: დჟჟჟ-ს კითხულობენ დჟჟჟ, ვ ჩამატა წინა წაკითხულის გავლენით და სხვ.

ზოგჯერ, ტაქისტოსკოპის სწრაფი ექსპოზიციის გამო, ცპ-მა შეიძლება ვერ მოასწროს ყველა ასოს გარჩევა, მაგრამ შენიშნოს მიწოდებულ ასოთა რაოდენობა. ცპ-მა იცის, რომ ოთხი ასო იყო. რაოდენობის ცოდნაც ერთგვარ როლს თამაშობს და, შესაძლოა, ცდისპირმა სრულიად სხვა ასოები წაიკითხოს ისე, რომ არც წინა და არც მიწოდებულ ასოთა ჯგუფში იგი არ იყოს, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩამატება აქაც რომელიღაც მოცემულ ასოსთან მიმსგავსებით ხდება.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ცპ მხოლოდ იმის გამო ასახელებს ამა თუ იმ ასოს, რომ შეამჩნია რაღაც ასოების არსებობა, მაგრამ—რა, ეს სრულებით არ იცის და რაც ალაღბედზე ასოციაციით მოუვა თავში, იმას კითხულობს. ასეთი შემთხვევები მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ ბგერათა ჩამატების შეცდომები არც 12 და არც 24-კეგელის კითხვის დროს ძალიან დიდი რაოდენობით არ გვხვდება.

ამ შეცდომების რიცხობრივი მაჩვენებლები შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

ტაქსისტოკოპით წაკითხულ მასალაში გამოვლენილ შეცდომათა სახეების რიცხობრივი მაჩვენებლები

შრიფტები 12 კეგელი	კდისპირები	შეცდომათა სახეები					სულ
		ასოთა შეცვ- ლა	ჩამა- ტება	გამო- ტოვე- ბა	გააზ- რიაწე- ბა	ჯამი	
ახალი	I კლასი	199	103	314	—	616	640
გოგებაშილი	I კლასი	256	130	328	1	715	509
მკაფიო	I კლასი	207	93	373	1	674	535
ხომლი	I კლასი	198	156	422	3	779	492
ახალი	II კლასი	175	109	213	2	499	738
გოგებაშილი	II კლასი	282	152	210	4	648	621
მკაფიო	II კლასი	231	149	239	—	619	653
ხომლი	II კლასი	267	126	209	—	592	640
ახალი	გაწაფ. მკითხვ.	85	38	206	—	329	817
გოგებაშილი	გაწაფ. მკითხვ.	146	59	227	—	432	710
მკაფიო	გაწაფ. მკითხვ.	95	70	224	—	389	732
ხომლი	გაწაფ. მკითხვ.	98	46	243	—	387	808

12-კეგელიანი შრიფტების კითხვის დროს პირველ-კლასელებთან ასოთა ჩამატების ყველაზე ნაკლები შემთხვევა გვაქვს „მკაფიო გარნიტურის“, შემდეგ—„ახლითა“ და „ი. გოგება-შილის“ შრიფტით კითხვისას გვაქვს, ხოლო ყველაზე მეტი—„ხომლით“ (იხ. ცხრილი 18).

მეორეკლასელებთან—ნაკლებია „ახლით“, შედარებით მეტი—„ხომლით“, უფრო მეტი—„მკაფიო გარნიტურით“, ყველაზე მეტი—„ი. გოგებაშილის“ შრიფტით კითხვის დროს;

გაწაფულ მკითხველებთან: ყველაზე ცოტაა—„ახლით“, შედარებით მეტი—„ხომლით“, უფრო მეტი—„ი. გოგება-შილითა“ და ყველაზე მეტი—„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას;

24-კეგელიანი შრიფტების კითხვისას, პირველკლასელებთან ასოთა ჩამატების ყველაზე ნაკლები რაოდენობაა „ახლით“, შედარებით მეტი—„ხომლით“, უფრო მეტი—„ი. გოგებაშილითა“ და ყველაზე მეტი „მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას;

მეორეკლასელებთან—ნაკლები შემთხვევებია „ახალი“ შრიფტით კითხვისას, შედარებით მეტია—„ხომლით“ და „მკაფიოთი“ და უფრო მეტი—„ი. გოგებაშილით“.

გაწათფულ მკითხველებთან—ყველაზე ცოტაა „ახლით“, შედარებით მეტი — „ხომლით“, შემდეგ—„მკაფიოთი“ და ყველაზე მეტი—„ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვის დროს (იხ. ცხრილი 19).

როგორც ვხედავთ, საერთო მაჩვენებლებით უპირატესობა ხან ერთ შრიფტს აქვს, ხან მეორეს, ხან მესამეს.

მეტწილად პირველობა „ახალ“ შრიფტს აქვს, შემდეგ—„ხომლს“ და „მკაფიოს“ და, ბოლოს, მესამე— და უფრო ხშირად—მეოთხე ადგილი „ი. გოგებაშვილის“ შრიფტს; მაგრამ ასოთა ჩამატების ნიშნუშების დეტალური განხილვა არ გვანდევს შრიფტის ფორმის თავისებურებებით გამოწვეულ შეცდომებს, რის გამოც შრიფტის ფორმის უპირატესობის დასადგენად ვერც ამ სახის შეცდომებს დავეყრდნობით.

შეცდომათა მესამე სახეა მიწოდებულ ასოთა ჯგუფებიდან ასოების გამოტოვება. არსებობს ასოს გამოტოვების რამდენიმე სახე: 1) როცა ცპ-ი ასოს ტოვებს შეუმჩნეველად; 2) ანჩნევს, რომ გამოტოვა, მაგრამ რა გამოტოვა, არ იცის. ცპ-ი აშშ-ის: ჰე და რალაცაა. ანდა: ამჩნევს ასოთა რაოდენობას და რომელიმე ორ ასოს ამოიკითხავს; მაგალითად, ცპ-ი ანბობს: პირველი ორი ასო გავარჩიე, ორი არ ვიცირა იყო; ანდა: შუა ორი დავინახე, ბოლო რა იყო—არ ვიცი და ა. შ. ასეთი შემთხვევები დიდი რაოდენობითაა მოცემული 12-კეგელიანი შრიფტების კითხვის დროს, 24-კეგელიანში შედარებით ნაკლებია.

12-კეგელიანი შრიფტების დროს ასოთა გამოტოვების ყველაზე ნაკლები რაოდენობა პირველკლასელებთან „ახლის“ კითხვით არის მოცემული, შედარებით მეტი — „ი. გოგებაშვილით“, უფრო მეტი—„მკაფიოთი“ და ყველაზე მეტი—„ხომლით“.

მეორეკლასელებთან—ყველაზე ნაკლებია „ხომლით“, ცოტა მეტი—„ი. გოგებაშვილით“, კიდევ მეტი „ახლითა“ და ყველაზე მეტი—„მკაფიო გარნიტურის“ კითხვისას;

გაწათფულ მკითხველებთან—ყველაზე ნაკლებია „ახლით“, შედარებით—„მკაფიოთი“, ცოტა უფრო მეტი—„ი. გოგებაშვილითა“ და ყველაზე მეტი „ხომლით“ კითხვისას.

24-კეგელიანი შრიფტებით კითხვის დროს ასოთა ჩამატების შეცდომები პირველკლასელებთან ყველაზე ნაკლებია „ახალი“ შრიფტით კითხვისას, ცოტა უფრო მეტი—„ი. გოგებაშვილით“, კიდევ უფრო მეტი—„მკაფიო გარნიტურით“ და ყველაზე მეტი—„ხომლით“;

მეორეკლასელებთან—ყველაზე ცოტაა „ახლით“, ცოტა მეტი—„ხომლით“, შემდეგ—„ი.გოგებაშვილითა“ და ყველაზე მეტი—„მკაფიო გარნიტურით“.

გაწაფულ მკითხველებთან—ყველაზე ცოტა „მკაფიო გარნიტურით“, ცოტა მეტი—„ახლით“, შემდეგ „ხომლითა“ და ყველაზე მეტი „ი. გოგებაშვილით“ (იხ. ცხრილი 19).

ცხრილი 19

ტაქსიტოკოპით წაკითხულ მასალაში გამოვლენილ შეცდომათა სახეების რიცხოვრები მჩვენებლები

შრიფტები 24-კვადრი	კლასიკები	შეცდომათა სახეები					სწორია
		ასოთა შეცე- ლა	ჩამა- ტება	გამო- ტოვე- ბა	გაახ- რინე- ბა	ჯამი	
ახალი გოგებაშვილი	I კლასი	149	66	152	—	367	822
მკაფიო	I კლასი	219	82	184	—	485	715
ხომლი	I კლასი	164	94	190	3	451	761
	I კლასი	151	77	200	1	429	784
ახალი გოგებაშვილი	II კლასი	137	53	72	—	252	1019
მკაფიო	II კლასი	199	75	88	—	372	813
ხომლი	II კლასი	131	72	106	—	319	801
	II კლასი	160	71	77	—	308	873
ახალი გოგებაშვილი	გაწაფ. მკითხვ.	51	13	28	—	92	1029
მკაფიო	გაწაფ. მკითხვ.	85	31	40	—	156	967
ხომლი	გაწაფ. მკითხვ.	52	18	27	—	97	1006
	გაწაფ. მკითხვ.	64	11	34	—	109	1023

არც ამ სახის შეცდომებია შრიფტის ფორმის თავისებურებით გამოწვეული, რადგან ერთ რომელიმე ჯგუფში კი არ გამოიტოვება გარკვეული ასოები და მეორე ჯგუფში—სხვა, არამედ ოთხივე შრიფტში გვხვდება ყველანაირი ასოების, გრაფიკულად მსგავსისა და არა მსგავსის, გამოტოვება. მისი გამომწვევი მიზეზები შრიფტების ფორმაში კი არა, სხვაგან უნდა ვეძებოთ.

შეცდომების მეოთხე სახეა ასოთა ჯგუფის გააზრიანება. იგი მხოლოდ პირველ-მეორეკლასელებთან შეგვხვდა და ისიც მეტად მცირე რაოდენობით.

გააზრიანების შემდეგი მაგალითები გვაქვს: ცხ-ს წასაკითხად ჰქონდა ჩწტვ, ბავშვმა წაიკითხა ჩიტო. სიტყვის მთლიანმა კონფიგურაციამ, რომელიც იყო ცენტრირებული ორი ასოთი—ჩ და ტ-თი—განსაზღვრა მისთვის საინტერესო საგნის სახელის წარმო-



თქმა; დანარჩენი ასოები ნ და გ ასიმილირებული იქნა სიტყვა ჩიტის ხატის მიერ. სხვა შემთხვევაშიც ცპ-ი ბცლთ-ს კითხულობს ბალი, ღმუჟ-ს—ღღე და ა. შ.

ასეთი შეცდომები 12-კეგელიანი შრიფტების კითხვის დროს პირველკლასელებთან „ი. გოგებაშვილით“ და „მკაფიო“ გარნიტურით გვაქვს თითო-თითო შემთხვევაში, „ხომლით“—სამი, „ახლით“—არც ერთი;

მეორეკლასელებთან—„ახალში“—ორი, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტში—ოთხი, „მკაფიოსა“ და „ხომლში“—არც ერთი;

გაწაფულ მკითხველებთან—ასეთი შეცდომის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს;

24-კეგელიანი შრიფტების კითხვაში პირველკლასელებთან—„მკაფიო გარნიტურის“ შრიფტით კითხვისას გვქონდა სამი შემთხვევა „ხომლით“—ერთი, „ახალსა“ და „ი. გოგებაშვილის“ შრიფტში—არც ერთი.

მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან—არც ერთი.

ასეთია შეცდომათა ის სახეები, რომლებიც ტაქისტოსკოპის მოკლე ექსპოზიციით მიწოდებული მასალის კითხვისას შეგვხვდა. მართალია, აღნიშნული შეცდომების სახეების დაწვრილებითი განხილვა ნათელ სურათს არ ქმნის რომელიმე შრიფტის ფორმის უპირატესობის დასადგენად, მაგრამ მათი რიცხობრივი მონაცემების მკვეთრი სხვაობა რომელიმე მათგანის ადვილსაკითხაობის რალაც მაჩვენებელი უნდა იყოს. მისი დახმარებით საშუალება გვაქვს დავადგინოთ, რომ, კითხვადობის თვალსაზრისით, „ახალი“, „მკაფიო გარნიტურა“ და „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტი მეტნაკლები უპირატესობით თითქმის ერთ სიბრტყეში დგას; „ი. გოგებაშვილის“ შრიფტმა კი, მათთან შედარებით, დაბალი მაჩვენებლები მოგვცა.

ცდის შედეგებში შეცდომების გარდა, სწორად წაკითხული მასალაც გვაქვს. 12-კეგელიანი შრიფტებში სწორად წაკითხული ასოების საერთო რაოდენობა ასეთია: ყველაზე მეტია: პირველკლასელებთან, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან „ახალი“ შრიფტით კითხვის დროს (იხ. ცხრილი 20); შედარებით ნაკლებია: პირველკლასელებთან—„მკაფიო გარნიტურით“ და მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან—„ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტით კითხვისას; კიდევ უფრო ნაკლებია: პირველკლასელებთან „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით, მეორეკლასელებსა და გა-



წაფულ მკითხველებთან — „მკაფიო გარნიტურით“ და ყველაზე ნაკლები — პირველკლასელებთან — „ხომლით“, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვისას.

24-კეგელიანი შრიფტებით კითხვისას სწორად წაკითხული ასოების რაოდენობა პირველ-მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთანაც ყველაზე მეტია „ახალი“ შრიფტით კითხვისას; შედარებით ნაკლებია — პირველკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „ხომლით“, მეორეკლასელებთან — „მკაფიო გარნიტურით“. კიდევ უფრო ნაკლებია პირველკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „მკაფიო გარნიტურით“, მეორეკლასელებთან — „ხომლით“. ბოლოს, ყველაზე ნაკლებია პირველკლასელებთან, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთანაც „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით კითხვაში (იხ. ცხრილი 21).

სწორად წაკითხვის რიცხობრივი მონაცემებით (ორივე ზომაში) პირველი ადგილი დაიკავა ახალმა შრიფტმა. 12-კეგელიანში ბოლო ადგილი — პირველკლასელებთან — „ხომლით“, მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან — „ი. გოგებაშვილმა“. 24-კეგელიანში — სამივე კლასის პირველთან — „ი. გოგებაშვილმა“; საშუალო ადგილი უჭირავს (ორივე ზომაში) „მკაფიო გარნიტურს“.

მაგრამ ხომ შეიძლება რიცხობრივი მაჩვენებლები რომელიმე შრიფტში გაზრდილი იყოს ორი ან სამი მკაფიოდ მოცემული ასოს სწორად წაკითხვის ხარჯზე; ე. ი. შესაძლებელია რომელიმე შრიფტში რომელიღაც ასოები მუდამ სწორად იკითხებოდეს მათი სხვა ასოებისაგან განსხვავებული მოყვანილობის, ფორმის მეტად მკაფიო გამოკვეთილობისა, თუ რომელიმე ნაწილის მკვეთრად გამოჩხერილობის გამო, ხოლო დანარჩენი ასოების კითხვადობა სხვა ასოების კითხვადობას უთანაბრდებოდეს. ამიტომ, სათითაოდ დავთვალეთ თითოეულ შრიფტში სწორად წაკითხული ასოების რაოდენობა და ისინი შევადარეთ ერთმეორეს. ვნახეთ — თითოეული ასო სწორად რამდენჯერ წაკითხეს „ახალი“ შრიფტით, რამდენჯერ — „ი. გოგებაშვილით“, რამდენჯერ — „ხომლით“ და რამდენჯერ — „მკაფიო გარნიტურით“, დასახელებული შრიფტების ორივე ზომით (12 და 24-კეგელით).

ასეთმა გამოანგარიშებამ და ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ წაკითხული ასოები შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ჯგუფად:

I. ასოები, რომლებიც ერთ შრიფტში უფრო მეტჯერ არის სწორად წაკითხული, ვიდრე მეორე, მესამე ან მეოთხე შრიფტში;

II. ასოები, რომლებიც ოთხივე შრიფტში სწორად წაკითხეს თითქმის თანაბარი რაოდენობით;

## სტრილი 21

სწორად წაკითხული ასოების რიცხობრივი მაჩვენებლები 24-კვადრიანი შრიფტებით კოსტას დროს

შრიფტი	კ	ჩ	წ	ბ	ვ	დ	მ	ე	შ	კ	ჯ	ჟ	უ	ხ	ბ	ც	ძ	ც	ძ	თ	კ	ძ	ყ	რ	ლ	ხ	ბ	ქ	ს	ა	ნ	კ	ჯ	გამი
ახალი	I კლ.	38	39	31	16	40	38	18	21	35	32	31	14	34	15	20	34	17	31	30	40	30	36	12	39	30	31	31	31	31	31	31	822	
გოგებაშვილი	"	27	34	32	8	40	32	3	23	38	28	22	10	40	31	10	14	37	9	13	23	38	34	15	36	29	25	30	25	30	25	30	715	
მკაფიო	"	34	34	34	8	38	38	19	19	39	31	27	10	37	31	9	23	24	12	19	26	38	32	37	11	38	29	30	34	30	34	30	761	
ბომლი	"	34	32	35	32	35	34	17	21	38	30	23	11	36	35	11	15	32	15	26	21	40	28	36	21	39	32	30	31	32	30	31	790	
ახალი	II კლ.	38	39	39	21	39	38	31	25	36	36	28	24	39	35	15	22	32	28	37	30	40	36	38	29	38	36	32	38	32	38	32	919	
გოგებაშვილი	"	34	35	34	21	39	38	11	31	39	35	24	13	39	37	14	23	29	10	11	33	26	37	35	29	40	30	33	39	33	39	819		
მკაფიო	"	34	37	36	18	40	40	27	26	39	35	32	24	39	33	16	27	30	21	29	30	40	37	39	31	40	33	39	39	39	39	911		
ბომლი	"	37	34	32	17	40	37	23	25	40	33	28	25	35	38	9	21	29	23	29	27	36	34	37	32	40	32	39	39	39	873			
ახალი	გაწ.	39	39	38	30	40	40	33	21	40	38	40	10	40	40	24	37	38	36	36	38	38	37	37	38	40	40	40	40	40	40	1037		
გოგებაშვილი	მკითხ.	39	39	34	29	39	39	29	15	39	36	35	27	38	38	25	37	36	37	32	37	37	38	36	36	39	33	31	39	31	39	971		
მკაფიო	"	37	36	39	30	39	38	33	37	39	37	39	37	39	38	23	37	33	27	35	35	37	38	37	37	37	37	37	38	37	38	1006		
ბომლი	"	38	38	39	27	40	40	36	21	40	39	39	37	39	40	24	39	36	26	36	34	40	36	39	39	39	40	39	40	39	40	1023		

III. ასოები, რომლებიც ოთხივე შრიფტში ყველაზე ნაკლები რაოდენობით წაიკითხეს.

ამ მაჩვენებლების ურთიერთშედარება მოცემულია ცხრილებში 20 და 21.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სწორად წაკითხულ ასოთა დაჯგუფება, და იმიტომაც, რომ ჩვენს მიზანს შრიფტის ისეთი ფორმის მონახვა შეადგენს, რომელიც მომქმედ „დედა ენაში“ გამოყენებული შრიფტის ნიმუშებზე უფრო მარტივი, მკაფიო, ცხადი და ადვილსაკითხავი უნდა იყოს და შეცდომებით წაკითხვის ნაკლებ მიზეზებს იძლეოდეს,—ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ მხოლოდ „ი. გოგებაშვილისა“ და „ახალი“ შრიფტით კითხვაში მოცემული სწორად წაკითხული ასოების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

პირველკლასელებმა—12-კეგელიანი „ახალი“ შრიფტით, „გოგებაშვილის“ შრიფტთან შედარებით, უფრო მეტჯერ სწორად წაიკითხეს შემდეგი ასოები: ჩ, ვ, დ, მ, უ, ფ, შ, ხ, ც, ლ, თ, პ, ძ, ყ, რ, ლ, ზ, ქ, კ, ნ, სულ—20 ასო.

„ახალ“ შრიფტში „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის სწორად წაკითხული ასოების თანაბრად წაიკითხეს შემდეგი ასოები: ტ, ბ, გ, ხ და ჭ, სულ 5 ასო; „ი. გოგებაშვილის“ შრიფტში სწორად წაკითხულ ასოებზე ნაკლებჯერ შემდეგი ასოები: ჰ და ჯ—ასო.

მეორეკლასელებმა—„ი. გოგებაშვილის“ შრიფტთან შედარებით, „ახალი“ შრიფტით უფრო მეტჯერ წაიკითხეს სწორად შემდეგი ასოები: ჩ, წ, ვ, დ, მ, უ, ფ, შ, ხ, ც, ლ, ძ, ყ, ლ, გ, ქ, ხ, კ, ნ, და ზ (სულ 19 ასო);

თანაბარი სიხშირით წაიკითხეს—წ, ტ, ბ, თ, პ, რ, ზ (სულ 7 ასო), ნაკლები სიხშირით—ჰ და ჯ (2 ასო).

გაწაფულმა მკითხველებმა—„ი. გოგებაშვილით“ წაკითხულთან შედარებით უფრო მეტჯერ წაიკითხეს სწორად ასოები: ჩ, ვ, დ, მ, უ, შ, ხ, ც, ლ, თ, ძ, ყ, რ, ს, კ, ნ (სულ 16 ასო); თანაბრად: ნ, ტ, ჰ, ფ, ლ, გ, ზ, ქ (სულ 8 ასო); ხოლო ნაკლებჯერ—ჯ, ბ, ჰ, ჭ (4 ასო).

იგივე მასალის 24-კეგელიანი „ახალი“ შრიფტით კითხვისას პირველკლასელებმა, „გოგებაშვილის“ შრიფტთან შედარებით, უფრო მეტჯერ სწორად წაიკითხეს ასოები: ჩ, წ, ვ, მ, უ, ფ, შ, ხ, ც, ლ, თ, პ, ძ, ყ, რ, ლ, ზ, ს, ნ (სულ 19 ასო); ი. გოგებაშვილის ასოების თანაბრად: ტ, ლ, ბ, პ, ჭ (5 ასო), ხოლო ი. გოგებაშვილის ასოებზე ნაკლები სიხშირით: ჰ, ჯ, გ, ქ (4 ასო).

მეორეკლასელებმა—„ი. გოგებაშვილის“ შრიფტით სწორად წაკითხულ ასოებზე მეტი სიხშირით წაიკითხეს ასოები: ჩ, წ, ტ, უ, შ, ხ, პ, ძ, ყ, ლ, ზ, კ, ჭ (13 ასო). თანაბარი: ვ, ღ, მ, თ, ფ, ბ, ყ, გ, ქ, ნ (10 ასო), ნაკლები სიხშირით: ჰ, ჯ, ს, რ, ც (სულ 5 ასო).

გაწაფულმა მკითხველებმა ახალი შრიფტით, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტთან შედარებით, მეტი სიხშირით სწორად წაიკითხეს ასოები: ტ, ღ, მ, უ, ჰ, ფ, შ, ხ, ბ, ც, პ, ყ, ჯ, ს, კ, ნ, ჭ (18 ასო), თანაბრად: ჩ, წ, ვ, ღ, თ, ძ, რ, ლ, გ, ზ (10 ასო); ნაკლებჯერ არც ერთი ასო არ წაუკითხავთ.

ახალი შრიფტითა და „ი. გოგებაშვილის“ შრიფტით სწორად წაკითხული ასოების ურთიერთშედარებამ დაგვანახა, რომ „ახალ“ შრიფტში ნათლად გამოიკვეთა ასოების ერთი ჯგუფი (საკმაოდ დიდი ჯგუფი), რომელიც თავისი ფორმის სიმარტივით, ხაზების ურთიერთშეთანხმებით, მათი მკაფიო და ცხადი მოცემულობის თუ სხვა დამატებითი ფაქტორების გამო გარკვევით უკეთესად იკითხება, ვიდრე „ი. გოგებაშვილში“ მოცემული იგივე ასოები. „ახალ“ შრიფტში გამოიყო, აგრეთვე, შედარებით მცირე ჯგუფი, რომლის ასოებიც „ი. გოგებაშვილის“ იმავე ასოების თანაბრად იკითხება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს ასოები თავიანთი ფორმის სიმკვეთრით, როგორც ჩანს, დაახლოებით თანაბარი სიციხადისა და გამოკვეთილობის არიან. და, ბოლოს, „ახალ“ შრიფტში გვაქვს ასოთა მეტად მცირე ჯგუფი, რომელიც, მეტწილად „ი. გოგებაშვილის“ იმავე ასოებზე ნაკლებჯერ იკითხება სწორად; ეს ასოებია: 12-კეგელიანი შრიფტის კითხვაში: პირველკლასელებთან—წ, ჰ, ჯ, მეორეკლასელებთან—მხოლოდ ჰ და ჯ, გაწაფულ მკითხველებთან—ჯ, ბ, პ, ჭ; 24-კეგელიანი შრიფტებში; პირველკლასელებთან—„ი. გოგებაშვილის“ შრიფტზე ნაკლებჯერ წაიკითხეს—ჰ, ჯ, გ, ქ—4 ასო; მეორეკლასელებმა—ჰ, ჯ, ც, რ, ს—5 ასო, გაწაფულმა მკითხველებმა—არც ერთი.

აღსანიშნავია, რომ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის წ აგებულია სწორ ხაზთან შეერთებული ქვედახაზის სამკუთხედით, ზემოხაზის ორი კბილითა და კბილთაშუა სამკუთხედით; ახალი შრიფტის წ აგებულია სწორი ხაზისა და რკალებისაგან, მას არა აქვს არც ქვედა ხაზისა და არც კბილთაშუა სამკუთხედი. ამას გარდა, ხაზების სიმსოც მკვეთრად განსხვავდება „ახალი“ შრიფტის წ-ს ხაზების თანაფარდობისაგან. სავარაუდოა, რომ ბავშვისაგან „ი. გოგებაშვილის“ წ უფრო ხშირად სწორად და სწრაფად შეინიშნება, ვიდრე

„ახალი“ შრიფტის წ, რადგან „გოგებაშვილის“ წ-ს ხაზქვევითა დიდი სამკუთხედი და კბილთაშუა სამკუთხედი, აგრეთვე ხაზების მკვეთრი სხვადასხვაობაც უფრო ცხად და მკაფიო ანაბეჭდს ქმნის; მაგრამ, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წ-ს მეორე ფორმასაც ეცნობიან, პირველკლასელებთან გვხვდება წ-ს შ-თი შეცვლა. წერის დედანში მოცემულია სხვა ფორმის წ, უფრო სადა, კბილის სამკუთხედის გარეშე, მრგვალი მუკლითა და თხელი ხაზებით, რადგან ისეთი ფორმის წ, როგორც „ი. გოგებაშვილის“ შრიფტშია, წერა-კითხვის ახლად დამწყებისათვის საწერად ძნელი და მოუხერხებელია, ამასთან იგი თავისი ფორმით შებრუნებულ შ-ს წარმოადგენს.

ახალი შრიფტის წ-ს ფორმის შერჩევისას ჩვენ მხედველობაში გვქონდა საწერა და საკითხავა ნიშნების ერთიანობის პრინციპი. ამიტომ წ-ს ხაზქვევითა სამკუთხედი შევცვალეთ რკალით, კბილებს სამკუთხედი მოვაციღეთ და ხაზების ურთაერთშეთანხმებაც წერის დროს ხელის დანაკერების ადგილზე გამსხვილებული და კალმის მსუბუქი მოძრაობით მიღებული წმინდა ხაზების თანაფარდობას დავეუქვემდებარეთ.

პირველკლასელებისათვის, როგორც ჩანს, წ-ს ნაწილების მომრგვალებამ, მათთვის უცხო ფორმის მიწოდებამ კითხვადობაზე რამდენადმე უარყოფითი გავლენა იქონია; მეორეკლასელებსა და გაწაფულ მკითხველებთან ახალი შრიფტის წ „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის თანაბრად კითხვის ჯგუფში გადადის, რადგან არც გაწაფული მკითხველებისა და არც მეორეკლასელებისათვის წ-ს მრგვალი მოყვანილობა უცხო აღარ არის. ამას გარდა, 24-კეგელიანი შრიფტით კითხვაში პირველ და მეორეკლასელებთან „ახალი“ შრიფტის წ უკეთესად წაკითხული ასოების ჯგუფში მოექცა, გაწაფულ მკითხველებთან — თანაბრად კითხვის ჯგუფში.

მაშასადამე, სასწავლო-საანბანო განყოფილებაში გამოყენებული შრიფტის 24-კეგელიანი წ-ს ახალი ფორმა უკეთესად წაკითხულ ასოთა ჯგუფში გადავიდა, რაც უფლებას გვაძლევს უარი არ ვთქვათ წ-ს ახალი ფორმის მიღებაზე. ამასთან ერთად, მისი მოყვანილობა უფრო შეეუერება ქართულ ასოთა აგების პრინციპებს (ქართული ასო იგება სწორი ხაზით, რკალით, რგოლითა და ალმაცერი ხაზით); გამოყენებული რკალებით თავიდან ვიცილებთ „გოგებაშვილის“ შრიფტის წ-ში არსებულ კუთხოვანობას, რითაც ვიცავთ საწერ-საკითხავი ნიმუშების ერთიანობას: ბავშვი წიგნში ისეთივე მოყვანილობის წ-ს დაინახავს, როგორ მოყვანილობისასაც დასწერს.

ჩვენ ხაზზემთა წ-ს ფორმაზეც (რომელიც წერის დედანშია ნოცემული) უარს ვამბობთ, რადგან ამგვარი წ შებრუნებულ შ-ს წარმოადგენს. პირველკლასელთა ნაწერების გაცნობამ კი გვიჩვენა, რომ შეცდომების უმრავლესობა ასოთა საერთო მსგავსების და სივრცითი ორიენტაციის მხედველობაში მიუღებლობით არის გამოწვეული. წ-ს ამგვარი მოხაზულობა ბავშვს, უნთავრესად, შეცდომებისაკენ უბიძგებს და არა ასოთა გარჩევისა და გამოკვეთისკენ.

იგივე შეიძლება ვთქვათ „ახალი“ შრიფტის ჯგ, ჰ-სა და სხვა ნაკლებჯერ სწორად წაკითხულ ასოებზე. ეს ასოებიც „ახალ“ შრიფტში საწერო ნიმუშების მოყვანილობას დაეუახლოვეთ. თუ კითხვადობაში ისინი „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის იმავე ასოებს ვერ უთანაბრდებიან, სამაგიეროდ, საწერ ნიშნებადაც ასეთივე ფორმა გამოიყენება და ბავშვებს ორმაგი ნიშნების შესწავლა აღარ დასჭირდებათ: თვალთ დანახულს ხელითაც მოხაზავს და დასწავლაც გაუადვილებათ.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოებულმა შრიფტების ექსპერიმენტულმა კვლევამ ნათლად გვიჩვენა „ახალი“ შრიფტის ფორმის უპირატესობა სხვა დანარჩენ („დედა ენის გარნიტურის“ „ი. გოგებაშვილის“, „ჩვეულებრივი“ გარნიტურის — „ხომლი“ ანუ „ციცერო“ და „მკაფიო გარნიტურის“) შრიფტებთან შედარებით.

ამასვე გვიდასტურებს გაწაფულ მკითხველთა დაკვირვების მონაცემებიც. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ჩვეულებრივად წიგნის აწყობილ გვერდებში, თუ ისინი ძნელად გასარჩევი ან შეტისმეტად მყვირალა ასოებით არ არის აწყობილი, მკითხველებს შრიფტის ფორმა გაცნობიერებული არა აქვთ, ვინაიდან მათი ყურადღება მთლიანად შინაარსისაკენ არის მიმართული; ასეც რომ არ იყოს, მკითხველთა უმრავლესობა შრიფტების ფორმებს არ იცნობს და მათი სხვადასხვაობაც უყურადღებოდ რჩებათ. ჩვენს ცდებშიც ცპ-ბის ძირითად ამოცანას მხოლოდ ასოს სწორად და სწრაფად ამოკითხვა შეადგენს, რადგანაც ისინი შრიფტების უცოდინარობის გამო ნაკლებად ახერხებენ შრიფტების ფორმის სხვადასხვანაირობის შემჩნევას. ამის გამო ცპ-ის სუბიექტური მონაცემები შრიფტების ფორმების სხვადასხვაობის შესახებ მეტად მცირე რაოდენობით მოგვეპოვება; მაგრამ რაც არის, ისიც „ახალი“ შრიფტის ფორმის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაგალითად, ცპ-ი № 7, 12-კეგელიანი „ახალი“ შრიფტის მიწოდებისას, გვეუბნება: „თითქოს ამას უფრო გარკვევით ვხედავთ, უფრო სწრაფად ვკით-



ხულობ“ ცპ-ი № 33: „აქ ცალკე ასოები შეძლევა“. მკაფიო გარ-  
ნიტურის შესახებ ამბობს: „თითქოს შერწყმულია ასოები, ერთმა-  
ნეთს ვერ ვაცილებ“, ხოლო „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის შესახებ  
აღნიშნავს: „ესენი ერთმანეთზე მიტყუპული მეჩვენება“.

რადგან შრიფტის ამა თუ იმ ფორმის სასარგებლოდ სუბი-  
ექტური მონაცემები საკმაო რაოდენობით არ გვქონდა, ჩვენ გადა-  
ვწყვიტეთ—საგანგებოდ შეგვემოწმებინა არსებული დედა ენის შრიფ-  
ტისა და „ახალი“ შრიფტის პროექტის ფორმიდან რომელს უფრო  
მეტ უპირატესობას მიანიჭებდნენ მკითხველები და რა პრინციპე-  
ბით იხელმძღვანელებდნენ ამ არჩევანში.

ამ მიზნით ცალ-ცალკე ბარათებზე დავაწებეთ ორივე შრიფ-  
ტის ერთი და იგივე ასოები—ახალი ა და გოგებაშვილის ა, ახალი  
ბ და გოგებაშვილის ბ, ახალი გ და გოგებაშვილის გ და ა. შ.  
ანბანის ყველა ასო.

ცპ-ბს ინდივიდუალურად ვაწვდიდით აღნიშნულ ბარათებს და  
ვთხოვდით მიეთითებინათ, რომელი ასო ურჩევნიათ წასაკითხად.  
ცდები ჩავატარეთ 100 პირველკლასელ მოსწავლესა და 100 ზრდა-  
დასრულებულ გაწაფულ მკითხველზე.

ცდის შედეგებმა გვიჩვენა (იხ. ცხრილი 22), რომ პირველმა  
კლასელებმა—100-დან ასივემ, დიდი განსხვავებით. უპირატესობა  
მიანიჭა „ახალი“ შრიფტის ფორმას, რომელიც თავისი სადა მოხა-  
ზულობით ახლოს დგას მათ საწერ ნიმუშებთან და ნაცნობ ფორ-  
მად განიცდება.

როცა ვეკითხებოდით, რათ აირჩიეთ ეს ა, ეს ბ და ა. შ., ბავშვე-  
ბის უმეტესობა გვპასუხობდნენ: „ასე ვწერთ“, „ეს უფრო ლამაზია“,  
„ამას წერილი ხაზები აქვს და ეს მსხვილია“. რა თქმა უნდა, ბავ-  
შვების ამგვარი ინტერპრეტაცია არჩეული ასოს ფორმის შესახებ  
გადაკრილ პასუხს არ იძლევა, მაგრამ ფაქტია, რომ მათ სადა და  
მარტივი მოყვანილობის ასოების კითხვა უფრო ურჩევნიათ, ვიდრე  
მათთვის ჩვეული, ნასწავლი, განმტკიცებული და სამკაულებით შე-  
ლამაზებული ასოების.

ცოტა სხვაგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ზრდადას-  
რულებულ მკითხველებთან, თუმცა ისინიც უპირატესობას უმთავ-  
რესად „ახალი“ შრიფტის ფორმას აძლევენ (იხ. ცხრილი 22).

გაწაფული მკითხველი შრიფტის ფორმას მრავალი ურთიერთ-  
საპირისპირო პრინციპის მიხედვით ირჩევს. პირველკლასელები მი-  
წოდებული ნიმუშებიდან მეტწილად სიმარტივე-სისადავის პრინცი-  
პით ირჩევენ, გაწაფული მკითხველები—ხან ერთ ფორმას ირჩევენ,

შრიფტის მოხაზულობის უპირატესობის მაჩვენებლები

I კლასელები (100)		გაწაფული მკითხველები (100)			
		მ ო ს წ ო ნ თ			
გოგებაშვილი	ახალი	გოგებაშვილი	ახალი	ორივე ერთად	არც ერთი
4	96	7	91	1	3
6	94	21	81	2	—
19	81	61	39	1	1
3	97	11	90	1	—
10	90	44	49	2	9
7	93	25	73	1	3
14	86	45	50	2	7
8	92	34	65	1	3
10	90	20	74	—	6
15	85	47	52	1	2
12	88	37	65	2	—
12	88	69	31	—	—
9	91	35	67	3	1
3	97	13	84	3	6
8	92	28	68	—	4
3	97	18	85	4	1
3	97	37	67	4	—
—	100	15	84	—	1
8	92	22	78	1	1
11	89	51	50	2	1
4	96	27	61	3	15
8	92	33	58	—	9
10	90	27	75	3	1
3	97	12	86	—	2
6	91	46	55	5	4
8	92	4	94	1	3
10	90	24	82	6	—
8	92	5	96	1	—
11	89	4	95	5	1
15	85	24	78	5	3
9	91	12	89	2	1
23	77	47	58	3	8
13	87	43	61	4	—

ხან მეორეს, ხან ორივეს იწონებენ ან იწუნებენ (სხვადასხვა თვალსაზრისით).

ასოს არჩევანში ისინი ერთდროულად მხედველობაში იღებენ რამდენიმე პრინციპს: ასოთა სისადავესა და სილამაზეს, პროპორციულობასა და დეკორატიულობას, წერისთვის ვარგისიანობას ან ჩვევას და მასთან დაკავშირებულ წარსულ შთაბეჭდილებებს.

ხშირად, ცპ-რი „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ფორმას ირჩევს, მაგრამ ამავე დროს იძლევა „ახალი“ შრიფტის დახასიათებას: „ეს

უფრო სადაა, საწერადაც უკეთესია, მე თვითონაც ასე ვწერ, მაგრამ მე ამ ასოებით მისწავლია და ეს უფრო მომწონსო“, „სილამაზით ეს (ი. გოგებაშვილი) მირჩევნია, სისადავით—ეს (ახალი) ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ეს ფორმა (ახალი) სჯობია სასწავლათ, სილამაზით—ძველი (ი. გოგებაშვილი) მირჩევნია“.

როგორც ვხედავთ, „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის ფორმის არჩევისას მხოლოდ მისი მოხაზულობით ანუ ფორმით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ სხვა დამატებითი ფაქტორებითაც, რომლითაც წარსული შთაბეჭდილებების შეფასებას უფრო იძლევიან, ვიდრე ფორმისას.

ამრიგად, ჩვენს ექსპერიმენტებში ობიექტური და სუბიექტური მონაცემებითაც უმთავრესად უპირატესობა მიენიჭა „ახალი“ შრიფტის ფორმას, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასწავლო-საანბანო წიგნში გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტის ის ფორმა, რომელიც უფრო სწრაფად და მკაფიოდ აღიქმება, ადვილად იწერება და კითხვის დროს ასოთა ურთიერთშერევის შეცდომებიც ნაკლებად იქნება მოსალოდნელი, ამავე დროს ერთნაირი ფორმა ექნება საწერსა და საკითხავ შრიფტს.

## შ ა რ კ ა ნ ა

1. ამ შრომაში მიზნად დავისახეთ გაგვერკვია, რა ნიშანდობლივი თავისებურებით ხასიათდება ქართული შრიფტი, კერძოდ, ქართული საანბანო წიგნის „დღეა ენის“ შრიფტი; რა გავლენას ახდენს კითხვის სისწორე-სისწრაფეზე მისი მოხაზულობის თავისებურება; რამდენად აკმაყოფილებს საანბანო შრიფტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს; შეესატყვისება თუ არა წერა-კითხვის ახლად დამწყებ ბავშვთა (პირველკლასელთა) ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებს; არის თუ არა იგი ქართულ სასტამბო შრიფტებში არსებულ შრიფტებზე უფრო ადვილსაკითხავი და, ბოლოს, მოგვეძებნა ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც საშუალება გვექნებოდა საგანგებოდ შეგვერჩია და შეგვედგინა საანბანო შრიფტის ისეთი ფორმა, რომელიც, შეცლებისდაგვარად, უფრო მეტად დააკმაყოფილებდა მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს თავისი სადა, მკაფიო, გარკვეული ინდივიდუალური მოხაზულობითა და ადვილსაკითხაობით, აგრეთვე, არსებული შრიფტებისაგან განსხვავებით, მოგვეძებნა საწერ ნიმუშადაც გამოსადეგი შრიფტის ფორმა, რომელიც დაიცავდა წერა-კითხვისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელ-

საყრელ პრინციპს—საწერ-საკითხავი ნიშნების ერთიანობას: როგორ ასოებსაც წიგნში ვკითხულობთ, ისეთივე მოხაზულობით ვწეროთ. ყოველივე ამისთვის საჭირო გახდა ქართული ასოებისა და საანბანო შრიფტის თავისებურებების, წერა-კითხვის სწავლებისათვის მათი ღირსება-ნაკლოვანებების საგანგებო შესწავლა.

2. ქართულ ასოთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ:

ა) ქართული ასოებისა და შრიფტის სპეციფიკური ნიშანია მრავალფეროვნება, ინდივიდუალობა, ასოთა ტოლმეტრობა, სიმრგვალე და ვერტიკალობა, რომელიც ასოთა შემჩნევის, გამოყოფის, სხვა ასოსთან შედარების და განსხვავების ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს;

ბ) მეორე სპეციფიკურია ნიშანი და წერა-კითხვის ხელშემწყობი პირობაა საკითხავი ნიშნების ერთმნიშვნელოვანება: ერთი ბგერა—ერთი გამომსახველი ნიშანი;

გ) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ბექდურისა და ხელთნაწერი ნიშნების ერთგვარობა: სასტამბო შრიფტებში რამდენადმე იმავე მოყვანილობის ასოებია ჩამოსხმული, როგორი მოხაზულობაც ხელთნაწერ ასოებს აქვს, რაც, სხვა აღფაბეტებისგან განსხვავებით, კითხვის ხელშემწყობ პირობას ქმნის;

დ) მაგრამ იგივე თავისებურებები (მრავალფეროვნება, ინდივიდუალობა, ტოლმეტრობა და სხვა) სწავლების დასაწყის საფეხურზე ქართული ასოების მოხაზულობის შეთვისებისა და წერისათვის ხელშემშლელ ფაქტორებად გვევლინება.

3. საანბანო წიგნის შრიფტს, სხვა შრიფტებისგან განსხვავებით, მოეთხოვება: სიმარტივე, სიმკვეთრე, მკაფიობა, სისადავე (ზედმეტი ორნამენტული ნაწილებისგან, სამკაულებისგან თავისუფალი მოხაზულობა), ასოთა ინდივიდუალობა (მასში დაუშვებელია ასოთა მკვეთრი ურთიერთმსგავსება), ასოთა შემადგენელი ხაზების შეთანხმება უკონტრასტოდ, სათანადო სიდიდით, ამასთან ერთად არ უნდა ჰქონდეს უშნო, ულაზათო გარეგნობა.

4. ქართული საანბანო წიგნი დაბეჭდილია ი. გოგებაშვილის მიერ დაწუნებული „აკადემიური“ შრიფტით კეგელი 24—16, რომელიც ღღეს „ღედა ენის“ გარნიტურის „ი. გოგებაშვილის“ სახელს ატარებს.

ა) აღნიშნული შრიფტი მხოლოდ შერჩეულია სასტამბო სისტემაში არსებული შრიფტებიდან და არა საგანგებოდ შესწავლილი და მის ნიადაგზე შედგენილი;

ბ) „დედა ენის“ შრიფტი ანთიკვას ჯგუფის წარმომადგენელია, რომელიც იგება ორი ურთიერთკონტრასტული (წმინდა ბეწვისებური და მსხვილი) ხაზებისაგან;

გ) სხვა შრიფტებისგან განსხვავებით (ქართულ ასოთა დამახასიათებელი ნაწილების გარდა) მასში უხვად არის მოცემული ასოთა გამალამაზებელი ნაწილები, რომელნიც ნიღბავენ ერთი ასოს მეორე ასოსგან განმასხვავებელ პატარა ნაწილებს და ნაბეჭდსაც აქრელებენ.

5. სპეციალურად შედგენილი მასალებით I—II კლასელებსა და გაწაფულ მკითხველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ გამოავლინა, რომ კითხვის სისწრაფისა და სისწორის თვალსაზრისით სასტამბო სისტემაში არსებული ძირითადი გარნიტურებიდან (დედა ენის გარნიტური, მკაფიო გარნიტური და ჩვეულებრივი გარნიტური) ყველაზე დაბალი მაჩვენებლები საანბანო წიგნში გამოყენებულმა შრიფტის ფორმამ მოგვცა, შედარებით უკეთესი მკაფიო გარნიტურისა და კიდევ უფრო უკეთესი—ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტმა, ე. ი. სასტამბო შრიფტებიდან წასაკითხად ყველაზე არახელსაყრელია „დედა ენის“ გარნიტურის „ი. გოგებაშვილის“ შრიფტი.

ა) საანბანო წიგნის შრიფტის ფორმის დაბალი მაჩვენებლები გამოწვეულია მისი მოხაზულობის სირთულით, მეტისმეტად გადატვირთული სამკაულებით, რომელნიც ხელს უწყობენ მათ ურთიერთმსგავსებას, და ამით აღნიშნულ შრიფტში, ქართული ანბანისთვის დამახასიათებელი მსგავსი ასოების გარდა, იქმნება დამატებით სხვა ასოების მსგავსებაც (მაგ., ძ—შ; უ—ყ და ა. შ);

ბ) „დედა ენის“ გარნიტურის „ი. გოგებაშვილის“ შრიფტის მოხაზულობა საანბანო შრიფტის წინაშე წაყენებული მოთხოვნებიდან, ერთის (სილამაზის) გარდა, არც ერთ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს;

გ) შედარებით უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა ჩვეულებრივი გარნიტურის „ხომლი“ ანუ „ციცერო“ შრიფტის კითხვა. მაგრამ მეტისმეტად განიერი მოხაზულობის, მასში არსებული ზოგიერთი დანამატის ან ასოსა და საწერ ნიმუშად მისი გამოუყენებლობის გამო არც ეს მოხაზულობა მიგვაჩნია საანბანო შრიფტის შესაფერად.

6. ასოების ნათელი აღქმისა და ამოკითხვისათვის მხოლოდ ასოების თვალსაჩინოება არ კმარა. ოპტიკური ნიშნების ამოსაცნობად, თვალსაჩინოების გვერდით, საჭიროა კითხვის უნარისა და

მოქმედების მზაობა: რამდენად მომწიფებულია მკითხველი მხედველობითი შთაბეჭდილებების მისაღებად და როგორი თავისებურებით ხვდება კითხვის სწავლების დასაწყისს.

ა) საანბანო შრიფტის მოხაზულობის შექმნისას მხედველობაში მივიღეთ 7-წლიანი ბავშვის ფსიქოფიზიკური თავისებურება: რამდენად იყო იგი მომწიფებული და მომზადებული შრიფტული ფორმების აღსაქმელად და რა თავისებურებით ხასიათდებოდა იგი;

ბ) შეიძლეოდა ბავშვი უკვე მომზადებულია ობიექტური საგნების აღსაქმელად. მასში საკმაოდ მომწიფებულია საგნის გარემოდან გამოკვეთის, საგანში ნაწილების შემჩნევისა და დიფერენცირების უნარი; აგრეთვე საგნისა და მისი ნაწილების სივრცეში მიმართებების შემჩნევის უნარი, რომლის განვითარება ჯერ დამთავრებული არ არის. და იგი თავს იჩენს წერა-კითხვის დამწყების ნაწერებში შესატყვისი შეცდომების სახით;

გ) პირველკლასელთა ნაწერების შესწავლამ დაგვანახვა, რომ ამ საუბურზე შეცდომათა უმთავრეს წყაროს მსგავსების ფაქტორი და სივრცითი ორიენტაციის განვითარების დაუმთავრებლობა წარმოადგენს. ამის გამო, საანბანო შრიფტის ძიებისას, პირველ რიგში, შეძლებისდაგვარად, თავი უნდა ავარიდოთ ასოთა ურთიერთმსგავსებას, უარი ვთქვათ სამკაულების არსებობაზე, რომელიც ხელს უწყობს ასოთა ურთიერთმსგავსებას, ე. ი. ვიხელმძღვანელოთ ასოთა ინდივიდუალობისა და სისადავის პრინციპით და მივცეთ მათ რაც შეიძლება მკაფიო, ცხადი გამოსახულება.

დ) რაკი პირველ კლასში წერა-კითხვის სწავლება ერთდროულად მიმდინარეობს, წერა-კითხვა ურთიერთდამხმარე, ურთიერთშემავსებელ პროცესებს წარმოადგენს; ამიტომ საწერ-საკითხავი ნიშნების მოყვანილობაც ხელს უნდა უწყობდეს მათ დახსომება—წერას; ამასთან ერთად, უნდა დავიცვათ ქართული ანბანის ერთერთი მეტად საყურადღებო ღირსება—საწერ-საკითხავი ნიშნების ერთნაირი მოხაზულობა: რა ფორმის ასოებსაც წიგნში ვხედავთ, ისეთივე ვწეროთ ან, პირიქით, როგორ ასოებსაც ვწეროთ, ისეთი ვიკითხოთ.

ამ პრინციპის დასაცავად ამოვედით ქართულ ასოთა წერის წესიდან და სპეციალური ექსპერიმენტებით გავარკვიეთ, როგორ მოხაზულობას მიიღებდა ასოები ნორმალური წერის დროს; ხაზების თანაფარდობა შევეუფარდეთ ასოთა ბუნებრივი წერის დროს მიღებულ ხაზთა სხვადასხვაობას და მივიღეთ ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშების ფორმა.

ე) წარმოდგენილი შრიფტის პროექტის კითხვადობა შევა-  
შოწმეთ და შევადარეთ ქართულ საანბანო წიგნში გამოყენებული  
შრიფტის კითხვადობას. გამოიჩვენა, რომ ჩვენ მიერ წარმოდგე-  
ნილი შრიფტის ასოების უმრავლესობა, არსებული შრიფტის (ი.  
გოგებაშვილის) ასოებთან შედარებით, სწრაფად შეიმჩნევა, სწო-  
რად იკითხება და ადვილად იწერება.

ვ) მოწონების თვალსაზრისით პირველკლასელები „ახალი“ შრი-  
ფტის ნიმუშებს ირჩევენ, ხოლო ზრდადასრულებულნი — ნაწილი —  
„ი. გოგებაშვილის“ შრიფტსა და ნაწილი — „ახალს“. ის, ვინც „ი. გო-  
გებაშვილის“ შრიფტს ირჩევს, იმავე დროს მიუთითებს: „სილამაზის  
მიხედვით ეს ასოები მომწონს, საწერად მეორე მირჩევენიაო“; ამრი-  
გად, როცა არჩევანის საკითხი დგება, გაწაფულ მკითხველთა უმ-  
რავლესობაც „ახალი“ შრიფტის ასოებს აძლევს უპირატესობას.

7. სისტემატური ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ცხად-  
ჰყოფენ, რომ ქართულ საანბანო წიგნში გამოყენებული შრიფტის  
ფორმა ანუ მოხაზულობა არ შეესატყვისება წერა-კითხვის დამწ-  
ყებთა ფსიქიკურ შესაძლებლობებს და, ამდენად, მისი გამოყენება  
წერა-კითხვის დასაწყის საფეხურზე პედაგოგიური თვალსაზრისი-  
თაც არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. ვიღებთ რა მხედველობაში  
ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მოსაზრებებს არსებული საანბანო  
შრიფტის შეუფერებლობის შესახებ, ვფიქრობთ — ჩვენ მიერ შემუ-  
შავებულ შრიფტს ამ მხრივ გარკვეული უპირატესობა უნდა  
ჰქონდეს.

#### ლიტერატურა

1. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949.
2. გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940.
3. გოგებაშვილი ი., ირიბი ხელის უვარგისობა, 1886.
4. გოგებაშვილი ი., უმეტრების ამყობა, „ივერია“, 1881, № 6.
5. გორდეხიანი ბ., ქართული მხედრული შრიფტები, 1955.
6. ვახრამევი კ., საბავშვო ლიტერატურის შრიფტი, 1924.
7. თალაკვაძე მ., ქართული ანბანის აგების ძირითადი პრინციპები, 1952, გვ. 14.
8. თოფურია ვ., ქართული წერის დედანი, 1958.
9. მირონაშვილი ა., ახალი დედანი ბ. გაბიჯაძისა, „დროება“, 1882, № 214.
10. მკედლი შვილი ივ., ბექდვითი ხელოვნების ისტორიიდან, 1925.
11. სიდოროვი ა., შრიფტის თეორია, 1924.

12. უხნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 1940.
13. უხნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, 1947.
14. ფალილევი ვ., შრიფტის კომპოზიციური საფუძვლები, 1924.
15. ფრუიძე ა., როგორ ვუნებთარებ მოსწავლეს კითხვის ტექნიკას პირველ კლასში. ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, № 12, 1940.
16. შვევარდნაძე დ., ქართული სასტამბო შრიფტების რეფორმა. ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, № 10—12, 1933.
17. შხელკუნოვი, შრიფტის სილამაზის პრინციპები, 1924.
18. ხაკაპურიძე გ., სივრცითი მიმართებების აღქმა სკოლისწინარე ასაკში, საქ. სსრ პედ. მეცნ. ინსტიტუტის შრომები, № 5, 1948.
19. ხოჯავა ხ., იდენტურთა შეფერხება, ფსიქოლოგია, ტ. VII, 1953.
20. ჯავახიშვილი ი., პალეოგრაფია ანუ დამწერლობათმცოდნეობა. 1926.
21. Ананьев Б. Г. и Попова А. Н., Некоторые психологические вопросы букварного периода первоначального обучения грамоте. Изд. АПН РСФСР, в. 26, 1950.
22. Анисимов В. И., Основы и рисование печатного шрифта, 1922.
23. Бюллер К., Духовное развитие ребенка, 1924.
24. Вудвортс Р., Экспериментальная психология, 1950.
25. Волокитина М. Н., Очерки психологии школьников первого класса, Учпедгиз, 1951.
26. Гогобашвили Я., О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения, 1902.
27. Гогобашвили Я., Руководство для учителей и учительниц начальных школ, 1898.
28. Головин В. А., Производство новых шрифтов и исследование их удобочитаемости. Полиграфическое производство, № 12, 1939.
29. Егоров Т. Г., Психология овладения навыком чтения. Изд. АПН РСФСР, 1953.
30. Каким может быть новый шрифт (по материалам Гербата Гауера), Полиграфпроизводство, 1—6, 1920.
31. Писаревский Д. А., Шрифты и их построение, 1927.
32. Платов Ф. Х., Как создать шрифт, созвучный нашей эпохе. Полиграфическое производство, № 6, 1928.
33. Рубинштейн С. Л., Основы психологии, 1935.
34. Советов С. Е., Школьная гигиена, 1940.
35. Трошин Ал., Психологические основы процесса чтения, 1900.
36. Фарапанова Э. А., Особенности ощущений и восприятий у младшего школьника. Психология младшего школьника. Изд. АПН РСФСР, 1960.
37. Флеров О. В., Гигиенические требования к букварю. Изв. АПН РСФСР, вып. 51, 1953.
38. Черневский В., Новый шрифт для детской литературы. Полиграфическое производство, № 6, 1939.
39. Кисин Б., Графическое оформление книги, 1946.



40. Bettman Dr. Otto., Psychotechnische Prüfung von Schriften. Archiv für Buchgewerbe und Gr. graphik. 1933.
  41. Howard T. Hovde., The relative effects of size of type leading and context. The J. of app. psychology, v. XIX, № 1, 1930.
  42. Kainz F., Psychologie der Sprache. 1956, v. IV.
  43. Luckish M. and Moss F. R., Visibility and Readability of Print Matter. The J. of app. psychology, 1949, 23, 645.
  44. Matthew Luckish and Frank K. Moss. Criteria of readability, J. of Experimental psychology vol. 27, № 3, 1940.
  45. M. Luckish and Frank K. Moss, The visibility of Various Type Faces, Jour. Frank. Institute, 223, 1937, 77.
  46. Paterson D. and M. A. Tinker, Studies of Typographical factors influencing speed of reading (Effect of practice on Equivalence of test forms). The Journal of applied psychology, vol. XIV. № 3, 1930.
  47. M. A. Tinker and D. G., Paterson. Simultaneous Variation, of type size and line length. The J. of applied psychology, vol. XV, № 1, 1931.
  48. D. G. Paterson and M. A. Tinker, Black type versus white type. The J. of applied psychology. Vol. XIII, № 3, 1931.
  49. M. A. Tinker and D. G. Peterson. Variation in colour of print and background. The Journal of applied psychology. vol. XV. № 5, 1931.
  50. Sir Cyril Burt, A. Psychological study of typography. Cambridge University press, 1959.
  51. Theodor L. Harris and G., Lawrence Rarick. The problem of pressure in handwriting, j. Exp. Education, v. XXVI, 1957.
  52. Zur Physiologie und Pathologie des Sehens. Goldscheider, u. R. E. Müller, Zeitschrift für klinische Medizin, N. Berlin, 1893.
-

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
საკითხის დასმა . . . . .	5
თავი I. ქართული შრიფტი და საანბანო წიგნის შრიფტი	8
ქართული ანბანისა და შრიფტის ღირსება-ნაკლოვანე- ბანი . . . . .	8
საბავშვო საანბანო შრიფტის წინაშე წაყენებული მო- თხოვნები . . . . .	19
ქართული „დედა ენის“ შრიფტის თავისებურებანი	24
თავი II. შრიფტის ფორმის გავლენა კითხვაზე (I—II კლასის მოსწავლეებსა და გაწაფულ მკითხველებთან)	29
ცდის მასალა და მეთოდი	29
შედევების განხილვა . . . . .	34
შრიფტის მოყვანილობის გავლენა გაწაფული მკითხვე- ლების კითხვაზე . . . . .	60
თავი III. მასალები ქართული საანბანო შრიფტის ფორმის დასადგენად . . . . .	65
შვიდწლიანი ბავშვის ოპტიკური აღქმის ძირითადი თავისებურებანი . . . . .	66
ხელის დანაჭერის საკითხი ქართული ასოების წერის პროცესში . . . . .	77
ა) ქართული ასოების წერის წესი . . . . .	78
ბ) ხელის დანაჭერები ქართულ ასოებში . . . . .	85
„ი. გოგებაშვილის“ შრიფტისა და ახალი შრიფტის ასოთა ურთიერთშედარება . . . . .	90
თავი IV. ქართული საანბანო შრიფტის პროექტის შემოწმების ცდები	102
ტაქსტოსკოპით ჩატარებული ცდის მასალა და მეთოდი . . . . .	109
შედევების ანალიზი . . . . .	110
დასკვნა . . . . .	131
ლიტერატურა . . . . .	135

ნუნუ სედრაევნა ნასრაშვილი

Ж ВОПРОСУ О ФОРМЕ ШРИФТА ГРУЗИНСКОГО  
БУКВАРЯ

(на грузинском языке)

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ხ. ხოჯაევა  
გამომცემლობის რედაქტორი ნ. მაისურაძე  
ტექნორედაქტორი ე. ბოკერია  
კორექტორი ლ. გორდელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.6.1965; ქალაქის ზომა 60×90<sup>1/16</sup>;  
ნაბეჭდი თაბახი 8.62, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,46;  
ზე 02143; ტირაჟი 1000; შეკვეთა 580  
ფასი 54 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძეგინისკის ქ. № 8  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5